

ი. პ. სერია

# საკონკურსო ეგოცანები ქიმიაში

უმაღლეს სასწავლებლებში უმისცვლელთათვის

საკონკურსო ამოცანები ქიმიაში. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის

დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულია ამოცანები, რომლებიც შეესაბამება მისაღები გამოცდების პროგრამის ძირითად განყოფილებებს. ბევრი ამოცანა ამოხსნილია რ. მ. დენიშე ხერხით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ამოვიჩიოთ ამოხსნის ყველაზე ხელსაყრელი ხერხი. დამხმარე სახელმძღვანელოში შეტანილია აგრეთვე ამოცანები, რომლებიც ეძლევათ საკონკურსო გამოცდებზე კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რიგ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო შევსებულია მნიშვნელოვანი რაოდენობის ამოცანებით, რომლებიც ეძლევათ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ნორჩ ქიმიკოსებს რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტების ქიმიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტებზე, პედაგოგიური ინსტიტუტების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე, სამედიცინო და ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში შემსვლელთათვის. იგი შეიძლება გამოიყენონ საშუალო სკოლის მასწავლებლებმა, საშუალო სასწავლებლის პედაგოგებმა და აგრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებმა.

С 1802000000 — 331 321—86  
M-102(CB) — 86

© Перевод на русский язык, издательское объединение «Вища школа», 1962, с изменениями

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „განათლება“, 1986 წ.

ქიმიის თეორიული მასალის დაუფლებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ ამოცანების ამოხსნა, რომლებიც ეხება ქიმიის ყველა დარგს. ამოცანების ამოხსნის ცოდნა შესაძლებლობას აძლევს სკოლების, ტექნიკუმების მოსწავლეებს, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ღრმად შეისწავლონ და გაიგონ მრავალი ქიმიური პროცესი და კანონზომიერება.

სამწუხაროდ, ამოცანების ამოხსნას ყოველთვის არ ექცევა საკმაო ყურადღება. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის განკუთვნილ ქიმიის ბევრ დამხმარე სახელმძღვანელოში ამოცანების ამოხსნა განიხილება როგორც მეორეხარისხოვანი საკითხი; ყურადღება არ არის გამახვილებული სხვადასხვა ტიპის ამოცანის თავისებურებებზე და მათი ამოხსნის მეთოდებზე. არასაკმაო ყურადღება ექცევა ამოცანების ამოხსნას უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებშიც. სხვათა შორის ამ საკითხში აბიტურიენტები და ზოგჯერ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებიც მეტად სუსტ მომზადებას ამჟღავნებენ.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო გვაცნობს სხვადასხვა, ისეთ ამოცანათა ტიპებს და მათი ამოხსნის მეთოდებს, რომლებიც უფრო ხშირად გვხვდება. აქ განხილული ამოცანები მთლიანად მოიკაფენ სასკოლო პროგრამას, ხოლო ზოგიერთი სცილდება ამ პროგრამის საზღვრებს (დამხმარე სახელმძღვანელოში ისინი აღნიშნულია არსკვლავებით).

დამხმარე სახელმძღვანელოს მთელი მასალა გადმოცემულია ცხრა თავში. პირველი ნაწილის თითოეული თავი შეიცავს მცირე თეორიულ რასალას ან პრაქტიკულ დარიგებას, რაც აუცილებელია განსაზღვრული ტიპის ამოცანების ამოხსნისათვის, და ამ ტიპის ამოცანების პირობებს. ამოცანების ამოხსნები მოყვანილია მეორე ნაწილში, მათი პირობებისაგან ცალკე. ეს ამომხსნელს საშუალებას აძლევს შეამოწმოს თავისი შესაძლებლობანი ამოცანების ამოხსნისას, ე. ი. შეუძლია თუ არა მას მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ამომხსნელს შეუძლია მიმართოს ამოხსნილ ამოცანებს აუცილებლობის შემთხვევაში.

უმრავლესი ამოცანისათვის მოყვანილია ამოხსნის რამდენიმე ხერხი. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამით ამოიწურება ამა თუ იმ ამოცანის ყველა შესაძლებელი ამოხსნის ხერხი. ამოცანის ამოხსნის ხერხების განლაგების რიგი განპირობებულია მათთან ავტორის

დამოკიდებულებით: პირველად მოცემულია ხერხი, რომელიც, მისი აზრით, საუკეთესოდ ითვლება.

მეათე თავში თავმოყრილია ამოცანებზე დამოუკიდებელი ამოხსნისათვის.

ვიგნის ბოლოს მოთავსებული დანართი ცხრილები შეიცავს მასალას, რომელიც აუცილებელია როგორც განსაზღვრული ტიპის ამოცანების ამოხსნის, ისე ახალი ამოცანების შედგენისათვის, თუ ამომხსნელს დაებადება ასეთი სურვილი.

დამხმარე სახელმძღვანელოში ქიმიური ნაერთების სახელწოდება მოყვანილია საშუალო სკოლაში ამჟამად გამოყენებული ნომენკლატურის შესაბამისად, შეცვლილია მრავალი ამოცანის პირობა, რიტყვები შექლებისამებრ შერჩეულია ისე, რომ მაქსიმალურად შემცირდეს დროის ზარჯი არითმეტიკულ გაანგარიშებაზე. ავტორი ღრმად დაწმუნებულია, რომ დიდი რაოდენობით არითმეტიკული გაანგარიშება სრულიადაც არ უწყობს ხელს ცოდნის გარმავეებას ქიშიაში, აოამედ ამომხსნელის ყურადღებას თითქმის აღუნებს ამოცანის ქიმიური არსის მიმართ.

დამხმარე სახელმძღვანელო შევსებულია რიგი გაძნელებული ამოცანებით, რომლებიც უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ნორჩ ქიმიკოსებს ეძლეოდათ რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, ამ ამოცანების ამოხსნა ურიგდებათ გუნდების მონაწილეებსა და ხელმძღვანელებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელმისაწვდომი არ არის ქიმიით დაინტერესებული მოსწავლეებისა და აბიტურიენტების ფართო წრისათვის. ამიტომ ამ ამოცანების დეტალური განხილვა ამოხსნის რამდენიმე ვარიანტის შეთავაზებით, ავტორის აზრით, ძალიან სასარგებლო იქნება.

ავტორი მადლობელია ყველა მკითხველისა, ვინც გამოუგზავნა თავისი შენიშვნები, და მათიც, ვინც გაუგზავნის, მათი თვალსაზრისით, საინტერესო ამოცანებს, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება შემდგომ გამოცემებში.




ვიგნის გასაუმჯობესებლად მიმართული ყველა სურვილი, გთხოვთ გამოგზავნოთ მისამართით: 252054, Киев, 54, ул. Гоголевская, 7. Головное издательство издательского объединения «Вища школа».

# ამოცანები

## 1. ქიმიური განტოლებები


ამოცანების ამოხსნა ქიმიური განტოლებების გამოყენებით ყველაზე გავრცელებულია. ამოცანათა ეს ტიპი გვხვდება ყოველთვის, თუ პირობის მიხედვით მიმდინარეობს ნივთიერებათა ქიმიური გარდაქმნა: ნეიტრალიზაციის, დაშლის, შეერთების, ჩანაცვლების, ორმაგი მიმოცვლის, ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები და ა. შ. ასეთი ტიპის ამოცანების ამოხსნისას საჭიროა სწორად დაიწეროს რეაქციის განტოლება, ნივთიერებათა ფორმულების ქვეშ, რომლებზეც ლაპარაკია ამოცანის პირობაში, მიუწეროთ მოლეკულური მასების სიდიდეები და ამოვხსნათ ამოცანა მოლეკულური სიდიდეების ან პროპორციის მეთოდის გამოყენებით. ამოცანების ამოხსნა მოლეკულური სიდიდეების გამოყენებით ბევრად უფრო იოლი და სასარგებლოა, რადგან ამ დროს ძალიან მცირე დრო იხარჯება არითმეტიკულ სავარჯიშოებზე და ამომხსნელი უფრო სრულ წარმოდგენას ღებულობს განსახილველ რეაქციაში შესაძლებელ გარდაქმნებსა და წარმოქმნილი ნივთიერებების რაოდენობაზე. პროპორციის მეთოდის გამოყენებისას ქიმიური განტოლება, ისევე როგორც მთელი ქიმიური პროცესი, გადაიწვევს მეორე ადგილზე და ამომხსნელის მთელი ყურადღება კონცენტრირებული ხდება მხოლოდ მოლეკულური მასებისა და ამოცანის პირობის მოცემულობათა რიცხობრივ სიდიდეებზე.

თუ ამოცანის პირობით რომელიმე ნივთიერების მიღებას ახლავს რამდენიმე რეაქცია და ამოცანაში მოცემულია მხოლოდ საბოლოო და საწყისი პროდუქტები, მაშინ სრულიად არ არის აუცილებელი რეაქციის ყველა შუალედური სტადიის განტოლების გამოყენება. შეიძლება გამოვიყენოთ საწყისი ნივთიერებების საბოლოო პროდუქტებად გარდაქმნის სქემა. მაგალითად, აზოტმჟავას წარმოებაში ამიაკს წვავენ პლატინის კატალიზატორის თანაობისას. წარმოქმნილი აზოტის მონოქსიდი იჟანგება ჰაერის ჟანგბადით აზოტის დიოქსიდამდე, რომელიც წყალში იხსნება და წარმოქმნის აზოტმჟავას. აზოტმჟავას მიღების მთელი პროცესი ამიაკის კატალიზური დაჟანგვით შეიძლება გამოისახოს შემდეგ რეაქციათა განტოლებებით:



იმისათვის, რომ განვსაზღვროთ აზოტმჟავას რაოდენობა, რომელიც წარმოიქმნა განსაზღვრული რაოდენობით ამიაკის დაწვისას,


ან ამიაკის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული რაოდენობით აზოტმეყავას წარმოებისათვის, სულაც არ არის აუცილებელი ვაწარმოოთ გაანგარიშებანი სამივე განტოლების გამოყენებით. ამისათვის საკმარისია ერთი სქემა:




რადგან ამიაკის სრულად გარდაქმნისას აზოტმეყავად 1 მოლი  $\text{NH}_3$ -დან წაოსოიქმნება 1 მოლი  $\text{HNO}_3$ .

მიმოცვლის რეაქციებზე დაფუძნებული ამოცანები უკეთესია ამოიხსნას მოლური სიდიდეების გამოყენებით: თუ ცნობილია მორეაგირე ნივთიერებების მოლების რაოდენობა, მაშინ რეაქციის განტოლებიდან ძალიან ადვილად განისაზღვრება რეაქციაში შესულ ნივთიერებათა მოლების რაოდენობა და რეაქციის პროდუქტთა მოლების რაოდენობა. ამ შემთხვევაში არითმეტიკული მოქმედება შემოიფარგლება ნივთიერების მოლების გარდაქმნით გრამებად.


ნეიტრალიზაციის რეაქციებზე დაფუძნებული ამოცანები სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ ასეთი რეაქციების დროს მორეაგირე ნივთიერებათა რაოდენობაზე დამოკიდებულებით წარმოიქმნება სხვადასხვა პროდუქტი. მაგალითად, ტუტით ფოსფორმეყავას ნეიტრალიზაციისას ტუტისა და მეყავას მოლურ თანფარდობაზე დამოკიდებულებით წარმოიქმნება რეაქციის ასეთი პროდუქტები:




ანალოგიურად მიმდინარეობს მრავალატომიანი ფუძის ნეიტრალიზაციის პროცესი:



საჭიროა გვახსოვდეს, რომ მეყავას ან ფუძის არასრულ ნეიტრალიზაციის დროს წარმოიქმნება ნარევი ორი ნაერთისა, რომლებიც ერთმეორედ გარდაიქმნებიან. მაგალითად, ფოსფორმეყავას ნეიტრალიზაციის დროს შეიძლება წარმოიქმნას ნარევები  $\text{H}_3\text{PO}_4$  და  $\text{NaH}_2\text{PO}_4$ ,  $\text{NaH}_2\text{PO}_4$  და  $\text{Na}_2\text{HPO}_4$ ,  $\text{Na}_2\text{HPO}_4$  და  $\text{Na}_3\text{PO}_4$ ,  $\text{Na}_3\text{PO}_4$  და  $\text{NaOH}$ . არ შეიძლება წარმოიქმნას ნარევები  $\text{H}_3\text{PO}_4$  და  $\text{Na}_2\text{HPO}_4$  ან  $\text{NaH}_2\text{PO}_4$  და  $\text{Na}_3\text{PO}_4$ , რადგან ისინი რეაგირებენ ერთმანეთთან:



სწორედ ასევე მკვავათი ფუძის თანდათანობითი ნეიტრალიზაციის დროს არ წარმოიქმნება ნარევები  $Al(OH)_3$  და  $Al(OH)Cl_2$  ან  $Al(OH)_2Cl$  და  $AlCl_3$ :




ნეიტრალიზაციის რეაქციებზე დამყარებული ამოცანების ამოხსნისას ნათელი წარმოდგენა უნდა გექონდეს მარილთა ჰიდროლიზზე. მარილები ხსნარებში, როგორც წესი, კარგად დისოცირდებიან. ერთდროულად დისოცირდება წყალიც, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით. სუსტი მკვავების ანიონები მიიერთებენ წყალბადის იონებს და აღიღებენ ჰიდროქსილ-იონების კონცენტრაციას, ხოლო სუსტი ფუძეების კატიონები იერთებენ ჰიდროქსილ-იონებს და აღიღებენ წყალბადის იონთა კონცენტრაციას.

ჰიდროლიზი არის წყალთან ნივთიერების ურთიერთქმედება, რის შედეგადაც წარმოიქმნება სუსტად დისოცირებული მკვავები ან ფუძეები, ან ისინივე და სხვები. ძლიერი მკვავებისა და ძლიერი ფუძეების მარილები ჰიდროლიზს არ განიცდიან, რადგან ისინი არ წარმოქმნიან სუსტად დისოცირებულ ფუძეებს. სუსტი ფუძისა და ძლიერი მკვავას მარილი ჰიდროლიზდება ასეთი სქემით:




ხსნარს აქვს მკვავე რეაქცია.

სუსტი მკვავასა და ძლიერი ფუძის მარილი ჰიდროლიზს განიცდის შემდეგი სქემით:



ხსნარს აქვს ტუტე რეაქცია.

სუსტი ფუძისა და სუსტი მკვავას მარილი ჰიდროლიზს განიცდის შემდეგი სქემით:



ხსნარს შეიძლება ჰქონდეს მკვავე, ტუტე ან ნეიტრალური რეაქცია მკვავასა და ფუძის ძალაზე დამოკიდებულებით: თუ მკვავა უფრო ძლიერია, მაშინ ხსნარის რეაქცია იქნება მკვავე, თუ ფუძე უფრო ძლიერია — მაშინ ტუტე რეაქცია, მაგრამ თუ მათი ძალა დაახლოებით ერთნაირია, ხსნარის რეაქცია ნეიტრალური იქნება.

ამ ტიპის ამოცანების ამოხსნისას სარგებლობენ განზომილების ერთეულებით, რომლებიც მოცემულია ამოცანის პირობაში. კილოვ-

რამების გრამებში ან მილილიტრების ლიტრებში გარდაქმნას მივყავართ აუცილებლობამდე — ვისარგებლოთ ძალიან დიდი ან ძალიან მცირე რიცხვებით, რაც იწვევს დამატებით სიძნელეებს.

### ამოცანათა პირობები

4.1/ განსაზღვრეთ მადანში დოლომიტის  $\text{CaCO}_3 \cdot \text{MgCO}_3$  პროცენტული შემცველობა, თუ მისი 40 გ დაშლით გამოიყოფა 8,96 ლ  $\text{CO}_2$  (ნ. პ.).

4.2/ ხსნარს, რომელიც შეიცავდა 19,32 გ კალიუმის კარბონატს, მიუმატეს ხსნარი, რომელიც შეიცავდა 12,6 გ აზოტმჟავას. განსაზღვრეთ წარმოქმნილი მარილების შედგენილობა.

4.3/ კალიუმის პერმანგანატის თერმული დაშლისას წარმოიქმნება კალიუმის მანგანატი  $\text{K}_2\text{MnO}_4$ , მანგანუმის დიოქსიდი  $\text{MnO}_2$  და ჟანგბადი. განსაზღვრეთ 1,25% მინარევების შემცველი 12,8 გ კალიუმის პერმანგანატის დაშლის დროს გამოყოფილი ჟანგბადის მოცულობა (ნ. პ.).

4.4/ 21% მინერალური მინარევების შემცველი 40 გ კალიუმის პერმანგანატის დაშლის დროს წარმოიქმნა 37,44 გ მყარი ნაშთი განსაზღვრეთ მისი შედგენილობა.

4.5/ ბერთოლეს მარილისა და კალიუმის ქლორიდის 20 გ ნარევის დაშლისას წარმოიქმნა 12,32 გ კალიუმის ქლორიდი. განსაზღვრეთ აღებული ნარევის პროცენტული შედგენილობა.

4.6/ ვერცხლის ნიტრატის ხსნარში ჩაძირეს 80 გ მასის მქონე სპილენძის ფირფიტა. ვერცხლის სრული გამოძევების შემდეგ ფირფიტის მასა გაიზარდა 7,6%-ით. განსაზღვრეთ ხსნარში შემცველი ვერცხლის რაოდენობა.

4.7/  $\text{CO}_2$ -ის გატარებისას წყლიან სუსპენზიაში, რომელიც შეიცავდა 50 გ  $\text{CaCO}_3$ , მისი ნაწილი გადავიდა ხსნარში. განსაზღვრეთ მყარ ფაზაში დარჩენილი კარბონატის რაოდენობა, თუ რეაქციაში შევიდა 8,96 ლ  $\text{CO}_2$  (ნ. პ.).

4.8/ სუსპენზიაში, რომელიც შეიცავს 7,4 გ ჩამქრალ კირს, გაატარეს 8 ლ გაზთა ნარევი, რომელიც შეიცავდა 39,2% ნახშირორჟანგს. განსაზღვრეთ წარმოქმნილი  $\text{CaCO}_3$ -ის რაოდენობა  $\text{CO}_2$ -ის სრული შთანთქმის შემდეგ.

4.9/ ეთილენთან ბენზოლის ურთიერთმოქმედებისას უწყლო ალუმინქლორიდის  $\text{AlCl}_3$  თანაობისას წარმოიქმნება ეთილბენზოლი  $\text{C}_6\text{H}_5\text{—C}_2\text{H}_5$ . განსაზღვრეთ წარმოქმნილი პროდუქტების შედგენილობა, თუ რეაქციისათვის აღებული იყო 776 კგ ბენზოლი და 200 მ ეთილენი (ნ. პ.) და რეაქციაში შევიდა 89,6% ეთილენი.

4.10/ ბერთოლეს მარილის გახურებისას მისი ნაწილი იშლება ჟანგბადის გამოყოფით, ხოლო ნაწილი —  $\text{KCl}$  და  $\text{KClO}_4$  წარმოქმნით. განსაზღვრეთ მარილის შემცველობა, თუ მისი 100 გ დაშლის დროს გამოიყოფა 10,6 გ  $\text{O}_2$  (ნ. პ.).



საზღვრეთ ნაშთის მასა და შედგენილობა, თუ 88,2 გ. ბერთოლეს მარილის გახურებისას წარმოიქმნა 13,44 ლ ჟანგბადი (ნ. პ.).

† 11/5,88 გ ფოსფორმჟავას შემცველ ხსნარს დაუმატეს 8,4 გ მწვავე კალიუმის შემცველი ხსნარი. განსაზღვრეთ ხსნარის მთლიანად აორთქლებისას მიღებული ნალექის შედგენილობა.

† 12/ ხსნარს, რომელიც შეიცავდა 11,9 გ ვერცხლის ნიტრატს, დაუმატეს 2,67 გ ალუმინის ქლორიდის შემცველი ხსნარი. ნალექი გაფილტრეს და ფილტრატი ააორთქლეს. განსაზღვრეთ წარმოქმნილი ვერცხლის ქლორიდის რაოდენობა, მასა და ფილტრატის აორთქლების შემდეგ ნაშთის შედგენილობა, თუ წარმოიქმნება ალუმინის ნიტრატის კრისტალჰიდრატი  $Al(NO_3)_3 \cdot 9H_2O$ .

† 13/ ხსნარს, რომელიც შეიცავდა 7,84 გ ქრომის სულფატს, დაუმატეს 16,64 გ ბარიუმის ქლორიდის შემცველი ხსნარი, წარმოქმნილი ბარიუმსულფატის ნალექი გაფილტრეს, ხოლო ფილტრატი ააორთქლეს. განსაზღვრეთ ნალექის რაოდენობა, აგრეთვე აორთქლების შემდეგ ნაშთის მასა და შედგენილობა, თუ მარალები კრისტალჰიდრატებია ( $BaCl_2 \cdot 2H_2O$ ,  $CrCl_3 \cdot 6H_2O$  და  $Cr_2(SO_4)_3 \cdot 18H_2O$ ).

† 14/ ხსნარს, რომელიც შეიცავდა 9,84 გ კალციუმის ნიტრატს, დაუმატეს 9,84 გ ნატრიუმის ფოსფატის შემცველი ხსნარი. წარმოქმნილი ნალექი გაფილტრეს, ხოლო ფილტრატი ააორთქლეს. განსაზღვრეთ რეაქციის პროდუქტთა რაოდენობა და ფილტრატის აორთქლების შემდეგ მათი შედგენილობა, თუ ჩავთვლით, რომ წარმოიქმნება უწყლო მარილები.

† 15/ ხსნარს, რომელიც შეიცავდა 22,2 გ კალციუმის ქლორიდს, დაუმატეს 12,72 გ ნატრიუმის კარბონატის შემცველი ხსნარი. წარმოქმნილი ნალექი გაფილტრეს და ფილტრატი ააორთქლეს. განსაზღვრეთ წარმოქმნილი მარილების შედგენილობა.

× 16/ განსაზღვრეთ 40% თუთიის შემცველი თუთიის ნაწვეის რაოდენობა და 2N გოგირდმჟავას ხსნარის მოცულობა, რომელიც აუცილებელია 130 გ/ლ თუთიის შემცველი 300 მ<sup>3</sup> ელექტროლიტის დასამზადებლად.

† 17/ ხსნარში, რომელიც შეიცავდა 9,4 გ სპილენძის ნიტრატსა და 9,75 გ ვერცხლისწყლის ნიტრატს, მოათავსეს 50 გ მასის მქონე კადმიუმის ფირფიტა. რამდენი პროცენტით გაიზარდა ფირფიტის მასა კადმიუმით სპილენძისა და ვერცხლისწყლის სრული გამოძევების შემდეგ იმ პირობით, რომ სპილენძი და ვერცხლისწყალი სრულად შეკავდება ფირფიტაზე?

† 18/ მახვიანის ხსნარში კადმიუმის ფირფიტის ჩაშვებისას მისი მასა შემცირდა. 3 გ-ით. განსაზღვრეთ ხსნარში გადასული კადმიუმის რაოდენობა.

† 18/ ხსნარში, რომელიც შეიცავდა 15,4 გ კადმიუმის კრისტალჰიდრატს  $Cd(NO_3)_2 \cdot 4H_2O$ , მოათავსეს თუთიის ფირფიტა. რამდენიმე ხრის შემდეგ ფირფიტა ამოიღეს ხსნარიდან, გარეცხეს, გააშრეს და აწონეს. მისი მასა გაიზარდა 0,94 გ-ით. ხსნარი ფრთხილად ააორთქლეს კადმიუმისა  $Cd(NO_3)_2 \cdot 4H_2O$  და თუთიის  $Zn(NO_3)_2 \cdot 6H_2O$  კრისტალჰიდრატების წარმოქმნამდე. განსაზღვრეთ კრისტალჰიდრატების ნაშთის შედგენილობა.

‡ 20/ ხსნარში, რომელიც შეიცავდა 8,32 გ კადმიუმის სულფატს, ჩაუშვეს თუთიის ფირფიტა. კადმიუმის მთლიანად გამოყოფის შემდეგ ფირფიტის მასა გაიზარდა 2,35%-ით. განსაზღვრეთ თუთიის ფირფიტის მასა.

‡ 21/ ხსნარში, რომელიც შეიცავდა 3,2 გ უწყლო სპილენძის სულფატსა და 6,24 გ უწყლო კადმიუმის სულფატს, ჩაუშვეს თუთიის ფირფიტა. განსაზღვრეთ, რამდენით გაიზარდება ფირფიტის მასა. თუ ხსნარიდან მთლიანად გამოვაძევებთ სპილენძსა და კადმიუმს.

‡ \*22/ ხსნარს, რომელიც შეიცავდა 19,44 გ კალციუმის ჰიდროკარბონატს, დაუმატეს 20,52 გ ალუმინის სულფატი. განსაზღვრეთ წარმოქმნილი ნალექის შედგენილობა და ხსნარში დარჩენილი მარილების რაოდენობა, თუ ჩავთვლით, რომ კალციუმის სულფატი მთლიანად ილექება.

† 23/ რამდენი ფოსფორმეჯავს განეიტრალება არის აუცილებელი, რომ წარმოიქმნას 2 გ ნატრიუმის დიჰიდროფოსფატი და 4,26 გ ჰიდროფოსფატი?

‡ 24/ რა რაოდენობით უნდა მიუმატოთ მწვავე ნატრიუმი 5,88 გ ფოსფორმეჯავს, რომ წარმოიქმნას 2,84 გ ნატრიუმის ჰიდროფოსფატი და 6,56 გ ფოსფატი?

† 25/ გოგირდმეჯავს ხსნარს მიუმატეს მწვავე ნატრიუმი. წარმოიქმნა 3,6 გ ნატრიუმის ჰიდროსულფატი და 2,84 გ სულფატი. განსაზღვრეთ, ხსნარში რამდენი იყო გოგირდმეჯავა და რამდენი მწვავე ნატრიუმი დაამატეს.

‡ 26/ 15,04 გ სპილენძის ნიტრატის ნაწილობრივი თერმული დაშლით წარმოიქმნა 8,56 გ მყარი ნაშთი. განსაზღვრეთ სპილენძის ნიტრატის დაშლის ხარისხი და მიღებული ნაშთის შედგენილობა.

† 27/ განსაზღვრეთ მარილების შედგენილობა, რომლებიც წარმოიქმნება 3,2 გ მწვავე ნატრიუმის შემცველ ხსნარში 1,568 ლ  $CO_2$ -ის (ს. პ.) გატარებით.

† 28/ ხსნარს, რომელიც შეიცავდა 8 გ სპილენძის სულფატს, მიუმატეს 4,68 გ ნატრიუმის სულფიდის შემცველი ხსნარი. სპილენძის სულფიდის ნალექი გაფილტრეს, ზოლო ფილტრატი ააორთქლეს.

განსაზღვრეთ წარმოქმნილი სპილენძის სულფიდის რაოდენობა და ნაშთის შედგენილობა ფილტრატის აორთქლების შემდეგ.

\*29/ განსაზღვრული რაოდენობით მეაუნმეაევას დაეანგვისათვის გოგირდმეაევას გარემოში დახარჯეს 6,32 გ კალიუმის პერმანგანატი. წარმოქმნილი ნახშირორჟანგი გაატარეს ხსნარში, რომელიც შეიცავდა 8,8 გ მწვავე ნატრიუმს. როგორი მარილები და რა რაოდენობით წარმოიქმნება ხსნარში?

\*30/ ნეიტრალურ გარემოში ტოლუოლის დაეანგვისას კალიუმის პერმანგანატით წარმოიქმნება მანგანუმის დიოქსიდი და ბენზომეაევა. განსაზღვრეთ წარმოქმნილი ბენზომეაევას რაოდენობა, თუ მანგანუმის დიოქსიდის აღდგენისათვის გოგირდმეაევას გარემოში დაიხარჯა 60,8 გ რკინის (II) სულფატი. (ჩათვალეთ, რომ მთელი კალიუმის პერმანგანატი იხარჯება მხოლოდ ტოლუოლის დაეანგვაზე).

+ 31/ მწვავე კალიუმის შემცველ ხსნარში 60 ლ გაზის გატარებისას წარმოიქმნა 2,07 გ კალიუმის კარბონატი და 6 გ ჰიდროკარბონატი. განსაზღვრეთ გაზში ნახშირბადის დიოქსიდის პროცენტული შემცველობა.

+ 32/ რა მოცულობით აირადი პენტანი (ნ. პ.) დაუწვავთ, თუ 22,2 გ ჩამქრალი კირის შემცველი ხსნარით ნახშირბადის დიოქსიდის შთანთქმისას წარმოიქმნა 20 გ კალციუმის კარბონატი და 16,2 გ ჰიდროკარბონატი?

\*33/ ხისტ წყალს, რომელიც შეიცავს კალციუმის ჰიდროკარბონატს, მიუმატეს 30,4 გ რკინის (II) სულფატი და ჩაბერეს ჰაერი. ჰარბი გოგირდმეაევას ნეიტრალიზაციისათვის მიუმატეს ხსნარი, რომელიც შეიცავდა 1,36 გ ამიაკს. წარმოქმნილი ნალექი გაახურეს. განსაზღვრეთ ნალექის მასა და შედგენილობა (ჩათვალეთ, რომ კალციუმის სულფატი მთლიანად ილექება).

\*34/ დაწვეს 5,6 ლ ბუტანი (ნ. პ.) და წარმოქმნილი  $\text{CO}_2$  გაატარეს ხსნარში, რომელიც შეიცავდა 102,6 გ ბარიუმის ჰიდროქსიდს. განსაზღვრეთ, რომელი მარილები წარმოიქმნა და რა რაოდენობით?

\*35/ ხსნარს, რომელიც შეიცავდა 3,17 გ ქრომის (III) ქლორიდს, მიუმატეს 3,4 გ ამონიუმის სულფატის შემცველი ხსნარი. წარმოქმნილი ნალექი გაფილტრეს და გაახურეს. განსაზღვრეთ ნალექის მასა გახურების შემდეგ, და აგრეთვე რომელ მარილებსა და რა რაოდენობით შეიცავდა ფილტრატი.

36/ გამოითვალეთ რკინის ალმადანის სადღელამისო ხარჯი ქარხანაში, რომელიც უშვებს ყოველ დღე-ღამეში 2500 ტ გოგირდმეაევას 70%-იან ხსნარს, თუ ალმადანი შეიცავს 95% რკინის დისულფიდს. ხოლო ნამწვში რჩება ალმადანში არსებული გოგირდის 0,5%.

37/ იონთმიმოცვლის სვეტში, რომელიც გავსებულია  $\text{H}^+$  კატიონ-

ნიტით (წყალბადური ფორმის კათიონიტით), გაატარეს 40 მლ სპილენძის სულფატის ხსნარი. სვეტიდან გამოსული 40 მლ ხსნარის ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 32 მლ მწვევე კალიუმის 0,125 M ხსნარი. განსაზღვრეთ სპილენძის სულფატის პირვანდელი ხსნარის მოლური კონცენტრაცია.


38/ ნატრიუმისა და კალიუმის ბრომიდების ნარევეს იყენებენ მედიცინაში ნერვული სისტემის მოშლის დროს. გამოთვალეთ ბრომის იონების რაოდენობა, რომელიც მიეწოდება ორგანიზმს სადესერტო კოვზით (10 მლ) ხსნარის მიღებისას. მისი 1 ლ შეიცავს 30, გ მთიფებულ მარილებს.

39/ 5,28 გ ამონიუმის სულფატის გახურებით მიღებული გაზი გაატარეს 200 მლ ფოსფორმჟავას 0,25 M ხსნარში. განსაზღვრეთ მიღებული ხსნარის შედგენილობა.

40/ განსაზღვრეთ იზოამილაცეტატის (სიმკვრივე 0,876 გ/სმ<sup>3</sup>) ლიტრების რაოდენობა, რომელიც შეიძლება მივიღოთ 3,03% მინარევების შემცველი 330 კგ კალციუმის კარბიდიდან, და ჭარბი იზოამილის სპირტიდან, თუ ეთერის გამოსავალი 75%-ს შეადგენს.

### 17/ რაქციონი აირად მდგომარეობაში

ამოცანების ამოხსნისას, რომლებშიც ყველა კომპონენტი აირად მდგომარეობაშია, არ ღირს ვისარგებლოთ მოლური მოცულობით (22,4 ლ), ვინაიდან კოეფიციენტები რეაქციის კომპონენტებთან გვიჩვენებს, როგორი მოცულობითი თანაფარდობით შედიან რეაქციაში ისინი. თუ რომელიმე კომპონენტი მყარ ან თხევად მდგომარეობაშია, უნდა გამოვიყენოთ მოლური მოცულობა. მაგალითად, პროპანის ან ბუტანის წვის რეაქციებისათვის.



კოეფიციენტები 1 და 5, 2 და 13 გვიჩვენებენ, როგორი მოცულობითი თანაფარდობით შედიან რეაქციაში ნახშირწყალბადები ჟანგბადთან, ხოლო კოეფიციენტები 3 და 4, 8 და 10 გვიჩვენებენ, როგორი მოცულობითი თანაფარდობით არიან რეაქციის პროდუქტები ორთქლ-აირად ფაზაში. თუ ამოცანაში მოცემულია, რომ წყალი კონდენსირდება (გადადის თხევად მდგომარეობაში), მაშინ ასეთი გაანგარიშებები არ არის ხელსაყრელი, რადგან 1 ლ პროპანის დაწვისას წარმოიქმნება 4 ლ წყლის ორთქლი, და არა წყალი. ამიტომ თხევად მდგომარეობაში წარმოქმნილი წყლის ორთქლის გამოსათვლელად უნდა ვისარგებლოთ მოლური მოცულობით.

თუ პროცესი არ მიმდინარეობს ნორმალური პირობების დროს

(ამას ადგილი აქვს თითქმის ყოველთვის), მაშინ უნდა ვიცოდეთ გაანგარიშების ჩატარება რეაქციის სხვადასხვა პერობისათვის. ამისათვის მიზანშეწონილია ვისარგებლოთ მენდელეევი-კლაპეირონის განტოლებით:

$$Vp = \frac{m}{M} RT,$$

სადაც  $V$  — გაზის მოცულობა, ლ, მლ, სმ<sup>3</sup>;  $p$  — წნევა, Па, ატმ;  $m$  — გაზის მასა, გ;  $M$  — გაზის მოლეკულური მასა;  $T$  — ტემპერატურა, K;  $R$  — გაზის მუდმივა, რომელიც ტოლია 0,082 ლ·ატმ/(მოლი·გრად) ან 8,3143 ჯ/(მოლი·K).

ამ განტოლების გამოყენებით ყოველთვის შეიძლება დავიყვანოთ გაზი ნორმალურ პირობებამდე. ეს განტოლება აუცილებელია მაშინ, როდესაც რეაქცია არ მიმდინარეობს ნორმალური პირობების დროს და ამოცანების ამოხსნისას იყენებენ მოლურ მოცულობას (22,4 ლ), როგორც ერთი მოლი გაზის მოცულობას ნორმალური პირობების დროს, ე. ი. როდესაც რეაქციის კომპონენტები სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში. თუ ყველა კომპონენტი აირადია, მაშინ სისტემის დაყვანა ნორმალურ პირობებზე არ არის აუცილებელი, რადგან გაზების გაფართოება ან შეკუმშვა მათ ბუნებაზე არ არის დამოკიდებული. სისტემის ტემპერატურის, მოცულობის ან წნევის შეცვლისას პირობები იცვლება ყველა გაზისათვის ერთნაირად.

ამოცანების ამოხსნისას, სადაც კომპონენტად ჰაერია, მისი შედგენილობა უნდა ჩავთვალოთ ასე: 20% ჟანგბადი და 80% აზოტი (მოცულობით).

#### ამოცანათა პირობები

† 41/ განსაზღვრეთ 60% აზოტის, 30% ჟანგბადისა და 10% ნახშირორჟანგის შემცველ გაზთა ნარევის სიმკვრივე წყალბადის მიმართ.

† 42/ განსაზღვრეთ ჟანგბადისა და ჰაერის (ნ. პ.) მოცულობა, რომელიც აუცილებელია 600 გ 85% ოქტანისა და 15% ჰექსანის შემცველი ნახშირწყალბადის ნარევის დასაწვავად.

† 43/ განსაზღვრეთ ჟანგბადის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია 20 ლ CO და H<sub>2</sub> ნარევის დასაწვავად, თუ მისი სიმკვრივე წყალბადის მიმართ 62-ის ტოლია.

† 44/ განსაზღვრეთ CO და CO<sub>2</sub> შემცველ გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა, თუ მისი სიმკვრივე წყალბადის მიმართ 18,8-ის ტოლია.

† 45/ განსაზღვრეთ 40% ნახშირორჟანგის, 30% ნახშირბადის მო-

ნოქსიდისა და 30% აზოტის შემცველ გაზთა ნარევის სიმკვრივე წყალბადის მიმართ.

64. 20 მლ აცეტილენისა და აზოტის ნარევს მიუმატებს 60 მლ ჟანგბადი. რეაქციის შემდეგ ნარევის მოცულობა აღმოჩნდა 56 მლ-ის ტოლი. განსაზღვრეთ საწყის გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა (მოცულობით).

65. განსაზღვრეთ 70% ნახშირბადის მონოქსიდისა და 30% დი-ოქსიდის შემცველ გაზთა ნარევის სიმკვრივე ჰაერის მიმართ.

48. 2,8 ლ (ნ. პ.) პროპილენის, ბუტილენისა და ბუტანის შემცველი გაზთა ნარევის გატარებისას ბრომიან წყალში, რეაქციაში შევიდა 16 გ ბრომი. განსაზღვრეთ ჟანგბადისა და ჰაერის მოცულობები, რომლებიც აუცილებელია 20 ლ ამ ნარევის დასაწვავად, თუ მისი სიმკვრივე წყალბადის მიმართ 26,1-ის ტოლია.

49. ევლიომეტრში დაწვეს აზოტის, წყალბადისა და ჟანგბადის შემცველი 20 ლ გაზთა ნარევი. ნარევის სიმკვრივე წყალბადის მიმართ 14,0-ის ტოლია. წყლის კონდენსაციისა და გაზთა ნარევის საწყის პირობებზე დაყვანის შემდეგ მისი მოცულობა 17 ლ-ის ტოლი იყო. წარმოქმნილ ნარევს დაუმატეს 50 მლ ჰაერი და კვლავ დაწვეს. ნარევის მოცულობა არ შეიცვალა. განსაზღვრეთ აღებულ გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა.

66. განსაზღვრეთ ჟანგბადის (ნ. პ.) მოცულობა, რომელიც საჭიროა  $47^{\circ}\text{C}$  და 4 ატმ. წნევაზე გაზომილი 41 ლ ბუტანის დასაწვავად.

67. განსაზღვრეთ ნახშირბადის მონოქსიდისა და ჰაერის შემცველ გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა, თუ მისი 8,683 გ 5 ატმ და  $-47^{\circ}\text{C}$ -ზე იკავებს 1,6 ლ მოცულობას.

68. წყალბადის, მეთანისა და ნახშირბადის მონოქსიდისაგან შედგენილ გაზთა ნარევს აქვს 1,715 გ/ლ სიმკვრივე 2 ატმ წნევისა და  $0^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. 4 მოცულობა ნარევის სრული წვისათვის აუცილებელია 19 მოცულობა ჰაერი (ნ. პ.). განსაზღვრეთ აღებულ ნარევის პროცენტული შედგენილობა.

69. 40 მლ აზოტისა და აზოტის მონოქსიდის ნარევის 65 მლ ჰაერთან შერევის შემდეგ მიღებული ნარევის მოცულობამ შეადგინა 100 მლ. განსაზღვრეთ აღებული და მიღებული ნარევის პროცენტული შედგენილობა.

70. აზოტწყალბადის ნარევის კონტაქტურ აპარატში გატარებით რეაქციაში შევიდა 10% აზოტი. განსაზღვრეთ კონტაქტური აპარატიდან გამოსულ გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა.

71. გოგირდოვანი გაზის დასაქვანგავ საკონტაქტო აპარატს აწვდიან ჰაერის ნარევს 10% გოგირდოვან გაზთან. განსაზღვრეთ საკონტაქტო

აპარატიდან გამოსული გაზების პროცენტული შედგენილობა, თუ გოგირდოვანი გაზი დაიქანა მთლიანად.

† 53/ განსაზღვრეთ ენგბადის მოცულობა, რომელიც აუცილებელია 80 ლ ნახშირბადის მონოქსიდისა და დიოქსიდის ნარევის დასაწვავად, თუ მათი  $7,2$  გ  $27^{\circ}\text{C}$  და  $3$  ატმ წნევის დროს იკავებს  $2,05$  ლ მოცულობას.

† 54/ განსაზღვრეთ  $60$  მლ ნახშირბადის მონოქსიდის,  $40$  მლ აზოტის მონოქსიდისა და  $120$  მლ ჰაერის შერევით გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა.

† 55/  $50$  მლ აზოტის მონოქსიდისა და აზოტის ნარევის  $25$  მლ ჰაერთან შერევის შემდეგ გაზთა მოცულობამ შეადგინა  $70$  მლ. მიღებულ ნარევს დაუმატეს კიდევ  $145$  მლ ჰაერი, რის შემდეგ ნარევის მოცულობამ შეადგინა  $200$  მლ. განსაზღვრეთ ნარევიში აზოტის მონოქსიდისა და აზოტის, აგრეთვე გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა მათი ჰაერთან პირველი და მეორე შერევის შემდეგ.

† 56/  $4$  ატმ წნევის ქვეშ და  $0^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე აღებული  $2$  ლ მეთანისა და პროპანის ნარევის დასაწვავად დაიხარჯა  $155$  ლ (ნ. პ.) ჰაერი. განსაზღვრეთ ნარევის პროცენტული შედგენილობა.

† 57/ წყალბადის მისაღებ აპარატში გაატარეს ნახშირბადის მონოქსიდისა და წყლის ორთქლის ნარევი  $1:5$  თანაფარდობით. განსაზღვრეთ ნახშირბადის მონოქსიდის გარდაქმნის ხარისხი და წარმოქმნილი ნარევის შედგენილობა, თუ საკონტაქტო აპარატიდან მისი გამოსულის შემდეგ იგი შეიცავს  $5\%$  ნახშირბადის მონოქსიდს.

† 58/  $40$  ლ პროპანისა და მეთანის ნარევის დაწვისათვის დახარჯეს  $170$  ლ ენგბადი. განსაზღვრეთ აღებული ნარევის შედგენილობა.

† 59/ წყალბადის მისაღებ საკონტაქტო აპარატში გაატარეს  $160$  ლ ნახშირბადის მონოქსიდი და  $600$  ლ წყლის ორთქლი (ნ. პ. გადაანგარიშებით). განსაზღვრეთ წარმოქმნილი ნარევის შედგენილობა, თუ მისი  $14$  ლ-ის გატარებისას ტუტის ხსნარში წარმოიქმნა  $4,24$  გ ნატრიუმის კარბონატი და  $3,36$  გ ჰიდროკარბონატი.

† 60/ წყალბადის მისაღებ საკონტაქტო აპარატში გაატარეს ნახშირბადის მონოქსიდისა და წყლის ორთქლის  $600$  მ<sup>3</sup> ნარევი  $1:5$  თანაფარდობით. წყლის კონდენსაციის შემდეგ გაზთა ნარევის მოცულობამ შეადგინა  $160$  მ<sup>3</sup>. განსაზღვრეთ ნახშირბადის მონოქსიდის გარდაქმნის ხარისხი.

† 61/  $900$  მლ ჰაერთან აზოტის მონოქსიდის ნარევი შეიცავდა  $62,23\%$  აზოტს. რეაქციის შემდეგ აზოტის შემცველობა გაიზარდა  $70\%$ -მდე. განსაზღვრეთ ნარევის პროცენტული შედგენილობა რეაქციამდე და რეაქციის შემდეგ.

† 62/ მეთანის წყლის ორთქლთან კონეერსიის (გარდაქმნის) აპარატს

მაწოდეს მათი ნარევი  $\text{CH}_4:\text{H}_2\text{O} = 1:3$  თანაფარდობით. განსაზღვრეთ ლორმალურ პირობებზე დაყვანილი წარმოქმნილ გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა, თუ რეაქციაში შევიდა 80% მეთანი.

66. ევლიომეტრში დაწვეს 100 მლ წყალბადის, მეთანისა და ენგბადის ნარევი. წელის ორთქლის კონდენსაციისა და საწყის პირობებზე გაზის დაყვანის შემდეგ წარმოქმნილი ნარევის მოცულობა 35 მლ-ის ტოლი იყო. ნახშირბადის დიოქსიდის ტუტით მთანთქმის შემდეგ საშთის მოცულობა 25 მლ-ის ტოლი გახდა და მასში მბუუტავი კვარი ანთება. განსაზღვრეთ აღებული ნარევის შედგენილობა.

67. 50 ლ მეთანისა და ეთანის ნარევის დაწვისას წარმოიქმნა 60 ლ  $\text{CO}_2$ . განსაზღვრეთ აღებული ნარევის პროცენტული შედგენილობა.

68. 20 ლ პროპანისა და ბუტანის ნარევის დაწვისას დაიხარჯა 124 ლ ენგბადი. განსაზღვრეთ აღებული ნარევის პროცენტული შედგენილობა.

69. 11,2 ლ პროპან-ბუტანის ნარევის (ნ. პ.) დაწვისას წარმოქმნილი ნახშირბადის დიოქსიდი გაატარეს ნატრიუმის ტუტის ხსნარში, რის შედეგადაც წარმოიქმნა 95,4 გ ნატრიუმის კარბონატი და 84 გ ჰიდროკარბონატი. განსაზღვრეთ პროპან-ბუტანის ნარევის პროცენტული შედგენილობა.

70. 20 ლ (ნ. პ.) აზოტის დიოქსიდისა და აზოტის ნარევის გატარებისას ნატრიუმის ტუტის ხსნარში წარმოიქმნა ნატრიუმის ნიტრიტი და ნიტრატი. ნატრიუმის ნიტრიტის ნიტრატამდე დაქანგვაზე გოგირდმკავა გარემოში დაიხარჯა 12,64 გ კალიუმის პერმანგანატი. განსაზღვრეთ აღებული ნარევის პროცენტული შედგენილობა.

71. განსაზღვრეთ 10% ოზონის შემცველი ოზონირებული ენგბადის მოცულობა, რომელიც საჭიროა 42 ლ პროპანის დაწვისათვის.

72. 73,6 გ ქალკობირიტის  $\text{CuFeS}_2$  დაწვისას 400 ლ ჰაერში (ნ. პ.) წარმოიქმნა  $\text{Cu}_2\text{S}$ ,  $\text{Fe}_2\text{O}_3$  და  $\text{SO}_2$ . განსაზღვრეთ წარმოქმნილ გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა.

73. განსაზღვრეთ გოგირდოვანი ანჰიდრიდის პროცენტული (მოცულობით) შემცველობა გაზში, რომელიც მიღებულია გოგირდის აღმადანის გამოწვისას ერთნახევარჯერ ჰარბ ჰაერში (ნ. პ.).

74. ევლიომეტრში ააფეთქეს 500 მლ ჰაერის ნარევი 20 მლ ეთანისა და ბუტანის ნარევთან, რომლის სიმკვრივე წყალბადის მიმართ 17,8-ის ტოლია. განსაზღვრეთ წარმოქმნილი გაზების ნარევის შედგენილობა. როგორ შეიცვლება წნევა ევლიომეტრში, თუ რეაქციამდე პირობები ნორმალური იყო?



ეკვივალენტი — ეს არის ნივთიერების ისეთი წონითი რაოდენობა, რომელსაც განსაზღვრულ ქიმიურ რეაქციებში შეძლია ჩაინაცვლოს, გამოაძვეოს ან მიიერთოს წყალბადის 1 წ. ნ., ენგბადის 8 წ. ნ., ან სხვა ელემენტის ეკვივალენტური რაოდენობა. ეკვივალენტური მასა — ეს არის ნივთიერების გრამების რაოდენობა, რომელიც რიცხობრივად მისი ეკვივალენტის ტოლია.

ეკვივალენტი  $\mathfrak{Q}$ , ატომური მასა  $A$  და ვალენტობა  $n$  ასეთ თანაფარდობაშია:

$$\mathfrak{Q} = \frac{A}{n}$$

იონის ეკვივალენტი (კატიონის ან ანიონის) მისი მასის მუხტზე განაყოფის ტოლია.

მჟეავას ეკვივალენტი ტოლია მისი მოლეკულური მასის განაყოფისა მჟეავას ფუძიანობაზე ან წყალბადისა და მჟეავური. ნაშთის ეკვივალენტების ჯამისა. მაგალითად, გოგირდმჟეავას მოლეკულური მასა 98-ის ტოლია, ფუძიანობა 2. მისი ეკვივალენტი ტოლი იქნება  $\frac{98}{2} = 49$ , ან  $1+48=49$ , სადაც 1 წყალბადის ეკვივალენტია, ხოლო 48 — მჟეავური ნაშთის ეკვივალენტი.

ფუძის ეკვივალენტი ტოლია. მისი მოლეკულური მასის განაყოფისა ფუძის ჰიდროქსილის ჯგუფების რაოდენობაზე ან ელემენტის ეკვივალენტების, რომლიდანაც წარმოქმნილია ფუძე, და ჰიდროქსილის ჯგუფის ჯამისა. მაგალითად, კალციუმის ჰიდროქსიდის მოლეკულური მასა 74-ის ტოლია, მას აქვს ორი ჰიდროქსილის ჯგუფი, მაშასადამე, მისი ეკვივალენტი ტოლია  $\frac{74}{2} = 37$  ანუ  $20 + 17 = 37$ , სადაც 20 კალციუმის ეკვივალენტია, ხოლო 17 — ჰიდროქსილის ჯგუფის ეკვივალენტი.

მარილის ეკვივალენტი ტოლია მისი მოლეკულური მასის განაყოფისა მარილში ლითონის ატომების რაოდენობასა და მისი ვალენტობის ნამრავლზე, ან ლითონისა და მჟეავური ნაშთის ეკვივალენტების ჯამისა. მაგალითად, ალუმინის სულფატის მოლეკულური მასა 342-ის ტოლია, ერთი მოლეკულა შეიცავს სამეკვივალენტიანი ალუმინის 2 ატომს,

მაშასადამე, ამ მარილის ეკვივალენტი ტოლია  $\frac{342}{6} = 57$  ან  $9 + 48 = 57$ , სადაც 9 ალუმინის ეკვივალენტია, ხოლო 48 — მჟეავური ნაშთის ეკვივალენტი.

ქანგვა-აღდგენით რეაქციებში ნივთიერების ეკვივალენტი ტოლია მისი მოლეკულური მასის განაყოფისა ამ ნივთიერების ერთი მოლეკულის მიმართ რეაქციაში მონაწილე ელექტრონების რიცხვზე. მაგალითად, კალიუმის პერმანგანატით დაქანგვისას შევე გარემოში მანგანუმი აღდგება და მისი დაქანგვლობის ხარისხი იცვლება +7-დან +2-მდე, ე. ი. მისი ერთი ატომი იერთებს 5 ელექტრონს. რამდენადაც კალიუმის პერმანგანატის მოლეკულა შეიცავს მანგანუმის მხოლოდ ერთ ატომს, კალიუმის პერმანგანატის ეკვივალენტი  $\frac{M_{KMnO_4}}{5}$ -ის

ტოლია. კალიუმის პერმანგანატით ნეიტრალურ გარემოში დაქანგვისას მანგანუმის დაქანგვლობის ხარისხი იცვლება +7-დან +4-მდე, ე. ი. მანგანუმის ერთი ატომი იერთებს მხოლოდ 3 ელექტრონს და კალიუმის პერმანგანატის ეკვივალენტი  $\frac{M_{KMnO_4}}{3}$ -ის ტოლია.

თუ რეაქციაში მონაწილეობას ღებულობს აირადი ნივთიერება, აუცრლებელი არ არის მოცულობითი ერთეულები გადავიყვანოთ წონითში: შეიძლება ვისარგებლოთ ე. წ. ეკვივალენტური მოცულობით (ანალოგიურად მოლური მოცულობისა). მოლური მოცულობა — ეს არის მოცულობა, რომელსაც იკავებს 1 მოლი აირადი ნივთიერება ნორმალურ პირობებში. ყველა გაზისათვის იგი 22,4 ლ-ის ტოლია. ეკვივალენტური მოცულობა ეს არის მოცულობა, რომელსაც იკავებს 1 ეკვივალენტი აირადი ნივთიერება. რამდენადაც სხვადასხვა გაზების 1 მოლი შეიცავს ეკვივალენტების სხვადასხვა რიცხვს, ამიტომ სხვადასხვა გაზებისათვის ეკვივალენტური მოცულობა არაერთნაირი იქნება, წყალბადისა და ჰალოგენების ეკვივალენტები მათი ატომური მასების ტოლია. რადგან მათი მოლეკულები შედგება ორი

ატომისაგან, ამიტომ  $\vartheta = \frac{M}{2}$ , ხოლო მათი ეკვივალენტური მოცულობა ტოლია  $\frac{22,4}{2} = 11,2$  ლ მოლისა. ქანგბადისათვის  $\vartheta = \frac{M}{4}$ , ხო-

ლო ეკვივალენტური მოცულობა ტოლი იქნება  $\frac{22,4}{4} = 5,6$  ლ/მოლი. ან სიდიდებით სარგებლობა. ხელსაყრელია ამოცანების ამოხსნის დროს.

ყველა ნივთიერება რეაგირებს ეკვივალენტური რაოდენობებით, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რეაქციაში შესული ნივთიერებებისა და რეაქციის პროდუქტთა რაოდენობები. თუ, მაგალითად, შევას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 0,2 ეკვივალენტი ტუტამ, მაშინ შევააც რეაქციაში შესულია აგრეთვე 0,2 ეკვივალენტი, ან თუ

რეაქციაში შევიდა დამყანგავის ეკვივალენტების განსაზღვრული რაოდენობა, მაშინ რეაქციაში შესულა აღმდგენის ეკვივალენტების ასეთივე რაოდენობა. ლაბორატორიაში ამზადებენ ე. წ. ნორმალური კონცენტრაციის ხსნარს, რომლის 1 ლ შეიცავს ეკვივალენტების განსაზღვრულ რაოდენობას. მუავას ნეიტრალიზაციაზე განსაზღვრული ნორმალური კონცენტრაციის ხსნარში იხარჯება ამავე მოცულობის ისეთივე ნორმალური კონცენტრაციის ხსნარი.

აირადი ნივთიერებების მოლეკულური მასის განსაზღვრისათვის უფრო ხშირად სარგებლობენ ერთი აირის სიმკვრივით მეორის მიმართ. აირის სიმკვრივე წყალბადის, ჰაერის ან ჰელიუმის მიმართ — ეს არის მათი მოლეკულური მასების თანფარდობა:

$$d_{H_2} = \frac{M_x}{M_{H_2}}; \quad d_1 = \frac{M_x}{M_1}; \quad d_{He} = \frac{M_x}{M_{He}},$$

საიდანაც

$$M_x = d_{H_2} M_{H_2} = 2d_{H_2}; \quad M_x = d_1 M_1 = 29d_1;$$

$$M_x = d_{He} M_{He} = 4d_{He}.$$

სითხეებისა და აირადი ნივთიერებების მოლეკულური მასა შეიძლება განესაზღვროთ მენდელეევ-კლაპეირონის განტოლების გამოყენებით, თუ გავზომავთ ნივთიერების მოცულობასა და წნევას სხვადასხვა ტემპერატურაზე (თხევადი ნივთიერებებისათვის — მათი დუღილის ტემპერატურაზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე):

$$Vp = \frac{m}{M} RT,$$

საიდანაც

$$M = \frac{mRT}{Vp},$$

სადაც  $m$  ნივთიერების მასაა;  $R$  — აირის მუდმივა;  $T$  — ტემპერატურა;  $V$  — აირის მოცულობა მოცემულ პირობებში;  $p$  — გაზის წნევა.

მოლეკულური ფორმულის განსაზღვრისათვის ხშირად საჭიროა ვიცოდეთ მოლეკულური მასა. ნივთიერების მოლეკულური ფორმულის განსაზღვრა — ეს ნიშნავს მოქმედნით თანფარდობა იმ ელემენტების ატომებს შორის, რომლებსიგანაც შედგება ამ ნივთიერების მოლეკულა.

## ამოცანათა პირობები

75/ წყალში 1,6 გ ლითონის განსნისას გამოიყო 0,896 ლ (ნ. კ.) წყალბადი. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

76/ 1,89 გ მჟავას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 60 მლ 0,5 N მწვავე კალიუმის ხსნარი. განსაზღვრეთ მჟავას ეკვივალენტი.

77/ 21 გ აზოტმჟავას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 50 გ ლითონის ჰიდროქსიდი. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

78/ ხსნარში მწვავე ნატრიუმის ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 40 მლ 0,2 N მარილმჟავას ხსნარი. განსაზღვრეთ მწვავე ნატრიუმის შემცველობა ხსნარში.

79/ 5,64 გ ლითონის ნიტრატის დამუშავებისას გოგირდმჟავათი წარმოიქმნა 4,8 გ მისი სულფატი. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

80/ 4,32 გ ლითონის დამუშავებისას ქლორით წარმოიქმნა 21,36 გრამი მისი ქლორიდი. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

† 81/ ლითონის ერთი და იგივე რაოდენობა უერთდება 1,42 გ ქლორს და 1,92 გ მჟავურ ნაშთს. განსაზღვრეთ მჟავას ეკვივალენტი და სახელწოდება.

† 82/ 15 გ ლითონის კარბონატის დაშლისას წარმოიქმნა 8,4 გ მისი ოქსიდი. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

83/ დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის მეექვსე ჯგუფის ელემენტის მიერ წარმოქმნილი 5,8 გ მჟავას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 40 მლ 2N მწვავე ნატრიუმის ხსნარი. განსაზღვრეთ მჟავას ეკვივალენტი და სახელწოდება.

† 84/ ხსნარში, რომელიც შეიცავდა 2,24 გ ლითონს სულფატის სახით, ჩაუშვეს თუთიის ფირფიტა. ლითონის სრული გამოყოფის შემდეგ ფირფიტის მასა გაიზარდა 0,94 გ-ით. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

85/ განსაზღვრეთ კრისტალიზაციური წყლის მოლეკულების რაოდენობა კალციუმის ქლორიდის კრისტალჰიდრატში, თუ 4,44 გ მისი უწყლო მარილი წარმოქმნის 8,76 გ კრისტალჰიდრატს.

86/ ხსნარში, რომელიც შეიცავდა 10,88 გ სულემას, ჩაუშვეს სპილენძის ფირფიტა. მთელი ვერცხლისწყლის გამოძევების შემდეგ ფირფიტის მასა გაიზარდა 13,7%-ით. განსაზღვრეთ ჩაშვებული ფირფიტის მასა.

† 87/ ორმუხტიანი იონების წარმომქმნელი ლითონისაგან დამზადებული და ერთნაირი მასის ორი ფირფიტა მოათავსეს — ერთი სპილენძის სულფატის ხსნარში, მეორე — ვერცხლისწყლის სულფატის ხსნარში. რამდენიმე ხნის შემდეგ სპილენძის სულფატის ხსნარში ჩაშვებული ფირფიტის მასა შემცირდა 3,6%-ით, ხოლო მეორე ფირ-

ფიტის მასა გაიზარდა 6,675%-ით. ორივე ხსნარის მოლური კონცენტრაციის შემცირება ერთნაირი იყო. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი და სახელწოდება.

88/ 1,02 გ ნივთიერების დასაუენგად გოგირდმეყავა გარემოში დაიხარჯა 1,896 გ კალიუმის პერმანგანატი. განსაზღვრეთ ამ ნივთიერების ეკვივალენტი.

89/ დახურულ ჭურჭელში 0,24 გ ლითონის დაწვისას წარმოიქმნა მისი ოქსიდი და ნორმალურ პირობებზე დაყვანილი გაზის მოცულობა შემცირდა 112 მლ-ით. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

90/ 20 მლ რკინის (II) სულფატის ხსნარის გატიტრებისათვის გოგირდმეყავა გარემოში დაიხარჯა 30 მლ კალიუმის პერმანგანატის 0,1N ხსნარი. განსაზღვრეთ გახსნილი რკინის აქასპის  $FeSO_4 \cdot 7H_2O$  რაოდენობა, თუ წარმოიქმნა 300 მლ ხსნარი, რომლიდანაც 20 მლ დაიხარჯა გატიტვრაზე.

91/ 2,88 გ ნივთიერების დაწვისას წარმოიქმნა 4,88 ლ (ნ. პ.) ნახშირბადის დიოქსიდი და 4,32 გ წყალი. განსაზღვრეთ ნივთიერების მოლეკულური ფორმულა.

92/ განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი, თუ მისი 2 გ-ის გახსნისას გოგირდმეყავაში წარმოიქმნა 6 გ მისი სულფატი.

93/ 1,84 გ ორგანული ნივთიერების დაწვისას წარმოიქმნა 1,344 გ (ნ. პ.)  $CO_2$  და 1,44 გ წყალი. განსაზღვრეთ ნივთიერების მოლეკულური ფორმულა.

94/ 6,62 გ მძიმე ლითონის ნიტრატის თერმული დაშლისას გამოიყო 1,12 ლ (ნ. პ.) აზოტის დიოქსიდისა და ენგბადის ნარევი. განსაზღვრეთ ლითონის ნიტრატის მოლეკულური ფორმულა.

95/ ორგანული ნივთიერება შეიცავს 85,71% ნახშირბადსა და 14,29% წყალბადს. განსაზღვრეთ ნივთიერების მოლეკულური ფორმულა, თუ მისი 42 გ  $127^{\circ}C$  და 5 ატმ წნევისას იკავებს 3,28 ლ მოცულობას.

96/ განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი, თუ ქლორი, რომელიც გამოყოფილია 6,96 გ მანგანუმის დიოქსიდზე კონცენტრირებული მარილმეყავას მოქმედებისას ამ ლითონთან წარმოქმნის 7,6 გ ქლორიდს.

97/ ხსნარი, რომელიც შეიცავდა სტიროლს  $C_6H_5CH=CH_2$ , მიუმატეს 60 მლ ბრომის  $2N$  ხსნარი. რამდენიმე ხნის შემდეგ მას მიუმატეს ჰარბად კალიუმბიოდიდი, ხოლო კალიუმბიოდიდის ჰარბ ბრომთან რეაქციის შედეგად გამოყოფილი იოდი გატიტრეს ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარით. იოდის გატიტვრაზე დაიხარჯა 20 მლ ნატ-

რიუმის თიოსულფატის 0,1N ხსნარი. განსაზღვრეთ სტიროლის შემცველობა ხსნარში.

98/ 48,3 გ ნატრიუმის სულფატის კრისტალჰიდრატის გავარვარებისას წარმოიქმნა 21,3 გ უწყლო მარილი. განსაზღვრეთ ნატრიუმის სულფატის კრისტალჰიდრატის შედგენილობა.

99/ განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი, თუ 6,8 გ მისი ოქსიდის აღდგენისას აუცილებელია იმდენი წყალბადი, რამდენიც წარმოიქმნებოდა მარილმჟავაში 13 გ თუთიის გახსნის დროს.

100/ 1,44 გ ნივთიერების დაწვისას წარმოიქმნა 0,53 გ სოდა, 1,456 ლ  $\text{CO}_2$  (ნ. პ.) და 0,45 გ წყალი. განსაზღვრეთ ნივთიერების მოლეკულური ფორმულა.

101/ 6,3 გ ნივთიერების დაწვისას წარმოიქმნა 1,59 გ სოდა, 2,07 გ პოტაში, 2,016 ლ  $\text{CO}_2$  (ნ. პ.) და 1,08 გ წყალი. განსაზღვრეთ ნივთიერების მოლეკულური ფორმულა.

102/ 0,54 გ ლითონის გახსნისას მარილმჟავაში წარმოიქმნა 200 მლ მისი ქლორიდის 0,1 M ხსნარი. განსაზღვრეთ, რომელი ლითონი იქნა გახსნილი?

103/ 4,8 გ ლითონის ოქსიდის აღდგენაზე დაიხარჯა 2,016 ლ წყალბადი (ნ. პ.). წარმოქმნილი ლითონის გახსნისას მარილმჟავაში გამოიყო 1,344 ლ წყალბადი (ნ. პ.). განსაზღვრეთ უცნობი ლითონი.

104/ ქლორით გავსებულ დახურულ ჭურჭელში დაწვეს უცნობი ლითონის რაღაც რაოდენობა, რის შედეგადაც წარმოიქმნა 32,5 გ მისი ქლორიდი, ხოლო ქლორის მოცულობა შემცირდა 6,72 ლ-ით (ნ. პ.). განსაზღვრეთ, რომელი ლითონი დაწვეს.

105/ 20 გ მასის მქონე სპილენძის ფირფიტა ჩაუშვეს ვერცხლისწყლის ნიტრატის ხსნარში. მისი მასა გაიზარდა 2,74 გ-ით. შემდეგ ფირფიტა გააცხელეს და მან მიიღო საწყისი სახე. განსაზღვრეთ, როგორ იცვლება ამ დროს ფირფიტის მასა.

106/ დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის მეშვიდე ჯგუფის ელემენტის მიერ წარმოქმნილი 8,04 გ მჟავას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 40 მლ მწვავე ნატრიუმის 2 N ხსნარი. განსაზღვრეთ უცნობი მჟავა.

107/ 5,36 გ თუთიის, ალუმინისა და უცნობი ლითონის შენადნობის გახსნისას მარილმჟავას ხსნარში გამოიყო 2,912 ლ წყალბადი (ნ. პ.), ხოლო ამავე რაოდენობით ტუტის ხსნარში გახსნისას გამოიყო 2,24 ლ წყალბადი (ნ. პ.) და წარმოიქმნა 1,68 გ უხსნადი ნაშთი. განსაზღვრეთ უცნობი ლითონი.

ჟანგვა-აღდგენითი ეწოდება რეაქციებს, რომლებსაც თან სდევს ცალკეული ელემენტების ვალენტური მდგომარეობის ცვლილება.

ჟანგვა ეს არის ატომების ან იონების მიერ ელექტრონების გაცემის პროცესი, აღდგენა — ეს არის ატომის ან იონის მიერ ელექტრონების მიერთების პროცესი. რამდენადაც ერთი ელემენტის ატომები ან იონები იერთებენ ელექტრონებს, რომლებსაც გასცემენ სხვა ელემენტის ატომები ან იონები, ამიტომ ჟანგვის პროცესს ყოველთვის თან ახლავს აღდგენის პროცესი.

ჟანგვა-აღდგენითი პროცესის დროს ელექტრონები ყოველთვის არ გადადიან ერთი ელემენტის ატომებიდან მეორის ატომებისაკენ. კოვალენტური ბმების წარმოქმნისას მიმდინარეობს მხოლოდ ელექტრონული სიმკვრივის გადაწევა ერთ-ერთი ატომის მხარეზე; თუ ერთ-ერთი ატომის ელექტრონული სიმკვრივე იზრდება, მაშინ მეორისათვის ის უნდა შემცირდეს.

მჟანგავი — ეს არის ატომი ან იონი, რომელიც იერთებს ელექტრონებს. აღმდგენი — ეს არის ატომი ან იონი, რომელიც გასცემს ელექტრონებს. ამ დროს მჟანგავი აღდება, ხოლო აღმდგენი — იჟანგება.

ელექტრონის უარყოფითი მუხტის გამო დაჟანგვისას ელემენტის ვალენტობა იზრდება (აღგებრულად), ხოლო აღდგენისას — მცირდება.

ვალენტობა — ეს არის ელემენტის ატომში გაუწყვილებელი ელექტრონების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ ქიმიური ბმების წარმოქმნაში. ატომური მასა, ეკვივალენტი და ვალენტობა ასეთ დამოკიდებულებაშია:

$$n = \frac{A}{9}.$$

იონური ბმის მქონე ნაერთებში განსაზღვრავენ არა მარტო ვალენტობას, არამედ მის ნიშანსაც. მაგალითად, კალიუმქლორიდის მოლეკულაში კალიუმის ვალენტობა +1-ის ტოლია, ხოლო ქლორის —1. ასეთ ვალენტობას ელექტროვალენტობას უწოდებენ. იონურ ნაერთებში ელემენტის ელექტროვალენტობა გამოისახება ელექტრონების რაოდენობით, რომლებსაც ატომი გასცემს ან მიიერთებს.

კოვალენტური ბმის მქონე ნაერთების წარმოქმნისას ხშირად უნდა დავუსვათ ვალენტობის ნიშანი. თუმცა ასეთ შემთხვევებში ვალენტობის ნიშნის განსაზღვრა სავსებით პირობითია, მაგრამ ის ძალიან ხელსაყრელია კოეფიციენტების შერჩევისას ჟანგვა-აღდგენით რეაქციებში. კოვალენტური ბმის მქონე ნაერთებში განსაზღვრავენ

არა ვალენტობას, არამედ დაქანგულობის ხარისხს, რომელიც ითვლება უფრო ზოგად ცნებად, ვიდრე ელექტროვალენტობა. მაგალითად, მოლეკულებში  $H_2O$ ,  $CO_2$ ,  $N_2$  იონები არ არის, ამიტომ ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ არა ელემენტების ელექტროვალენტობაზე, არამედ დაქანგულობის ხარისხზე.

დაქანგულობის ხარისხი გამოისახება ელექტრული მუხტის სიდიდით, თუ დავუშვებთ, რომ ელექტრონები ქიმიური ბმის წარმოქმნისას მთლიანად ეკუთვნიან უფრო ელექტროუარყოფით ატომებს, ე. ი. ატომების დაქანგულობის ხარისხი ნაერთებში იონის მუხტის ტოლია, თუ დავუშვებთ, რომ მოლეკულა მთლიანად შედგება იონებისაგან.

ელემენტის ატომის დაქანგულობის ხარისხის სიდიდე შეიძლება მისი ვალენტობის სიდიდის ტოლი იყოს, ან შეიძლება არც იყოს ტოლი იმიტომ, რომ დაქანგულობის ხარისხი არ ითვალისწინებს ერთი და იგივე ელემენტის ატომებს შორის წარმოქმნილი ელექტრონული წყვილების რაოდენობას.

ქანგვა-აღდგენითი რეაქციების განტოლებების დაწერისას საჭიროა სწორად განისაზღვროს იმ ელემენტების დაქანგულობის ხარისხი, რომლებშიც ის იცვლება. ნაერთში ელემენტების დაქანგულობის ხარისხის განსაზღვრისას აუცილებელია გამოვიყენოთ შემდეგი დებულებები:

1. მოლეკულა ყოველთვის ელექტრონეიტრალურია.
2. ქანგბადს ყველა ნაერთში აქვს დაქანგულობის ხარისხი — 2. გამონაკლისად ითვლებიან ზეჟანგური ნაერთები, რომლებშიც ქანგბადის დაქანგულობის ხარისხი — 1-ის ან სხვა სიდიდის (მაგალითად,  $K_2O_4$ ) ტოლია, და ფთორის ოქსიდი, სადაც ქანგბადის დაქანგულობის ხარისხი +2-ის ტოლია.
3. წყალბადს ყველა ნაერთში აქვს დაქანგულობის ხარისხი +1. გამონაკლისია ჰიდრიდები, სადაც წყალბადის დაქანგულობის ხარისხი — 1-ის ტოლია.
4. ლითონების დაქანგულობის ხარისხი ნაერთებში ყოველთვის დადებითია.
5. მარტივ ნაერთში ელემენტის დაქანგულობის ხარისხი ნულის ტოლია.

ბინარულ ნაერთში ელემენტის დაქანგულობის ხარისხი, თუ ცნობილია ერთ-ერთი ელემენტის დაქანგულობის ხარისხი, ტოლია ცნობილი დაქანგულობის ხარისხის მქონე ელემენტის ატომების რაოდენობისა და ამ დაქანგულობის ხარისხის ნამრავლისა, გაყოფილს უცნობი დაქანგულობის ხარისხის მქონე ელემენტის ატომების რიცხვზე და აღებულს შებრუნებული ნიშნით. მაგალითად, ნაერთში  $MnO_2$  მან-



განუმის დაქანგულობის ხარისხი ტოლია:  $-\frac{2(-2)}{1} = +4$ , ალუმინის ოქსიდში  $Al_2O_3$  ალუმინის დაქანგულობის ხარისხი ტოლია:

$$-\frac{3(-2)}{2} = +3.$$




ელემენტის დაქანგულობის ხარისხის განსაზღვრისას ნაერთში, რომლის მოლეკულა შედგება სამი ელემენტის ატომებისაგან და რომლებიდანაც ორს აქვს ცნობილი დაქანგულობის ხარისხი, ითვლიან უარყოფითი მუხტების რაოდენობას და მას აკლებენ ცნობილი დადებითი მუხტების რაოდენობას. საწინააღმდეგო ნიშნით აღებული სხვაობა იქნება სჭორვდ ელემენტის დაქანგულობის ხარისხი. მაგალითად, ბრომის დაქანგულობის ხარისხი კალიუმის ბრომატში  $KBrO_3$  შეიძლება განისაზღვროს ასე: უარყოფითი მუხტი ქანგბადის ატომების ხარჯზე იქნება  $-6$ : ( $-2 \cdot 3 = -6$ ). იმისათვის, რომ მოლეკულა იყოს ელექტრონეიტრალური, დადებითი მუხტი უნდა იყოს  $6$ . მაშასადამე, ბრომის დაქანგულობის ხარისხი ტოლია  $+5(6-1) = 5$ . იმისათვის, რომ დავწეროთ ქანგვა-აღდგენითი რეაქციების განტოლებები, კარგად უნდა ვიცოდეთ ქანგვაეებისა და აღმდგენების თვისებები.

**აღმდგენები.** აღმდგენები შეიძლება იყოს არალითონები თავისუფალ მდგომარეობაში, მათი ბინარული ნაერთები ლითონებთან, ლითონები და მათი იონები, რომელთაც აქვთ უნარი აიმაღლონ თავიანთი დაქანგულობის ხარისხი და აგრეთვე ლითონებისა და არალითონების რთული იონები, რომლებშიც მათ აქვთ შუალედური დაქანგულობის ხარისხი.


**არალითონები** (წყალბადი, ვოგირდი, ნახშირბადი, სილიციუმი, სელენი და სხვ.) აღმდგენებია, როგორც წესი, მაღალ ან ძალიან მაღალ ტემპერატურაზე. გასცემენ რა ელექტრონებს, არალითონები უმრავლეს შემთხვევაში გარდაიქმნებიან რთულ ნივთიერებად კოვალენტური და უფრო იშვიათად იონური ბმით. ჰალოგენები, როგორც წესი, არ გასცემენ ელექტრონებს, და ჰალოგენების ქანგბადნაერთები წარმოიქმნებიან დისპროპორციონირების რეაქციების დახმარებით ან ელექტროქიმიური დაქანგვის დროს.

**არალითონების ბინარული ნაერთები** ლითონებთან — ეს არის ჰიდრიდები, ბორიდები, ალსენიდები, კარბიდები, სილიციდები, ფოსფიდები, ნიტრიდები, სულფიდები, სელენიდები, ტელურიდები და ჰალოგენიდები. თუ აღმდგენები ეკუთვნიან დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის ერთსა და იმავე ჯგუფს, მაშინ მათი აქტიურობა იზრდება ზევიდან ქვევით. მაგალითად,



ტელურწყალბადი და ტელურიდები ითვლებიან უფრო ძლიერ აღმდგენებად, ვიდრე სელენწყალბადი და სელენიდები, ხოლო უჯანსიკუნის უფრო ძლიერ აღმდგენებად, ვიდრე გოგირდწყალბადი და სელენიდები. ანალოგიურად იქცევიან ჰალოგენიდებიც. ერთი და იგივე დამჟანგავით ბრომიდები და იოდიდები დაიჟანგებიან უფრო ადვილად, ვიდრე ქლორიდები. უარყოფითად დამუხტულ იონებს შეუძლიათ დაიჟანგონ როგორც თავისუფალ არალითონებამდე, ისე უმალესი დაჟანგულობის ხარისხამდე დამჟანგავის აქტიურობაზე დამოკიდებულებით:



ლითონებს აქტიურობის მიხედვით განლაგებენ დაძაბულობის მწკრივებში. მათი აქტიურობა როგორც აღმდგენებისა მცირდება ან რიგში მარცხნიდან მარჯვნივ. ლითონები იჟანგება ასეთი სქემით:




ლითონთა იონებს უნარი აქვთ აიმაღლონ თავისი დაჟანგულობის ხარისხი, მაგალითად, რკინა (II). სპილენძი (I), კალა (II), ვერცხლისწყალი (I), მანგანუმი (II), ქრომი (III) და სხვ., დამჟანგავის ძალასა და გარემოზე დამოკიდებულებით იჟანგებიან ან უმაღლესი დაჟანგულობის ხარისხამდე, ან რომელიმე შუალედურ ხარისხამდე:




რთული მოლეკულები და იონები. აღმდგენების ამჯერდს მიეკუთვნება ისეთ ნივთიერებათა მოლეკულები, რომლებშიც ელემენტებს—აღმდგენებს აქვთ შუალედური დაჟანგულობის ხარისხი: აზოტის მონოქსიდი, ნახშირბადის მონოქსიდი, რკინისა და ქრომის მონოქსიდები, გოგირდისა და მანგანუმის დიოქსიდები, გოგირდოვანი მჟავა და მისი მარილები, აზოტოვანი მჟავა და მისი მარილები, წყალბადის პეროქსიდი და სხვა. ამ ნაერთების მნიშვნელოვან ნაწილს (გოგირდისა და მანგანუმის დიოქსიდები, გოგირდოვანი და აზოტოვანი მჟავები, წყალბადის პეროქსიდი და სხვ.) ნივთიერებების თვისებებზე დამოკიდებულებით, რომლებთანაც ისინი რეაქციაში შედიან, შეუძლიათ გამოამჟღავნონ როგორც ჟანგვითი, ისე აღდგენითი თვისებები. მაგალითად, გოგირდის დიოქსიდი ან

გოგირდოვანმჟავა დამჟანგავებთან, ურთიერთქმედებისას (ჟანგბადი. ჰალოგენები) ამჟღავნებენ აღდგენით, ხოლო, გოგირდწყალბადთან ურთიერთქმედებისას — ჟანგვით თვისებებს.


თავისებურ აღმდგენად ითვლება ნატრიუმის თიოსულფატი. დამჟანგავის ძალაზე დამოკიდებულებით შეიძლება წარმოიქმნას და-  
 ჟანგვის სხვადასხვა პროდუქტი. მაგალითად, თიოსულფატის ნელი დაჟანგვისას შეევა ახ ხეიტრალურ ხსნარში ჰაერის ჟანგბადით გო-  
 გირდის ნაწილი იჟანგება თავისუფალ მდგომარეობამდე:



ძლიერი დამჟანგავები თიოსულფატში გოგირდს ჟანგავენ სულფა-  
 ტამდე:




თიოსულფატის ურთიერთქმედებისას იოდთან წარმოიქმნება ტე-  
 ტრათიონატი:






ას სპეციფიკურ რეაქციას იყენებენ ანალიზურ ქიმიაში მრავალი ნივთიერების იოდმეტრიული განსაზღვრისათვის.

**მ ჟ ა ნ გ ა ვ ე ბ ი.** მჟანგავები შეიძლება იყოს არალითონები, ლი-  
 თონები, ლითონთა იონები და რთული იონები ან მოლეკულები.


**ა რ ა ლ ი თ ო ნ ე ბ ი.** არალითონების ატომებს გარე ელექტრო-  
 ნულ შრეზე აქვს 4-დან 7-მდე ელექტრონი, ამიტომ მათ შეუძლიათ მიიერთონ ელექტრონული წყვილების შესაბამისი რაოდენობა. არა-  
 ლითონების დაჟანგულობის ხარისხი ამ შემთხვევაში გამოსახება უარყოფითი რიცხვით. უფრო აღვილად იერთებენ ელექტრონებს ან წარმოქმნიან საერთო ელექტრონულ წყვილებს მეშვიდე ჯგუფის ელემენტები, უფრო ძნელად — მეოთხე ჯგუფის ელემენტები. მეხუ-  
- 277. განსაზღვრეთ წყალბად-იონთა კონცენტრაცია, რომლის დროსაც შესაძლებელია რკინის (II) იონების პრაქტიკულად სრული დალექვა

გოგირწყალბადით, თუ რკინის მონოსულფატის ხსნადობის ნამრავლი  $5 \cdot 10^{-18}$ -ის ტოლია.

— 278. განსაზღვრეთ რკინის (II) იონების კონცენტრაცია გოგირდწყალბადით ნაჯერ ხსნარში, თუ რკინის (II) სულფიდის ხსნადობის ნამრავლი  $5 \cdot 10^{-18}$ -ის ტოლია.

— 279. როგორი კონცენტრაციის უნდა იყოს მევა, რომ მის 1 ლიტრში გაიხსნას 0,0096 გ სპილენძის სულფიდი, რომლის ხსნადობის ნამრავლი  $6,3 \cdot 10^{-10}$ -ის ტოლია.

— 280. პიკრინმევაჰას (ტრინიტროფენოლის) დისოციაციის კონსტანტა  $5 \cdot 10^{-2}$ -ის ტოლია. განსაზღვრეთ პიკრატ-იონების დისოციაციის ხარისხი და კონცენტრაცია მის 0,1M ხსნარში.

— 281. წყალში ნატრიუმის არსენატის გახსნისას წარმოიქმნა 0,1M ხსნარი, რომლის  $pH=12,26$ . განსაზღვრეთ ამ მარილის ჰიდროლიზის ხარისხი და კონსტანტა, თუ დარიშხანმევაჰას დისოციაციის კონსტანტები ტოლია:

$$K_1 = 6,0 \cdot 10^{-3}; \quad K_2 = 1,05 \cdot 10^{-7}; \quad K_3 = 2,95 \cdot 10^{-12}.$$

— 282. განსაზღვრეთ ნიკელის კარბონატის ხსნადობა გრამებით 1 ლიტრზე, თუ მისი ხსნადობის ნამრავლი  $6,6 \cdot 10^{-9}$ -ის ტოლია.

— 283. განსაზღვრეთ 1 ლიტრ წყალში მაგნიუმის არსენატის ხსნადობა გრამებით, თუ მისი ხსნადობის ნამრავლი  $2,1 \cdot 10^{-20}$ -ის ტოლია.

— 284. 1 ლ წყალში გახსნეს 8,2 გ ნატრიუმის აცეტატი, რის შედეგადაც ხსნარის  $pH$  8,9-ის ტოლი აღმოჩნდა. განსაზღვრეთ ამ ხსნარში ნატრიუმის აცეტატის ჰიდროლიზის კონსტანტა და ხარისხი.

✓ → 285. ქლორის საწყისი კონცენტრაცია შეადგენდა 0,04 მოლ/ლ. მოლეკულური ქლორის 5% დისოციირებულია ატომებად. გამოთვალეთ ამ პროცესის წონასწორობის კონსტანტა.

→ 286. განსაზღვრეთ ამონიუმის ჰიდროქსიდის დისოციაციის ხარისხის ცვლილება 1M მისი ხსნარის 10-ჯერ განზავებისას (ამონიუმის ჰიდროქსიდის დისოციაციის კონსტანტა მოყვანილია მე-2 ცხრილში).

## IX. ჭიმიური რეაქციების ენერგეტიკა

ყველა ჭიმიურ რეაქციას თან ახლავს ენერგიის შთანთქმა ან გამოყოფა. ეს ენერგია შეიძლება იყოს სითბური, ელექტრული, ფოტოჭიმიური, სხივური და სხვ. ვინაიდან სხვადასხვა სახის ენერგიას შორის არსებობს ეკვივალენტობა, ამიტომ ჭიმიური რეაქციების ენერგეტიკული ეფექტების რაოდენობრივი შეფარდებისათვის მათ გადაიანგარიშებენ სითბურ ერთეულზე (ჯოულები ან კალორიები). შთანთქმის

ან გამოყოფის ენერგიაზე დამოკიდებულებით რეაქციებს ყოფენ ეგზოთერმულად და ენდოთერმულად.


ეგზოთერმული რეაქციები — ეს არის რეაქციები, რომლებსაც თან ახლავს ენერგიის გამოყოფა. ენდოთერმული რეაქციები — ეს არის რეაქციები, რომლებსაც, თან ახლავს ენერგიის შთანთქმა. ენერგიის ჯამურ რაოდენობას, რომელიც შთაინთქმება ან გამოიყოფა ქიმიური რეაქციების დროს, უწოდებენ მის სითბურ ეფექტს.

ქიმიური რეაქციების ენერგეტიკის რაოდენობრივად შემსწავლელ ქიმიის განყოფილებას უწოდებენ თერმოქიმიას. თერმოქიმია აფასებს ქიმიური ნაერთების მედეგობას მათი წარმოქმნის რეაქციის სითბური ეფექტით, და აგრეთვე ქიმიური რეაქციების ენერგეტიკულ ხელსაყრელობას განსაზღვრულ პირობებში.


მარტივი ნივთიერებებიდან ქიმიური ნაერთების წარმოქმნის რეაქციების სითბური ეფექტების შედარებისათვის, სითბურ ეფექტებს აკუთვნებენ მათ მოლებს. სიტბო, რომელიც გამოიყოფა ან შთაინთქმება 1 მოლი ქიმიური ნაერთის წარმოქმნისას მარტივი ნივთიერებებიდან, უწოდებენ ამ ნივთიერების წარმოქმნის სითბოს. წარმოქმნის სითბო გამოისახება კილოჯოულებით 1 მოლზე (კჯ/მოლი) ან კილოკალორიებით 1 მოლზე (კკალ/მოლი), 1 კკალ = 4,184 კჯ.

ქიმიური ნაერთების წარმოქმნის სითბო დამოკიდებულია ტემპერატურაზე, ამიტომ სტანდარტინაციისათვის მიღებულია წარმოქმნის სითბო, გაზომილი ან გამოთვლილი  $25^{\circ}\text{C}$ -ზე ( $298\text{ K}$ ), რომელსაც უწოდებენ სტანდარტულს და აღნიშნება  $\Delta H_{298}$ .

წინათ ნაერთების წარმოქმნის სითბოს, მიღებულს ეგზოთერმული რეაქციების დროს, აღნიშნავდნენ დადებითი ნიშნით, ხოლო ნაერთებს, მიღებულს ენდოთერმული რეაქციების დროს — უარყოფითი ნიშნით. თერმოდინამიკაში ამჟამად გამოიყენება ჩაწერის საწინააღმდეგო ფორმა: დადებითი ნიშნით აღნიშნავენ ენდოთერმული რეაქციების სითბურ ეფექტებს. მაგალითად, ქანგბადისა და წყალბადისაგან წყლის წარმოქმნის ეგზოთერმული რეაქციის განტოლება შეიძლება ჩაწეროს:



ხოლო აზოტის მონოქსიდის წარმოქმნის ენდოთერმული რეაქციის განტოლება



ქიმიურ განტოლებას, რომელშიც განსაზღვრულია რეაქციის სითბური ეფექტი, ეწოდება თერმოქიურა. რამდენადაც თერმოქიმიურ განტოლებებში სიმბოლოები და ფორმულები გვიჩვენებენ მორეაგირე ნივთიერებების მოლების რაოდენობას, ამიტომ კოეფი-

ცენტები მათთან შეიძლება იყოს წილადი რიცხვით. ამას აკეთებენ იმიტომ, რომ სითბური ეფექტი დაკავშირებული იყოს 1 მოლი ნივთიერების წარმოქმნასთან ან დაშლასთან. თუ მარტივი ნივთიერებებიდან ქიმიური ნაერთის წარმოქმნისას გამოიყოფა (შთაინჰქმება) სითბოს განსაზღვრული რაოდენობა, მაშინ ამ ნაერთის დაშლისას შთაინჰქმება (გამოიყოფა) სითბოს ასეთივე რაოდენობა. ე. ი. ქიმიური ნაერთის წარმოქმნის სითბო ტოლია ამ ნაერთის დაშლის სითბოსი, მაგრამ გააჩნია საწინააღმდეგო ნიშანი.

თერმოქიმიური განტოლებები, ისევე როგორც ალგებრული, შეიძლება შევცრობოთ და გამოვაკლოთ. განტოლების წევრების გადატანით განტოლების ერთი მხრიდან მეორეზე, მათთან მდგომი ნიშნები იცვლება. ეს შესაძლებლობას გვაძლევს შევარჩიოთ თერმოქიმიური განტოლებების რიგი ცნობილი სითბური ეფექტით, რომ გამოვითვალოთ რეაქციის სითბური ეფექტი, რომელიც არ შეიძლება განისაზღვროს ექსპერიმენტულად (მაგალითად, ნახშირწყალბადების, ნახშირბადის მონოქსიდის, წყალბადის პეროქსიდის და სხვ. წარმოქმნა).

ყველა თერმოქიმიურ განგარიშებას საფუძვლად უდევს თერმოქიმიის მეორე კანონი (პესის კანონი): რეაქციის სითბური ეფექტი დამოკიდებულია მორეაგირე ნივთიერებების საწყის და საბოლოო მდგომარეობაზე და არ არის დამოკიდებული შუალედურ სტადიებზე.

ეს ნიშნავს, რომ თუ რეაქცია მიმდინარეობს ერთბაშად რეაქციის საბოლოო პროდუქტების წარმოქმნით ან განსაზღვრულ სტადიებად შუალედური პროდუქტების წარმოქმნით, მაშინ საბოლოო სითბური ეფექტი ერთნაირი და ყოველ შუალედური რეაქციის სითბური ეფექტების ჯამის ტოლი იქნება.

ამოცანები თერმოქიმიისში შეიძლება პირობითად დაიყოს სამ ჯგუფად.

1. რეაქციის სითბური ეფექტის განსაზღვრა მარტივი ნივთიერებებზეან საბოლოო პროდუქტების წარმოქმნის რეაქციის ცნობილი სითბური ეფექტებ ს დახმარებით.

2. ზოგიერთი ნივთიერების წარმოქმნის სითბოს განსაზღვრა რეაქციის ცნობილი სითბური ეფექტის დახმარებით.

3. განსაზღვრა სითბოს რაოდენობისა, რომელიც გამოიყოფა ან შთაინჰქმება განსაზღვრული რაოდენობით ნივთიერების წარმოქმნისას.

ასეთი ტიპის ამოცანების ამოხსნისას საჭიროა ვისარგებლოთ ზოგიერთი ნაერთის წარმოქმნის სითბოთი, რომლებიც მოყვანილია მე-4 ცხრილში. და ზოგიერთი ნაერთის დაწვის სითბოთი, რომლებიც მოყვანილია მე-5 ცხრილში (იხ. დანართი).



## ამოცანების პირობები

287 განსაზღვრეთ ეთილენის წვის რეაქციის სითბური ეფექტი.

V 288 განსაზღვრეთ  $\text{CO} + \text{H}_2\text{O}_{\text{ორთქლ}} = \text{CO}_2 + \text{H}_2$  რეაქციის სითბური ეფექტი. მ-4 ცხრილის მონაცემების გამოყენებით.

V 289 განსაზღვრეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა 56 ლ პენტან-ჰექსანის ნარევის წვისას, რომლის სიძვერევე წყალბადის მიმართ 38,8 ტოლია (6. 3.).

290 განსაზღვრეთ 28 ლ (6. 3.) აცეტილენის წვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა.

291 განსაზღვრეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა 515 გ აცეტონისა და მეთანოლის ნარევის დაწვისას და რომელთა ორთქლს გაჩნა სიძვერევე წყალბადის მიმართ 25,75.

292 განსაზღვრეთ მეთანოლის წვის რეაქციის სითბური ეფექტი.

293 გამოთვალეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა ფოსფორის ანჰიდრიდიდან 120 გ მეტაფოსფორმეფავას მიღებისას, თუ მეტაფოსფორმეფავა წარმოქმნის სითბო - 226,2 კკალ-ის ტოლია.

294 განსაზღვრეთ გოგირდწყალბადის წვის რეაქციის სითბური ეფექტი. უნდა აღინიშნოს უკმარისობისას.

295 განსაზღვრეთ მეთანის წარმოქმნის სითბო მისი წვის რეაქციის მიხედვით.

296 განსაზღვრეთ 36,48 გ თერმიტის (რკინისა და ალუმინის ფხენილების ნარევი, აღებული სტექიომეტრიული თანაფარდობით) წვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა.

297 ფოსფინის  $\text{PH}_3$  წვის დროს წარმოქმნება ფოსფორის ანჰიდრიდი და წყალი და გამოიყოფა 286,8 კკალ სითბო. განსაზღვრეთ ფოსფორის წარმოქმნის სითბო.

298 7 გ რკინის შეერთებისას გოგირდთან გამოიყოფა 2,9 კკალ სითბო. განსაზღვრეთ რკინის სულფიდის წარმოქმნის სითბო.

299 ლ ქლორის (6. 3.) ურთიერთქმედებით წყალბადთან გამოიყოფა 3,91 კკალ სითბო. განსაზღვრეთ ქლორწყალბადის წარმოქმნის სითბო.

300 განსაზღვრეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა 14,4 გ მგრგვინავი გაზის აფეთქებისას და წარმოქმნილი წყლის ორთქლის კონდენსაციის დროს.

## ა. ამოცანები დამოუკიდებელი ამოცანისათვის

1. ხსნარში რომელიც შეიცავდა 7,32 გ კადმიუმის ქლორიდს, ჩაძირეს თუთიის ფირფიტა. მისი მასა გაჩნარდა 1,646 გ-ით. განსაზღვრეთ კადმიუმის გამოქვეყნების ხარისხი და ხსნარში წარმოქმნილი მარილების შედგენილობა.

4. დაწვეს 2 ლ გაზების ნარევი (ნ. პ.), რომელიც შეიცავდა პროპანს. წარმოქმნილი გაზები გაატარეს კალციუმის ჰიდროქსიდის ხსნარში, რის შედეგადაც წარმოიქმნა 8 გ კალციუმის კარბონატი და 12,96 გ ჰიდროკარბონატი. განსაზღვრეთ პროპანის პროცენტული შემცველობა გასთა ნარევეში.

5. ხსნარს, რომელიც შეიცავდა 10,36% ნატრიუმის კარბონატს, დაუმატეს მარილმჟავას შემცველი ხსნარი, და ააორთქლეს, წარმოიქმნა 10,67 გ უწყლო მარილები. განსაზღვრეთ ქლორწყალბადის შემცველობა ხსნარში.

6. განსაზღვრეთ 8% მინარევეების შემცველი დოლომიტის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია 28 მ<sup>3</sup> ნახშირორჟანგის (ნ. პ.) მისაღებად.


7. ხსნარში, რომელიც შეიცავდა 3,42 გ ბარუუმის ჰიდროქსიდს, გაატარეს 2,5 ლ გაზი (ნ. პ.), რომელიც შეიცავდა 40% NO<sub>2</sub>. ხსნარი ამოაწრეს. განსაზღვრეთ მშრალი ნაშთის შედგენილობა.

8. სპილენძის კონცენტრატი შეიცავს სპილენძის მონოსულფიდსა და რკინის ალმადანს. კონცენტრატის გამოწვისას კოქსის თანაობით რკინის ალმადანი იყენება გოგირდის დიოქსიდამდე და რკინის მონოქსიდამდე, რომელიც წარმოქმნის რკინის (II) სილიკატს და გადადის წიდაში, ხოლო სპილენძის მონოსულფიდი — Cu<sub>2</sub>S-მდე, რომელიც წარმოქმნის ე. წ. შტეინს. 80% სპილენძის მონოსულფიდისა და 20% რკინის ალმადანის შემცველი სპილენძის კონცენტრატის გამოწვისათვის დაიხარჯა 10 000 მ<sup>3</sup> ჰაერი (ნ. პ.). განსაზღვრეთ წარმოქმნილი გაზების ნარევის შედგენილობა.

9. რა მოცულობის ამიაკი (ნ. პ.) უნდა დავწვათ, რომ წარმოიქმნას 350 კგ აზოტმჟავას 99%-იანი ხსნარი, თუ წარმოების პროცესში აზოტმჟავად გარდაიქმნება მხოლოდ 98,56% ამიაკი?

10. 73,5 გ ბერთოლეს მარილის ვახურებისას მისი ნაწილი იშლება ჟანგბადის გამოყოფით, ხოლო ნაწილი — კალიუმის პერქლორატისა და ქლორიდის წარმოქმნით. განსაზღვრეთ მშრალი ნაშთის შედგენილობა, თუ გამოიყო 10,08 ლ ჟანგბადი (ნ. პ.).

11. ამონიუმის დიქრომატის თერმული დაშლა მიმდინარეობს სქემით:



განსაზღვრეთ დიქრომატის პროცენტული შემცველობა მარილში, თუ მისი 32 გ-ის დაშლისას წარმოიქმნა 20 გ. მყარი ნაშთი (მინარევეების ქიმიური შედგენილობა ვახურებისას არ იცვლება).

12. 25 გ კალციუმის კარბონატის თერმული დაშლისას წარმოიქმნა

17,3 გ მყარი ნაშთი. განსაზღვრეთ კალციუმის კარბონატის დაშლის ხარისხი და მყარი ნაშთის შედგენილობა.

11. ხსნარს, რომელიც შეიცავდა 9,12 გ რკინის (II) სულფატს და 9,8 გ გოგირდმჟავას, დაუმატეს ხსნარი, რომელიც შეიცავდა 1,58 გ კალიუმის პერმანგანატს. განსაზღვრეთ მარილებისა და გოგირდმჟავას შედგენილობა წარმოქმნილ ხსნარში.

12. განსაზღვრეთ კირქვის რაოდენობა, რომელიც უნდა გარღავქნათ კალციუმის კარბონატად, რომ მისგან მივიღოთ 418 კგ ძმრის ალდეჰიდი, თუ მისი პრაქტიკული გამოსავალი შეადგენს 95%-ს.

13. 6,06 გ კალიუმის ნიტრატის გახურებისას წარმოიქმნა 5,34 გ მყარი ნაშთი. განსაზღვრეთ კალიუმის ნიტრატის დაშლის ხარისხი.

14. ხსნარს, რომელიც შეიცავდა 10,8 გ სპილენძის ქლორიდს, დაუმატეს ხსნარი, რომელიც შეიცავდა 1,7 გ გოგირდწყალბადს. წყალი ააორთქლეს. განსაზღვრეთ მყარი ნაშთის შედგენილობა.

15. ქლორწყალბადი, რომელიც წარმოიქმნა კალციუმის ქლორიდის შემცველი 1,25 გ მარილის დამუშავებისას ჭარბი გოგირდმჟავათი, შთანთქმეს ვერცხლის ნიტრატის ხსნარით, რის შედეგადაც წარმოიქმნა 2,87 გ ვერცხლის ქლორიდი. განსაზღვრეთ, კალციუმის ქლორიდის პროცენტული შედგენილობა მარილში.

16. ხსნარს, რომელიც შეიცავდა 9,36 გ ნატრიუმის ქლორიდს, მიუმატეს გოგირდმჟავა. ხსნარი ააორთქლეს. მშრალი ნაშთის მასა 10,86 გ-ის ტოლი აღმოჩნდა. განსაზღვრეთ დამატებული გოგირდმჟავას რაოდენობა და წარმოქმნილი მშრალი ნაშთის შედგენილობა.

17. შაბიამნის ხსნარში ჩაძირეს რკინის ფირფიტა. განსაზღვრეთ მასზე გამოყოფილი სპილენძის რაოდენობა, თუ მისი მასა გაიზარდა 1,2 გ-ით.

18. განსაზღვრეთ გოგირდის დიოქსიდის, ნახშირბადის მონოქსიდისა და დიოქსიდისაგან შედგენილი ვაზების ნარევის შედგენილობა, თუ მისი 20 ლ-ის გატარებისას ტუტის ხსნარში მოცულობა შემცირდა 8 ლ-მდე, ხოლო მისი სიმკვრივე ჰელიუმის მიმართ 10,4-ის ტოლია.

19. ამიაკურ ხსნარს, რომელიც შეიცავდა 5,1 გ ვერცხლის ნიტრატს, დაუმატეს ხსნარი, რომელიც შეიცავდა 2,2 გ ძმრის ალდეჰიდს. განსაზღვრეთ ძმრის ალდეჰიდის უანგვიანი რეაქტივების მთლიანად აღდგენის შემდეგ.

20. 3,28 ლ ნახშირბადის მონოქსიდისა და მეთანის ნარევის მასა 27°C და 3,75 ატმ დროს 10,4 გ-ის ტოლია. განსაზღვრეთ ჰაერის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია მოცემული ნარევის დასაწვავად.

21. განსაზღვრეთ უანგვანდისა და ჰაერის მოცულობა, რომელიც აუცილებელია 60% პროპანისა და 40% ბუტანის შემცველი 30 ლ პროპან-ბუტანის ნარევის დასაწვავად.

† 2. განსაზღვრეთ ჟანგბადისა და ჰაერის მოცულობა. რომელიც სა-  
ჭიროა 90% ნახშირბადის, 4% წყალბადის, 4% ჟანგბადისა და  
2% მინერალური მინარეების შემცველი 8 კგ სათბობის დასაწვავად.

2. ხსნარს, რომელიც შეიცავდა მაგნიუმის ჰიდროკარბონატს, დაუ-  
მატეს ხსნარი, რომელიც შეიცავდა 4,44 გ კალციუმის ჰიდროქსიდს,  
რის შედეგადაც წარმოიქმნა 6,45 გ კალციუმის კარბონატისა და მაგ-  
ნიუმის ჰიდროქსიდის ნარევი. განსაზღვრეთ მაგნიუმის ჰიდრო-  
კარბონატის შემცველობა ხსნარში.

3. ბრომის წყალხსნარში გაატარეს 5,6 ლ გაზების ნარევი (ნ. პ.),  
რომელიც შედგებოდა ბუტანისა, პენტანისა და ბუტილენისაგან. რეაქ-  
ციაში შევიდა 12 გ ბრომი. განსაზღვრეთ გაზების ნარევის პროცენ-  
ტული შედგენილობა, თუ მისი სიმკვრივე წყალბადის მიმართ 29,4-ის  
ტოლია.

4. განსაზღვრეთ 20% ჟანგბადისა და 80% აზოტისაგან შედგენი-  
ლი გაზების ნარევის სიმკვრივე ჰელიუმის მიმართ.

5. ხსნარს, რომელიც შეიცავდა 4,8 გ სპილენძის სულფატს, ჰარ-  
ბად დაუმატეს მწვანე ნატრიუმი, ხოლო შემდეგ 0,4 გ კიანჭველმეყავა.  
განსაზღვრეთ სპილენძის (I) ოქსიდის რაოდენობა, რომელიც წარმოიქ-  
მნება კიანჭველმეყავას სრული დაჟანგვის შემდეგ.

6. განსაზღვრეთ 25% ოზონის შემცველი ოზონირებული ჟან-  
გბადის მოცულობა, რომელიც აუცილებელია 90 ლ ნახშირბადის მონო-  
ოქსიდისა და წყალბადის ნარევის დასაწვავად. ნარევის სიმკვრივე  
წყალბადის მიმართ 11,1 ტოლია.

7. ევლიომეტრში დაწვეს 80 მლ ნახშირბადის მონოქსიდიანი  
წყალბადისა და 120 მლ ჟანგბადის ნარევი. ორთქლგაზური ნარევის  
მოცულობა, დაყვანილი საწყის პირობებთან 160 მლ-ის ტოლი იყო,  
ხოლო წყლის ორთქლის კონდენსაციის შემდეგ — 100 მლ. განსაზღ-  
ვრეთ აღებული და წარმოქმნილი ნარევების შედგენილობა.

8. საკონტაქტო აპარატში აზოტწყალბადის ნარევის გატარებისას  
რეაქციაში შევიდა ნარევის 20%. განსაზღვრეთ საკონტაქტო აპარატი-  
დან გამოძვარულ გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა.

9. განსაზღვრეთ 20% ნახშირბადის მონოქსიდის, 20% აზოტისა და  
60% წყალბადის შემცველი გაზების ნარევის სიმკვრივე ჰელიუმის  
მიმართ.

10. განსაზღვრეთ, რომელ ტემპერატურაზე აქვს 5 ლ მეთანს მასა  
2,846 გ, თუ წნევა 1 ატმ ტოლია.

11. რას უდრის ოზონირებული ჟანგბადის (შეიცავს 8% ოზონს)  
მოცულობა, რომელიც აუცილებელია 52 ლ მეთანის დაწვისათვის?

12. 6,8 გ ლითონის ნიტრატის თერმული დაშლისას წარმოიქმნა  
5,52 გ ნიტრიტი. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

13. 30 ლ მეთანისა და ნახშირბადის მონოქსიდის დაწვისათვის

დაიხარჯა 24 ლ ქანგბადი. განსაზღვრეთ ნარევის პროცენტული შედეგნილობა.

~~35.~~ მარილმკვავას ხსნარში ჩაძირეს 50 გ მასის მქონე ლითონის ფირფიტა. 33 მლ წყალბადის (ნ. პ.) გამოძევების შემდეგ ფირფიტის მასა შემცირდა 1,68 %-ით. რის ტოლია ლითონის ეკვივალენტი, რომლისგანაც დამზადებულია ფირფიტა?

~~36.~~ ხსნარში, რომელიც შეიცავდა 4 გ სპილენძის სულფატს, ჩაძირეს კადმიუმის ფირფიტა. სპილენძის სრული გამოძევების შემდეგ ფირფიტის მასა შემცირდა 3%-ით. განსაზღვრეთ ხსნარში ჩაძირული ფირფიტის მასა.

~~37.~~ 2,25 გ ნივთიერების დაწვისას წარმოიქმნა 0,45 გ წყალი და 1,12 ლ (ნ. პ.) ნახშირბადის დიოქსიდი. ნივთიერების მოლეკულური მასა 90-ის ტოლია. განსაზღვრეთ ნივთიერების მოლეკულური ფორმულა.

~~38.~~ 5 ლ ტვეადობის კოლბა გაავსეს ქანგბადით (ნ. პ.). მასში 5,8 გ ლითონის დაწვის შემდეგ წნევა შემცირდა 0,588 ატმ-მდე. როგორია ლითონის ეკვივალენტი?

~~39.~~ 4,44 გ ლითონის ქლორიდის გოგირდმკვავათი დამუშავებისას წარმოიქმნა 5,44 გ მისი სულფატი. რას უდრის ლითონის ეკვივალენტი?

~~40.~~ ნახშირბადის მონოქსიდისა და დიოქსიდის 200 მლ ნარევი შეურიეს 800 მლ ჰერს. ნახშირბადის მონოქსიდის დაწვის შემდეგ აბოტის შემცველობა წარმოქმნილ ნარევაში გაიზარდა 3,37%-ით. განსაზღვრეთ ნახშირბადის მონოქსიდისა და დიოქსიდის პროცენტული შემცველობა მათ საწყის ნარევაში.

~~41.~~ ერთნაირი რაოდენობით ლითონი უერთდება 0,40 გ ქანგბადსა და 3,10 გ მეთანურ ნაშთს. განსაზღვრეთ მეთანის ეკვივალენტი.

~~42.~~ ორმუხტიანი იონის წარმომქმნელი ლითონისაგან დამზადებული ტოლი მასის მქონე ორი ფირფიტა ჩაძირეს: ერთი სპილენძის ქლორიდის ხსნარში, მეორე — კადმიუმის ქლორიდის ხსნარში. რამდენიმე წლის შემდეგ სპილენძის ქლორიდის ხსნარში ჩაძირული ფირფიტის მასა გაიზარდა 1,2%-ით, ხოლო მეორის მასა — 8,4%-ით. სპილენძისა და კადმიუმის ქლორიდების მოლური კონცენტრაციები ერთნაირად შემცირდა. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი და სახელწოდება.

~~43.~~ კადმიუმის სულფატის ხსნარში ჩაძირეს 50 გ მასის მქონე ტუთიან ფირფიტა. რეაქციის შემდეგ, რომლის შედეგადაც მთლიანად გამოძევებული კადმიუმი გამოიყო ფირფიტაზე, მისი მასა გაიზარდა 3,76%-ით. რამდენი კადმიუმი გამოიყო ფირფიტაზე?

~~44.~~ აბოტმეთანში გახსნეს 3,84 გ ლითონი, რის შედეგადაც წარ-

მოიქმნა 11,28 გ ლითონის ნიტრატი. განსაზღვრეთ მისი ეკვივალენტი  
№ 1.2 გ ლითონის ოქსიდის გახსნისათვის დაიხარჯა 30 მლ 1N  
მარ-ლმეკავას ხსნარი. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

46. ნივთიერება შედგება 34,59% ნატრიუმის, 23,31% ფოსფორ-  
სა და 42,10% ქანვბადისაგან. განსაზღვრეთ ნივთიერების მოლეკულუ-  
რი ფორმულა.

47. ნივთიერება, რომლის სიმკვრივე წყალბადის მიმართ 21-ის  
ტოლია, შედგება 85,71% ნახშირბადისა და 14,29% წყალბადისაგან.  
განსაზღვრეთ მისი მოლეკულური ფორმულა.

48. განსაზღვრეთ ნატრიუმის სულფატის პროცენტული კონცენ-  
ტრაცია ხსნარში, რომელიც წარმოქმნილია 644 გ გლაუბერის მარილის  
 $\text{Na}_2\text{SO}_4 \cdot 10\text{H}_2\text{O}$  956 გ წყალში გახსნით.

49. 9,84 გ ნივთიერების დაწვისას წარმოიქმნა 6,36 გ ნატრიუმის  
კარბონატი, 3,24 გ წყალი და 4,032 ლ (ნ. პ.) ნახშირბადის დიოქსიდი.  
განსაზღვრეთ ნივთიერების მოლეკულური ფორმულა.

50. განსაზღვრეთ პროცენტული კონცენტრაცია ხსნარისა, რომე-  
ლიც წარმოქმნილია ვოგირდმეკავას 500 გ 60%-იანი და 300 გ 40%-  
იანი ხსნარების შერევით.

51. განსაზღვრეთ პროცენტული კონცენტრაცია ხსნარისა, რომე-  
ლიც წარმოქმნილია 280 ლ (ნ. პ.) ბრომწყალბადის გახსნით 1 ლ  
წყალში.

52. განსაზღვრეთ მოლური კონცენტრაცია ხსნარისა, რომელიც წარ-  
მოქმნილია ნატრიუმის აცეტატის 200 მლ 0,5M და 600 მლ 1,5M  
ხსნარების შერევით.

53. განსაზღვრეთ პროცენტული კონცენტრაცია ხსნარისა, რომე-  
ლიც წარმოქმნილია 600 მლ წყლის 600 მლ კონცენტრირებულ მარილ-  
მეკავასთან შერევით.

54. განსაზღვრეთ კონცენტრაცია ნატრიუმის იოდიდის ხსნარისა,  
რომელიც წარმოქმნილია 465 გ მისი კრისტალჰიდრატის  $\text{NaI} \cdot 2\text{H}_2\text{O}$   
1045 გ 35,83%-იანი ნატრიუმის იოდიდის ხსნარში გახსნით.

55. განსაზღვრეთ რაოდენობა ჰიანჰველმეკავას 50%-იანი ხსნარისა,  
რომელიც საჭიროა დაეუმატოთ 400 გ 10%-იან ხსნარს, რომ წარმო-  
იქმნას 30%-იანი ხსნარი.

56. რა რაოდენობით აზოტმეკავას 40%-იანი ხსნარი უნდა დაე-  
მატოთ 120 გ 5%-იან ხსნარს, რომ წარმოიქმნას 20%-იანი ხსნარი?

57. განსაზღვრეთ წყლის რაოდენობა, რომელსაც უნდა დაემატოთ  
400 მლ კონცენტრირებული გოგირდმეკავა ( $d=1,84$  გ/სმ<sup>3</sup>,  $c=98\%$ ),  
რომ წარმოიქმნას გოგირდმეკავას 30%-იანი ხსნარი.

58. განსაზღვრეთ სპილენძის ბრომიდის კრისტალჰიდრატის  $\text{CuBr}_2 \cdot$   
 $4\text{H}_2\text{O}$  რაოდენობა, რომელიც უნდა გავხსნათ 351 გ სპილენძის ბრო-

მიღის 1,61%-იან ხსნარში, რომ წარმოიქმნას 10,68%-იანი ხსნარი.

~~58.~~ განსაზღვრეთ წყლის მინიმალური რაოდენობა, რომელშიც შეიძლება გაიხსნას 250 გ ბარიუმის ქლორიდის კრისტალჰიდრატი  $\text{BaCl}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$ , რომელიც შეიცავს 2,4% წყალში უხსნად მინარევებს (უწყლო მარილის ხსნადობა იხ. დანართის ცხრ. 1).

~~59.~~ განსაზღვრეთ წყლის რაოდენობა, რომელშიც უნდა გავხსნათ 143 გ კრისტალური სოდა  $\text{Na}_2\text{CO}_3 \cdot 10\text{H}_2\text{O}$ , რომ წარმოიქმნას ნატრიუმის კარბონატის 21,2%-იანი ხსნარი.

~~60.~~ განსაზღვრეთ ნატრიუმის კარბონატის 5%-იანი ხსნარის რაოდენობა, რომელშიც უნდა გავხსნათ 100 გ კრისტალური სოდა, რომ წარმოიქმნას ნატრიუმის კარბონატის 15%-იანი ხსნარი.

~~61.~~ განსაზღვრეთ წყლის რაოდენობა, რომელიც უნდა დაემატოს 600 გ მწვავე კალიუმის 20%-იან ხსნარს, რომ წარმოიქმნას 15%-იანი ხსნარი.

~~62.~~ განსაზღვრეთ გოგირდის ტრიოქსიდისა და გოგირდმჟეავას 73,5%-იანი ხსნარის რაოდენობა, რომლებიც აუცილებელია 250 გ გოგირდმჟეავას 83,3%-იანი ხსნარის დასამზადებლად.

~~63.~~ რა რაოდენობით გოგირდმჟეავას 73,5%-იან ხსნარში შეიძლება გაიხსნას 100 გ გოგირდის ანჰიდრიდი, რომ წარმოიქმნას გოგირდმჟეავას 83,3%-იანი ხსნარი?

~~64.~~ რამდენი წყალი და სპილენძის ნიტრატის კრისტალჰიდრატი  $\text{Cu}(\text{NO}_3)_2 \cdot 3\text{H}_2\text{O}$  აუცილებელია 400 გ სპილენძის ნიტრატის 23,5%-იანი ხსნარის დასამზადებლად?

~~65.~~ რა რაოდენობით წყალი და აზოტმჟეავას 63%-იანი ხსნარი არის აუცილებელი 945 გ აზოტმჟეავას 15%-იანი ხსნარის მოსამზადებლად?

~~66.~~ მარილმჟეავაში გახსნეს 4.04 გ რკინისა და რკინის ხენჯის ნარევი. შემდეგ ამიაკით დალექეს რკინის (II) ჰიდროქსიდი, რომელიც ჰაერის ჟანგბადით იფანგება რკინის (III) ჰიდროქსიდამდე. ნალექი გაფილტრეს და გამოწვეს, რის შედეგადაც წარმოიქმნა 4.4 გ რკინის (III) ოქსიდი. განსაზღვრეთ აღებული ნარევის შედგენილობა.

~~67.~~ განსაზღვრეთ ბარიუმის ნიტრატის ნაჯერი ხსნარის პროცენტული კონცენტრაცია  $100^\circ\text{C}$ -ზე, თუ მისი ხსნადობა ამ ტემპერატურაზე 300 გ-ის ტოლია.

~~68.~~ რამდენი სპილენძის ქლორიდის კრისტალჰიდრატი  $\text{CuCl}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$  გამოკრისტალდება, თუ 1050 გ  $100^\circ\text{C}$ -ზე ნაჯერ ხსნარს (უწყლო მარილის ხსნადობა 110 გ) გავაციებთ  $20^\circ\text{C}$ -მდე (უწყლო მარილის ხსნადობა 72,7 გ)?

~~69.~~ რამდენი ალუმინის სულფატის კრისტალჰიდრატი  $\text{Al}_2(\text{SO}_4)_3 \cdot 18\text{H}_2\text{O}$  გამოკრისტალდება, თუ 1134 გ  $100^\circ\text{C}$ -ზე ნაჯერ ხსნარს (უწყ-

ლო მარილის ხსნადობა 89 გ) გავაცივებთ 20°C-მდე (უწყლო მარილის ხსნადობა .36,2 გ)?

71. განსაზღვრეთ ამონიუმის ქლორიდის რაოდენობა, რომელიც გამოკრისტალდება 414 გ 80°C-ზე ნაჭერი ხსნარის (ხსნადობა 65,6 გ) გაციებისას 20°C-მდე (ხსნადობა 37,2 გ).

72. 3,12 გ ნატრიუმისა და კალციუმის ჰიდრიდების ნარევის წყალში გახსნისას წარმოიქმნა ტუტეების ხსნარი, რომელთა ნეიტრალიზაციას დაიხარჯა 140 მლ აზოტმქვეას 1N ხსნარი, განსაზღვრეთ ჰიდრიდების ნარევის შედგენილობა.

73. 20 მლ მარილმქვეასა და აზოტმქვეას ხსნარის ნეიტრალიზაციისათვის დაიხარჯა 25 მლ მწვავე კალიუმის 0,4 N ხსნარი. 200 მლ ამ ხსნარის ნეიტრალიზაციისას მწვავე კალიუმით და ხსნარის აორთქლებისას წარმოიქმნა 9,04 გ მშრალი კალიუმის ნიტრატისა და ქლორიდის ნარევი. განსაზღვრეთ ხსნარში მქვეების მოლური კონცენტრაცია.

74. განსაზღვრეთ 10%-იანი ხსნარის რაოდენობა, რომელიც უნდა მიემატოს 200 გ 30%-იან ხსნარს, რომ წარმოიქმნას ტუტის 26%-იანი ხსნარი.

75. განსაზღვრეთ წყლის რაოდენობა, რომელშიც უნდა გავხსნათ 426 გ ფოსფორის ანჰიდრიდი, რომ წარმოიქმნას ფოსფორმქვეას 49%-იანი ხსნარი.

76. განსაზღვრეთ გოგირდმქვეას 49%-იანი ხსნარის რაოდენობა, რომელშიც უნდა გავხსნათ 280 გ გოჯრდის ანჰიდრიდი, რომ წარმოიქმნას გოგირდმქვეას 78,4%-იანი ხსნარი.

77. გოგირდმქვეაში 8,28 გ ალუმინისა და ალუმინის ოქსიდის ნარევის გახსნისას წარმოიქმნა 34,2 გ უწყლო ალუმინის სულფატი. განსაზღვრეთ აღებული ნარევის შედგენილობა.

78. განსაზღვრეთ ვერცხლის რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა კათოდზე, თუ ხსნარში გაათარეს 0,67 ამპ. ძალის ელექტრული დენი 8 საათის განმავლობაში.

79. 6,32 გ ნატრიუმის კარბონატისა და ჰიდროკარბონატის ნარევის გოგირდმქვეათი დამუშავებისას წარმოიქმნა 6,39 გ უწყლო ნატრიუმის სულფატი. განსაზღვრეთ აღებული ნარევის შედგენილობა.

80. ხსნარს, რომელიც შეიცავდა 15,9 გ მავნიუმისა და კალიუმის სულფატების ნარევს, დაუმატეს ჰარბად ბარიუმის ქლორიდი, რის შედეგადაც წარმოიქმნა 25,63 გ ბარიუმსულფატი. განსაზღვრეთ აღებული ნარევის შედგენილობა.

81. ხსნარი სუსპენზიის სახით შეიცავდა 56,1 გ კალციუმისა და მაგნიუმის კარბონატების ნარევს. მათი ჰიდროკარბონატებად გარდაქმნისათვის დაიხარჯა 7 ლ ეთანის (ნ. პ.) დაწვისას წარმოქმნილი ნახშირორჟანგი. განსაზღვრეთ კარბონატების ნარევის შედგენილობა.



~~82.~~ კალიუმქლორიდის ხსნარით გავსებულ ელექტროლიზურში და ვერცხლის კულონომეტრში ელექტრული დენის გატარებისას კულონომეტრის კათოდზე გამოიყო 0,54 გ ვერცხლი. განსაზღვრეთ ხსნარში წარმოქმნილი მწვავე კალიუმის რაოდენობა.

~~83.~~ ტუტე ლითონის ქლორიდის ხსნარის ელექტროლიზის დროს წარმოიქმნა 1,02 გ ტუტე და 112 მლ წყალბადი (ნ. პ.). განსაზღვრეთ ტუტე ლითონის სახელწოდება და ეკვივალენტი.

~~84.~~ ვერცხლის ნიტრატის ხსნარში 0,402 ამპ. ძალის ელექტრული დენის გატარებისას 2 საათის განმავლობაში გამოიყო 3,078 გ ვერცხლი. განსაზღვრეთ ვერცხლის გამოსავალი დენის მიხედვით.

~~85.~~ გახსნეს 3,58 გ ქრომის სულფატის კრისტალჰიდრატი  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3 \cdot 18\text{H}_2\text{O}$ . განსაზღვრეთ, რა დროს განმავლობაში არის საჭირო 2,5 ამპ. ძალის დენის გატარება, რომ ქრომი მთლიანად გამოიყოს. ქრომის გამოსავალი დენის მიხედვით (ელექტრული დენის გამოყენების ხარისხი) 80,4%-ის ტოლია.

~~86.~~ ნატრიუმის სულფატის ხსნარში 67 ამპ. ძალის ელექტრული დენის გატარებისას 20 საათის განმავლობაში გამოიყო 532 ლ წყალბადი (ნ. პ.). განსაზღვრეთ წყალბადის გამოსავალი დენის მიხედვით.

~~87.~~ 300 მლ მარილმჟავას 0,2 N ხსნარის ნეიტრალიზაციისათვის დაიხარჯა 2,68 გ კალციუმისა და მაგნიუმის კარბონატების ნარევი. განსაზღვრეთ კარბონატების ნარევის შედგენილობა.

~~88.~~ გოგირდმჟავაში 5,24 გ სპილენძისა და თუთიის ოქსიდებს ნარევის გახსნისას წარმოიქმნა 10,44 გ სპილენძისა და თუთიის უწყლო სულფატები. განსაზღვრეთ აღებული ოქსიდების ნარევის შედგენილობა.

~~89.~~ ხსნარი შეიცავს 4,65 გ ნიკელის სულფატს. განსაზღვრეთ დენის ძალა, რომლის დროსაც ხსნარიდან მთლიანად შეიძლება გამოიყოს ნიკელი 4 საათის განმავლობაში.

~~90.~~ ლითონის ქლორიდის ნაღნობის ელექტროლიზის დროს წარმოიქმნა 0,44 ლ ქლორი (ნ. პ.) და 1,56 გ ლითონი. განსაზღვრეთ, რომელი ლითონის ქლორიდმა ვანიცადა ელექტროლიზი.

~~91.~~ სამ კულონომეტრში, რომელთაგან ერთი იყო ვერცხლის, ხოლო სხვა ორი უცნობი ლითონისა, გაატარეს განსაზღვრული რაოდენობით ელექტრობა, რის შედეგადაც ვერცხლის კულონომეტრის კათოდის მასა გაიზარდა 4,32 გ-ით, ხოლო ორი სხვა კულონომეტრის კათოდების მასა გაიზარდა შესაბამისად 1,3 და 2,24 გ-ით. განსაზღვრეთ, რომელი ლითონებისაგან არის დამზადებული კულონომეტრები.

~~92.~~ 200 მლ სპილენძისა და ვერცხლის ნიტრატების ხსნარში 0,804 ამპ. ძალის ელექტრული დენის გატარებისას 2 საათის განმავლობაში  
5. ა. სერედა

კათოდზე გამოიყო 3,44 გ ლითონები. განსაზღვრეთ სპილენძისა და ვერცხლის ნიტრატების მოლური კონცენტრაცია ხსნარში.

97. განსაზღვრეთ ბარიუმის კარბონატის წყალში ხსნადობა (გ/ლ), თუ მისი ხსნადობის ნამრავლი  $5,1 \cdot 10^{-3}$ -ის ტოლია.

98. განსაზღვრეთ პროპიონმჟავს  $0,1 N$  ხსნარში წყალბად-იონების კონცენტრაცია და pH, თუ მისი დისოციაციის კონსტანტა  $1,35 \cdot 10^{-5}$ -ის ტოლია.

99. განსაზღვრეთ, წყალბად-იონების როგორი კონცენტრაციის დროს შეიძლება პრაქტიკულად მთლიანად დაველეკოთ ტყვიის იონები გოგირდწყალბადით, თუ გოგირდწყალბადის კონცენტრაცია ნაჯერ ხსნარში  $0,1$  მოლი/ლ ტოლია (ტყვიის სულფიდის ხსნადობის ნამრავლი მოყვანილია დანართის მე-3 ცხრილში, ხოლო გოგირდწყალბადმჟავას დისოციაციის კონსტანტები — მე-2 ცხრილში).

100. ნატრიუმსელენიტის  $0,1 M$  ხსნარში წყალბად-იონების კონცენტრაცია  $2,19 \cdot 10^{-11}$  გ-იონი/ლ-ს ტოლია. სელენოვანმჟავას დისოციაციის კონსტანტები მოყვანილია დანართის მე-2 ცხრ-ში. განსაზღვრეთ ამ ხსნარის ჰიდროლიზის კონსტანტა და ხარისხი.

101. განსაზღვრეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა 56 ლ ეთან-პროპანის ნარევის (6. 3.) დაწვისას, რომლის სიმკვრივე წყალბადის მიმართ 17,8 ტოლია (ეთანისა და პროპანის დაწვის სითბოები მოცემულია დანართის მე-5 ცხრილში).

102. განსაზღვრეთ პროპანის წვის რეაქციის სითბური ეფექტი ( $CO_2$ ,  $C_2H_6$  და  $H_2O$ -ს წარმოქმნის სითბო იხ. დანართის მე-4 ცხრილში).

103. განსაზღვრეთ ბუტანის წარმოქმნის სითბო მისი წვის რეაქციის მიხედვით, რომლის სითბური ეფექტი 687,8 კკალ/მოლის ტოლია (იხ. დანართის ცხრ. 4 და 5).

104. განსაზღვრეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა 560 ლ ამიაკის (6. 3.) კატალიზური დაწვისას (იხ. დანართის ცხრ. 4 და 5).

105. განსაზღვრეთ ჰარბ ეანგბადში გოგირდწყალბადის წვის რეაქციის სითბური ეფექტი (იხ. დანართის ცხრ. 5).

106. განსაზღვრეთ ბენზოლის წარმოქმნის სითბო მისი წვის რეაქციის მიხედვით, რომლის სითბური ეფექტი 789 კკალ/მოლის ტოლია (იხ. დანართის ცხრ. 4).

107. განსაზღვრეთ ვერცხლის ქლორიდის ხსნადობა (გ/ლ-ით) წყალში, თუ მისი ხსნადობის ნამრავლი  $1,78 \cdot 10^{-10}$  ტოლია.

108. განსაზღვრეთ ნატრიუმტელურიტის  $0,1 M$  ხსნარის ჰიდროლიზის ხარისხი და კონსტანტა (ტელუროვანმჟავას დისოციაციის კონსტანტები მოყვანილია დანართის ცხრ. 2).

~~105.~~ წყალბადის მიღების პროცესში მეთანის კონვერსიის დროს საკონტაქტო აპარატში აწოდებდნენ მეთანისა და ნახშირორჟანგის ტოლი მოცულობების ნარევეს. განსაზღვრეთ წარმოქმნილი ნარევის პროცენტული შედგენილობა, თუ რეაქციაში შევიდა საწყისი ნარევის 80%.

~~106.~~ გოგირდმჟავაში 2,52 გ ლითონის გახსნისას წარმოიქმნა 6,84 გ მისი სულფატი. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

~~107.~~ ხსნარში, რომელიც შეიცავდა სულფატის სახით 4,8 გ ლითონს, ჩაძირეს 50 გ მასის მქონე რკინის ფირფიტა. ლითონის მთლიანად გამოყოფის შემდეგ ფირფიტის მასა გაიზარდა 1,2%-ით. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

~~108.~~ განსაზღვრეთ ნივთიერების ფორმულა, რომელიც შეიცავს 68,85% ნახშირბადს, 4,92% წყალბადსა და 26,23% ენგბადს.

~~109.~~ 3,03 გ ტუტე ლითონის ნიტრატის გახურებისას წარმოიქმნა 2,55 გ ნიტრიტი. განსაზღვრეთ ლითონის ეკვივალენტი.

~~110.~~ განსაზღვრეთ წყალის რაოდენობა, რომელშიც 40°C-ზე შეიძლება გაიხსნას 200 გ კალიუმქლორიდი, და წარმოქმნილი ხსნარის კონცენტრაცია.

~~111.~~ 2,9 გ მჟავას ნეიტრალიზაციას, რომელიც წარმოქმნილია დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის VI ჯგუფის ელემენტის მიერ, დასჭირდა 80 მლ მწვავე ნატრიუმის 0,5M ხსნარი. განსაზღვრეთ მჟავას ფორმულა.

~~112.~~ განსაზღვრეთ ძმრის ანჰიდრიდის რაოდენობა, რომელიც უნდა გავხსნათ 288 გ წყალში, რომ წარმოიქმნას ძმარმჟავას 80%-იანი ხსნარი.

~~113.~~ განსაზღვრეთ გოგირდის ანჰიდრიდის რაოდენობა, რომელიც უნდა გავხსნათ 300 გ გოგირდმჟავას 49%-იან ხსნარში, რომ წარმოიქმნას გოგირდმჟავას 78,4%-იანი ხსნარი.

~~114.~~ 5,35 გ თუთიისა და თუთიის მონოქსიდის ნარევის გასახსნელად დაიხარჯა 100 გ მარილმჟავას 5,11%-იანი ხსნარი. განსაზღვრეთ ნარევის შედგენილობა.

~~115.~~ განსაზღვრეთ მწვავე კალიუმის 10%-იანი და 50%-იანი ხსნარების რაოდენობა 400 გ 25%-იანი ხსნარის მოსამზადებლად.

~~116.~~ ვერცხლის ქლორიდის დალექვას 7,8 გ კალიუმისა და მაგნიუმის ქლორიდების ნარევისაგან დასჭირდა 240 მლ ვერცხლის ნიტრატის 0,5M ხსნარი. განსაზღვრეთ ქლორიდების ნარევის შედგენილობა.

~~117.~~ 3,8 გ ნატრიუმისა და კალიუმის ჰიდრიდების ნარევის წყლით დამუშავებისას გამოიყო 2,8 ლ წყალბადი (ნ. პ). განსაზღვრეთ კალიუმისა და ნატრიუმის ჰიდრიდების შედგენილობა.

~~118.~~ 3,16 გ კალიუმის პერმანგანატზე იმოქმედეს ჰარბი მარილმჟავათი. რეაქციის აირადი პროდუქტი მთლიანად შევიდა რეაქციაში 500 მლ გოგირდოვანწყავას 0,1 M ხსნართან. განსაზღვრეთ წყალბადიონების კონცენტრაცია მიღებულ ხსნარში.


119. ხსნარში, რომელიც შეიცავდა 8,9 გ სპილენძისა და კადმიუმის სულფატების ნარევის, გაატარეს 1,34 ამპ. ძალის ელექტრული დენი. განსაზღვრეთ ნარევის შედგენილობა, თუ სპილენძისა და კადმიუმის სრულ გამოყოფას დასჭირდა 2 საათი.

120. განსაზღვრეთ ამიაკის მოცულობა (ნ. პ.), რომელიც გამოიყოფა 763 გ ნაჭერი ხსნარის 20°C-მდე გაცხელებით.

# აგოცანების ამოხსნა

## I. ქიმიური განტოლებები

1. დოლომიტის თერმული დაშლა მიმდინარეობს განტოლებით:





პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით გამოიყო 8,96 ლ ანუ  $\frac{8,96}{22,4} = 0,4$  მოლი  $\text{CO}_2$ . რეაქციის განტოლების თანახმად 2 მოლი  $\text{CO}_2$  გამოიყოფა 1 მოლი დოლომიტის დაშლით, ხოლო 0,4 მოლი  $\text{CO}_2$  გამოიყოფა 0,2 მოლი დოლომიტის დაშლით. ამრიგად 40 გ მადანი შეიცავს 0,2 მოლ ანუ  $0,2 \cdot 184 = 36,8$  გ დოლომიტს, რაც შეადგენს  $\frac{36,8 \cdot 100}{40} = 92\%$ .

მეორე ხერხი. დოლომიტის დაშლის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 44,8 ლ  $\text{CO}_2$  გამოიყოფა 184 გ დოლომიტის დაშლით, 8,96 ლ  $\text{CO}_2$  " " " " " "

$$x = \frac{8,96 \cdot 184}{44,8} = 36,8 \text{ გ.}$$

მაშასადამე, 40 გ მადანი შეიცავდა 36,8 გ დოლომიტს, რაც შეადგენს 92%-ს.


2. კალიუმის კარბონატისა და ჰიდროკარბონატის ურთიერთქმედება აზოტმეავასთან მიმდინარეობს განტოლებებით:




პირველი ხერხი: ამოცანის პირობის მიხედვით  $19,32 \text{ გ ანუ } \frac{19,32}{138} = 0,14$  მო-

ლი კალიუმის კარბონატი რეაქციაში შევიდა  $12,6 \text{ გ ანუ } \frac{12,6}{63} = 0,2$  მოლ აზოტმეავასთან. კალიუმის კარბონატის აზოტმეავასთან რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი კალიუმის კარბონატი რეაგირებს 1 მოლ აზოტმეავასთან 1 მოლი კალიუმის ჰიდროკარბონატის და 1 მოლი კალიუმის ნიტრატის წარმოქმნით, ხოლო 0,14 მოლი კალიუმის კარბონატი რეაქციაში შევა 0,14 მოლ აზოტმეავასთან 0,14 მოლ კალიუმის ჰიდროკარბონატისა და 0,14 მოლი კალიუმის ნიტრატის წარმოქმნით. დარჩენილი 0,06 მოლი ( $0,2 - 0,14 = 0,06$ ) აზოტმეავა რეაქციაში შევა კალიუმის ჰიდროკარბონატთან. ამ რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი აზოტმეავა რეაგირებს 1 მოლ კალიუმის ჰიდროკარბონატთან 1 მოლი კალიუმის ნიტრატის, წყლისა და  $\text{CO}_2$ -ის წარმოქმნით, ხოლო 0,06 მოლი აზოტმეავა რეაქციაში შევა 0,06 მოლ კალიუმის ჰიდროკარბონატთან 0,06 მოლი კალიუმის ნიტრატის, 0,06 მოლი ანუ  $22,4 \cdot 0,06 = 1,344$  ლ ნახშირორჟანგის წარმოქმნით. ამრიგად, რეაქციის შედეგად წარმოიქმნება 0,2 მოლი ( $0,14 + 0,06 = 0,20$ ) ანუ  $0,2 \cdot 101 = 20,2$  გ კალიუმის ნიტრატი


და 0,08 მოლი ( $0,14 - 0,06 = 0,08$ ) ანუ  $0,08 \cdot 100 = 8$  გ კალიუმის ჰიდროკარბონატი.  
 შეორე ხერხი. კალიუმის კარბონატის აზოტმეავასთან რეაქციის განტოლუ-  
 ბიდან ჩანს, რომ




მშასადამე, 8,62 გ აზოტმეავა რეაქციაში შევა კალიუმის კარბონატთან, ხოლო  
 მისი დარჩენილი  $12,6 - 8,62 = 3,78$  გ. რეაქციაში შევა კალიუმის ჰიდროკარბონატ-  
 თან. პირველი განტოლებიდან ჩანს, რომ




ჰიდროკარბონატის აზოტმეავასთან რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ




ამავე განტოლებიდან ჩანს, რომ



პირველი განტოლებიდან ჩანს, რომ




ან



ამრიგად, მიიღება 20,2 გ ( $14,14 + 6,06 = 20,2$ ) კალიუმის ნიტრატი და 8 გ  
 ( $14 - 6 = 8$ ) კალიუმის ჰიდროკარბონატი.

8. კალიუმის პერმანგანატის თერმული დაშლა მიმდინარეობს რეაქციის ასეთი გან-  
 ტოლებით:





316 გ  $KMnO_4$ -ის დაშლის დროს წარმოიქმნება 197 გ  $K_2MnO_4$ ,  
 25,28 გ  $KMnO_4$ -ის " " " "  $x_1$  გ  $K_2MnO_4$ ,


$$x_1 = \frac{197 \cdot 25,28}{316} = 15,76 \text{ გ};$$

316 გ  $KMnO_4$ -ის დაშლის დროს წარმოიქმნება 87 გ  $MnO_2$ ,  
 25,28 გ  $KMnO_4$ -ის " " " "  $x_2$  გ  $MnO_2$ ,

$$x_2 = \frac{87 \cdot 25,28}{316} = 6,96 \text{ გ}.$$

ამრიგად, 37,44 გ მყარი ნაშთი შეიცავდა 8,4 გ მინარევებს, 15,76 გ კალიუმის მანგანატს, 6,96 გ მანგანუმის დიოქსიდს და 6,32 გრამ ( $40 - 8,4 - 15,76 - 6,96 - 2,56 = 6,32$ ) კალიუმის პერმანგანატს.

ნ. ბერთოლეს მარილის თერძული დაშლის რეაქცია კატალიზატორის თანაობისას მიმდინარეობს განტოლების მიხედვით:



პირველი ხერხი. ნარევის მასის შემცირება გამოწვეულია ენგბადის გარდაქმნით. ბერთოლეს მარილის დაშლის დროს გამოიყო 7,68 გ ( $20 - 12,32 = 7,68$ )

ანუ  $\frac{7,68}{32} = 0,24$  მოლი ენგბადი. ბერთოლეს მარილის დაშლის რეაქციის განტოლე-

ბიდან ჩანს, რომ 3 მოლი  $O_2$  გამოიყოფა 2 მოლი  $KClO_3$ -ის დაშლის დროს, ხოლო 0,24 მოლი  $O_2$  წარმოიქმნება 0,16 მოლი ანუ 0,16  $\cdot 122,5 = 19,6$  გ  $KClO_3$ -ის დაშ-

ლის დროს. მაშასადამე, ნარევი უფილა 19,6 გ ანუ  $\frac{19,6 \cdot 100}{20} = 98\%$  ბერთოლეს

მარილი და 0,4 გ ( $20 - 19,6 = 0,4$ ) ანუ  $\frac{0,4 \cdot 100}{20} = 2\%$  კალიუმის ქლორიდი.

მეორე ხერხი. ბერთოლეს მარილის დაშლის დროს წარმოიქმნა 12,32 გ კალიუმის ქლორიდი და გამოიყო 7,68 გ ენგბადი. რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ


96 გ  $O_2$  გამოიყოფა 245 გ  $KClO_3$ -ის დაშლის დროს,  
 7,68 გ  $O_2$  " "  $x$  გ  $KClO_3$ -ის " "

$$x = \frac{245 \cdot 7,68}{96} = 19,6 \text{ გ}.$$

მაშასადამე, ნარევი უფილა 19,6 გ ანუ  $\frac{19,6 \cdot 100}{20} = 98\%$  ბერთოლეს მარილი

და 0,4 გ ( $20 - 19,6 = 0,4$ ) ანუ  $\frac{0,4 \cdot 100}{20} = 2\%$  კალიუმის ქლორიდი.  $\sqrt$

მ. სპილენძის ურთიერთქმედება ვერცხლის ნიტრატთან მიმდინარეობს შემდეგი განტოლებით:



პირველი ხერხი. რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 2 მოლი ვერცხლის ნიტრატის ურთიერთქმედებისას 1 მოლი სპილენძთან, სპილენძის ფორფიტაზე უნდა გამოიყოს 2 მოლი ანუ  $2 \cdot 108 = 216$  გ ვერცხლი და 1 მოლი სპილენძი უნდა გადა-



ვიდეს ხსნარში. ფირფიტის მასა უნდა გადიდდეს  $216 - 64 = 152$  გ-ით. ამოცანის პირობის თანახმად ფირფიტის მასა გაიზარდა  $\frac{80 \cdot 7,6}{100} = 6,08$  გ-ით. ეს ნიშნავს, რომ

ხსნარში გადაეიდა  $\frac{6,08}{152} = 0,04$  მოლი სპილენძი, ხოლო რეაქციის განტოლების თანახმად ხსნარი შეიცავდა  $2 \cdot 0,04 = 0,08$  მოლ ანუ  $0,08 \cdot 108 = 8,64$  გ ვერცხლს.


შეორებები. რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ სპილენძის ფირფიტაზე 216 გ ვერცხლის გამოყოფისას 64 გ სპილენძი გადადის ხსნარში და ფირფიტის მასა იზარდება მხოლოდ  $216 - 64 = 152$  გ-ით. ამოცანის პირობის თანახმად ფირფიტის მასა გაიზარდა 6,08 გ-ით. აქედან

152 გ-ით მასის გაზარდისას გამოიყოფა 216 გ ვერცხლი,  
6,08 გ-ით " " " " x გ ვერცხლი,

$$x = \frac{6,08 \cdot 216}{152} = 8,64 \text{ გ.}$$

მაშასადამე, ხსნარი შეიცავდა 8,64 გ ვერცხლს.

7. კალციუმის კარბონატი რეაქციაში შედის ნახშირორჟანგთან წყლიან გარემოში შემდეგი განტოლების თანახმად:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით რეაქციაში შევიდა 8,96 ლ ანუ  $\frac{8,96}{22,4} = 0,4$  მოლი ნახშირორჟანგი, ხოლო სუსპენზია შეიცავდა 50 გ ანუ

$\frac{50}{100} = 0,5$  მოლ კალციუმის კარბონატს. რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი ნახშირორჟანგი რეაქციაში შედის 1 მოლ კალციუმის კარბონატთან, და 0,4 მოლი ნახშირორჟანგი რეაქციაში შედის 0,4 მოლ კალციუმის კარბონატთან, და მისი 0,1 მოლი ( $0,5 - 0,4 = 0,1$ ) ანუ  $0,1 \cdot 100 = 10$  გ რჩება სუსპენზიაში. ამრიგად, მყარ ფაზაში რჩება 10 გ კალციუმის კარბონატი.


შეორებები. რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

22,4 ლ  $\text{CO}_2$  რეაქციაში შედის 100 გ  $\text{CaCO}_3$ -თან,  
8,96 ლ  $\text{CO}_2$  " " " x გ  $\text{CaCO}_3$ -თან,

$$x = \frac{8,96 \cdot 100}{22,4} = 40 \text{ გ.}$$

მაშასადამე, 40 გ კალციუმის კარბონატი გადადის ხსნარში, ხოლო მისი 10 გ ( $50 - 40 = 10$ ) რჩება მყარ ფაზაში.

8. ჩამქრალი კირი რეაქციაში შედის ნახშირორჟანგთან შემდეგი განტოლების თანახმად:




წარმოქმნილი კალციუმის კარბონატი რეაქციაში შედის ჰაერ ნახშირორჟანგთან წინა ამოცანაში მოყვანილი განტოლების თანახმად.

ამოცანის პირობით ნარევი შეცაიდა 39,2% ანუ  $0,392 \cdot 8 = 3,136$  ლ ნახშირორჟანგს.


პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით  $7,4$  გ ანუ  $\frac{7,4}{74} = 0,1$  მოლი

კალციუმის ჰიდროქსიდი ურთიერთქმედებს  $3,136$  ლ ანუ  $\frac{22,4}{3,136} = 0,14$  მოლ ნახშირორჟანგთან. კალციუმის ჰიდროქსიდის ნახშირორჟანგთან რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ კალციუმის ჰიდროქსიდის  $1$  მოლი ურთიერთქმედებს  $1$  მოლ ნახშირორჟანგთან  $1$  მოლი კალციუმის კარბონატის წარმოქმნით, ხოლო  $0,1$  მოლი კალციუმის ჰიდროქსიდი რეაქციაში შედის  $0,1$  მოლ ნახშირორჟანგთან  $0,1$  მოლ კალციუმის კარბონატის წარმოქმნით. დარჩენილი  $0,04$  მოლი ( $0,14 - 0,1 = 0,04$ ) ნახშირორჟანგი, კალციუმის კარბონატთან ნახშირორჟანგის რეაქციის განტოლების თანახმად, შევა რეაქციაში  $0,04$  მოლ კალციუმის კარბონატთან  $0,04$  მოლი კალციუმის ჰიდროკარბონატის წარმოქმნით. მაშასადამე, ნახშირორჟანგის მთლიანად გახსნის შემდეგ წარმოიქმნება  $0,06$  მოლი ( $0,1 - 0,04 = 0,06$ ) ანუ  $0,06 \cdot 100 = 6$  გ კალციუმის კარბონატი.

მეორე ხერხი. კალციუმის ჰიდროქსიდის ნახშირორჟანგთან რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ




$$x = \frac{7,4 \cdot 22,4}{74} = 2,24 \text{ ლ.}$$



$$x_1 = \frac{7,4 \cdot 100}{74} = 10 \text{ გ.}$$


დარჩენილი  $0,896$  ლ ( $3,136 - 2,24 = 0,896$ ) ურთიერთქმედებს კალციუმის კარბონატთან. ამ განტოლების თანახმად



$$x_2 = \frac{0,896 \cdot 100}{22,4} = 4 \text{ გ.}$$

მაშასადამე, ნახშირორჟანგის მთლიანად შთანქმის შემდეგ წარმოიქმნება  $6$  გ ( $10 - 4 = 6$ ) კალციუმის კარბონატი.

მ. ბენზოლი ეთილენთან ურთიერთქმედებს ასეთი განტოლებით:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით რეაქციაში შევიდა

$$\frac{200 \cdot 89,6}{100} = 179,2 \text{ გ ანუ } \frac{179,2}{22,4} = 8 \text{ კმოლი ეთილენი. რეაქციის განტოლებიდან}$$

ჩანს, რომ  $8$  კმოლი ეთილენი რეაქციაში შევა  $8$  კმოლ ანუ  $8 \cdot 78 = 624$  კგ ბენზოლთან  $8$  კმოლ ანუ  $8 \cdot 106 = 848$  კგ ეთილბენზოლის წარმოქმნით. მაშასადამე, რეაქციის პროდუქტები შეიცავენ  $848$  კგ ეთილბენზოლსა და  $152$  კგ ( $776 - 624 = 152$ ) ბენზოლს. რეაქციის პროდუქტების მასა  $1000$  კგ-ის ( $152 + 848 = 1000$ ) ტოლი იქნება, იგი შეიცავს  $84,8\%$  ეთილბენზოლს და  $15,2\%$  ბენზოლს.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით რეაქციაში შევიდა  $\frac{200 \cdot 89,6}{100} = 179,2$  მ<sup>3</sup> ეთილენი. რეაქციის განტოლების თანახმად

22,4 მ<sup>3</sup> ეთილენი ურთიერთქმედებს 78 კგ ბენზოლთან,  
179,2 მ<sup>3</sup> " " " " " " x კგ "

$$x = \frac{78 \cdot 179,2}{22,4} = 624 \text{ კგ.}$$



იმავე განტოლების თანახმად

78 კგ ბენზოლი წარმოქმნის 106 კგ ეთილბენზოლს,  
624 კგ " " " " " " x<sub>1</sub> კგ "

$$x_1 = \frac{106 \cdot 624}{78} = 848 \text{ კგ.}$$

მაშასადამე, რეაქციის პროდუქტები შეიცავენ 848 კგ ეთილბენზოლსა და 152 კგ (776 - 624 = 152) ბენზოლს. მათი მასა 1000 კგ-ის (848 + 142 = 1000) ტოლი იქნება; იგი შეიცავს 84,8% ეთილბენზოლს და 15,2% ბენზოლს.

10. ბერთოლეს მარილის დაშლა მიმდინარეობს შემდეგი რეაქციების განტოლებების თანახმად:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით  $88,2 \text{ გ ანუ } \frac{88,2}{122,5} = 0,72$  მოლი ბერთოლეს მარილის დაშლით გამოიყო 13,44 ლ ანუ  $\frac{13,44}{22,4} = 0,6$

მოლი ეანგბადი. ბერთოლეს მარილის დაშლის პირველი რეაქციიდან ჩანს, რომ 3 მოლი ეანგბადი გამოიყოფა 2 მოლი ბერთოლეს მარილის დაშლის დროს, ხოლო 0,6 მოლი ეანგბადი წარმოიქმნება 0,4 მოლი ბერთოლეს მარილის დაშლის დროს. თანაც აგრეთვე წარმოიქმნება 0,4 მოლი კალიუმის ქლორიდი, მაშასადამე, 0,72 მოლი ბერთოლეს მარილიდან 0,4 მოლი იშლება ეანგბადის გამოყოფით, ხოლო 0,32 მოლი (0,72 - 0,4 = 0,32) იშლება ეანგბადის გამოყოფის გარეშე (2) განტოლების თანახმად. ამ განტოლებიდან ჩანს, რომ 4 მოლი ბერთოლეს მარილიდან წარმოიქმნება 3 მოლი კალიუმის პერქლორატი და 1 მოლი კალიუმის ქლორიდი, ხოლო 0,32 მოლი ბერთოლეს მარილი წარმოქმნის 0,24 მოლ ანუ  $0,24 \cdot 138,5 = 33,24$  გ კალიუმის პერქლორატს და 0,08 მოლ კალიუმის ქლორიდს. სულ კალიუმის ქლორიდი წარმოიქმნება 0,48 მოლი (0,4 + 0,08 = 0,48) ანუ  $0,48 \cdot 74,5 = 35,76$  გ. მთელი ნაშთის მასა 69 გ-ის ტოლი იქნება.




მეორე ხერხი. ბერთოლეს მარილის დაშლის რეაქციის პირველი განტოლებიდან ჩანს, რომ

67,2 ლ O<sub>2</sub> გამოიყოფა 245 გ KClO<sub>3</sub>-ის დაშლისას,  
13,44 ლ O<sub>2</sub> " " " " " " x გ KClO<sub>3</sub>-ის


$$x = \frac{13,44 \cdot 245}{67,2} = 49 \text{ გ.}$$



კარგია ვისარგებლოთ ფოსფორმეაყას ნეიტრალიზაციის ასეთი რეაქციების განტოლებებით:




ამოცანის პირობის მიხედვით 5,88 გ ფოსფორმეაყა რეაქციაში შევიდა 8,4 გ მწვავე კალიუმთან. ნეიტრალიზაციის რეაქციის პირველი განტოლებიდან ჩანს, რომ




$$x = \frac{56 \cdot 5,88}{98} = 3,36 \text{ გ.}$$

ნეიტრალიზაციის რეაქციის მეორე განტოლებიდან ჩანს, რომ




$$x_1 = \frac{112 \cdot 5,88}{98} = 6,72 \text{ გ.}$$

ნეიტრალიზაციის რეაქციის მესამე განტოლებიდან ჩანს, რომ




$$x_2 = \frac{168 \cdot 5,88}{98} = 10,08 \text{ გ.}$$

აქედან გამომდინარეობს, რომ ამოცანის პირობის მონაცემებით 8,4 გ მწვავე კალიუმი ჰარბია მთელი ფოსფორმეაყას გარდასაქმნელად კალიუმის ჰიდროფოსფატად (6,72 გ), და არასაქმარისია მისი სრული გარდაქმნისათვის კალიუმის ფოსფატად (10,08 გ). მწვავე კალიუმის 8,4 გ-დან 6,72 გ იხარჯება ფოსფორმეაყას გარდასაქმნელად კალიუმის ჰიდროფოსფატად, ხოლო 1,68 გ (8,4 - 6,72 = 1,68) — კალიუმის ჰიდროფოსფატის გარდასაქმნელად ფოსფატად. ფოსფორმეაყას ნეიტრალიზაციის რეაქციის მეორე განტოლებიდან ჩანს, რომ



$$x_3 = \frac{174 \cdot 5,88}{98} = 10,44 \text{ გ.}$$

კალიუმის ჰიდროფოსფატის მწვავე კალიუმთან რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ



$$x_4 = \frac{174 \cdot 1,68}{56} = 5,22 \text{ გ.}$$


იმავე განტოლებიდან ჩანს, რომ

$$174 \text{ გ } K_2HPO_4 \text{ წარმოქმნის } 212 \text{ გ } K_3PO_4, \\ 5,22 \text{ გ } K_2HPO_4 \quad \quad \quad \text{ " } \quad x_5 \text{ გ } K_3PO_4,$$

$$x_5 = \frac{212 \cdot 5,22}{174} = 6,36 \text{ გ.}$$

მაშასადამე, ხსნარის აორთქლების შემდეგ ნაშთში იქნება 6,36 გ კალიუმის ფოსფატი და 5,22 გ (10,44 - 5,22 = 5,22) კალიუმის ჰიდროფოსფატი.

12. რეაქცია ვერცხლის ნიტრატსა და ალუმინის ქლორიდს შორის მიმდინარეობს ასეთი განტოლებით:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით ერთი ხსნარი შეიცავს 11,99 გ ანუ  $\frac{11,9}{170} = 0,07$  მოლ ვერცხლის ნიტრატს, ხოლო მეორე — 2,67 გ ანუ

$\frac{2,67}{133,5} = 0,02$  მოლ ალუმინის ქლორიდს. რეაქციის განტოლებით 3 მოლი  $AgNO_3$  ურ-

თიერთქმედებს 1 მოლ  $AlCl_3$ -თან და წარმოიქმნება 3 მოლი  $AgCl$  და 1 მოლი  $Al(NO_3)_3$ , ხოლო 0,02 მოლი  $AlCl_3$  რეაქციაში შევა 0,06 მოლ  $AgNO_3$ -თან და წარმოქმნის 0,06 მოლ ანუ  $0,06 \cdot 143,5 = 8,61$  გ  $AgCl$  და 0,02 მოლ ანუ  $0,02 \cdot 213 = 4,26$  გ  $Al(NO_3)_3$ , რადგან აორთქლებისას წარმოიქმნება არა უწყლო მარილი, არამედ კრისტალიდრათი  $Al(NO_3)_3 \cdot 9H_2O$ , რომლის მოლეკულური მასა ტოლია 375, მაშინ ისიც იქნება 0,02 მოლი ანუ  $0,02 \cdot 375 = 7,5$  გ. აორთქლების შემდეგ ნაშთი ასევე შეიცავს 0,01 მოლ ანუ  $0,01 \cdot 170 = 1,7$  გ  $AgNO_3$ . მაშასადამე, რეაქციის დროს წარმოიქმნება 8,61 გ  $AgCl$ , ხოლო ფილტრატის აორთქლების შემდეგ დარჩება 9,2 გ ( $7,5 + 1,7 = 9,2$ ) ნაშთი.

მეორე ხერხი. რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

$$133,5 \text{ გ } AlCl_3 \text{ ურთიერთქმედებს } 510 \text{ გ } AgNO_3\text{-თან,} \\ 2,67 \text{ გ } AlCl_3 \quad \quad \quad x \text{ გ } AgNO_3\text{-თან,}$$

$$x = \frac{510 \cdot 2,67}{133,5} = 10,2 \text{ გ.}$$

ამრიგად, რეაქციაში მთლიანად შევა ალუმინის ქლორიდი, ხოლო ნაშთი გვექნება 1,7 გ ( $11,9 - 10,2 = 1,7$ ) ვერცხლის ნიტრატი. რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

$$133,5 \text{ გ } AlCl_3 \text{ წარმოქმნის } 430,5 \text{ გ } AgCl, \\ 2,67 \text{ გ } AlCl_3 \quad \quad \quad x_1 \text{ გ } AgCl, \quad \quad \quad \text{B}$$

$$x_1 = \frac{430,5 \cdot 2,67}{133,5} = 8,61 \text{ გ;}$$

$$133,5 \text{ გ } AlCl_3 \text{ წარმოქმნის } 213 \text{ გ } Al(NO_3)_3 \\ 2,67 \text{ გ } AlCl_3 \quad \quad \quad \text{ " } \quad \quad \quad x_2 \text{ გ } Al(NO_3)_3$$

$$x_2 = \frac{213 \cdot 2,67}{133,5} = 4,26 \text{ გ.}$$


ფილტრატის აორთქლებისას წარმოიქმნება ალუმინის ნიტრატის კრისტალიდრათი:

213 გ  $\text{Al}(\text{NO}_3)_3$ -დან წარმოიქმნება 375 გ  $\text{Al}(\text{NO}_3)_3 \cdot 9\text{H}_2\text{O}$ ,  
 4,26 გ  $\text{Al}(\text{NO}_3)_3$ -დან " "  $x_3$  გ  $\text{Al}(\text{NO}_3)_3 \cdot 9\text{H}_2\text{O}$ ,


$$x_3 = \frac{375 \cdot 4,26}{213} = 7,5 \text{ გ.}$$

მაშასადამე, 11,9 გ ვერცხლის ნიტრატის ურთიერთქმედებისას 2,67 გ ალუმინის ქლორიდთან წარმოიქმნება 8,61 გ ვერცხლის ქლორიდი და ფილტრატის აორთქლების შემდეგ წარმოიქმნება 9,2 გ ნაშთი, რომელიც შეიცავს 7,5 გ ალუმინის ნიტრატის კრისტალოჰიდრატს და 1,7 გ ვერცხლის ნიტრატს.

17. ქრომის სულფატის რეაქცია ბარიუმის ქლორიდთან მიმდინარეობს განტოლებით:



აორთქლებისას რეაქციის პროდუქტები და ჰარბად დარჩენილი ნივთიერებები წარმოქმნიან კრისტალოჰიდრატებს:




პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით ერთი ხსნარი შეიცავდა 7,84 გ ანუ  $\frac{7,84}{392} = 0,02$  მოლ ქრომის სულფატს, ხოლო მეორე — 16,64 გ ანუ

$\frac{16,64}{208} = 0,08$  მოლ ბარიუმის ქლორიდს. რეაქციის განტოლებიან მიხედვით 1 მოლი


$\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3$  ურთიერთქმედებს 3 მოლ  $\text{BaCl}_2$ -თან 3 მოლი  $\text{BaSO}_4$ -ისა და 2 მოლი  $\text{CrCl}_3$ -ის წარმოქმნით, ხოლო 0,02 მოლი  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3$  რეაქციაში შეეა 0,06 მოლ  $\text{BaCl}_2$ -თან და წარმოქმნის 0,06 მოლ ანუ  $0,06 \cdot 233 = 13,98$  გ  $\text{BaSO}_4$  და 0,04 მოლ ანუ  $0,04 \cdot 158,5 = 6,34$  გ  $\text{CrCl}_3$ , რომელიც აორთქლების შემდეგ გარდაიქმნება 0,04 მოლ ანუ  $0,04 \cdot 266,5 = 10,66$  გ ქრომის ქლორიდის კრისტალოჰიდრატად. ჰარბად დარჩება 0,02 მოლი ( $0,08 - 0,06 = 0,02$ ) ანუ  $0,02 \cdot 208 = 4,16$  გ ბარიუმის ქლორიდი, რომელიც აორთქლების შემდეგ გარდაიქმნება 0,02 მოლ ანუ  $0,02 \cdot 244 = 4,88$  გ ბარიუმის ქლორიდის კრისტალოჰიდრატად. ნაშთის მასა ფილტრატის აორთქლების შემდეგ  $10,66 + 4,88 = 15,54$  გ-ის ტოლი იქნება.

მეორე ხერხი. ქრომის სულფატის ბარიუმის ქლორიდთან რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ:



$$x = \frac{624 \cdot 7,84}{392} = 12,48 \text{ გ.}$$

მაშასადამე, მთლიანად შედის რეაქციაში ქრომის სულფატი, ხოლო ჰარბად გერჩება 4,16 გ ( $16,64 - 12,48 = 4,16$ ) ბარიუმის ქლორიდი. აორთქლების დროს



$$x_1 = \frac{244 \cdot 4,16}{208} = 4,88 \text{ გ.}$$

ამავე განტოლებიდან ჩანს, რომ

392 გ  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3$  წარმოქმნის 699 გ  $\text{BaSO}_4$ ,  
 7,84 გ  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3$  " "  $x_2$  გ  $\text{BaSO}_4$ ,

$$x_2 = \frac{699 \cdot 7,84}{392} = 13,98 \text{ გ.}$$

624 გ  $\text{BaCl}_2$  წარმოქმნის 699 გ  $\text{BaSO}_4$ ,  
 12,48 გ  $\text{BaCl}_2$  " "  $x_3$  გ  $\text{BaSO}_4$ ,

$$x_3 = \frac{699 \cdot 12,48}{624} = 13,98 \text{ გ.}$$

392 გ  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3$  წარმოქმნის 317 გ  $\text{CrCl}_3$ ,  
 7,84 გ  $\text{Cr}_2(\text{SO}_4)_3$  " "  $x_4$  გ  $\text{CrCl}_3$ ,

$$x_4 = \frac{317 \cdot 7,84}{392} = 6,34 \text{ გ.}$$


აორთქლებსას

158,5 გ  $\text{CrCl}_3$  წარმოქმნის 266,5 გ  $\text{CrCl}_3 \cdot 6\text{H}_2\text{O}$ ,  
 6,34 გ  $\text{CrCl}_3$  " "  $x_5$  გ  $\text{CrCl}_3 \cdot 6\text{H}_2\text{O}$ ,

$$x_5 = \frac{266,5 \cdot 6,34}{158,5} = 10,66 \text{ გ.}$$

მაშასადამე, 7,84 გ ქრომის სულფატის 16,64 გ ბარიუმის ქლორიდან ურთი-  
 ერთქმედების შედეგად წარმოიქმნება 13,98 გ ბარიუმის სულფატი და ფილტრატის  
 აორთქლების შემდეგ — 15,54 გ ნაშთი, რომელიც შეიცავს 10,66 გ ქრომის ქლო-  
 რიდის კრისტალოჰიდრატსა და 4,88 გ ბარიუმის ქლორიდის კრისტალოჰიდრატს.

14. ნატრიუმის ფოსფატსა და კალციუმის ნიტრატს შორის რეაქცია მიმდინა-  
 რეობს ასეთი განტოლებით:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით ერთი ხსნარი შეიცავდა  
 9,84 გ ანუ  $\frac{9,84}{164} = 0,06$  მოლ ნატრიუმის ფოსფატს, ხოლო მეორე — 9,84 გ ანუ

$\frac{9,84}{164} = 0,06$  მოლ კალციუმის ნიტრატს. რეაქციის განტოლების მიხედვით 2 მოლი

$\text{Na}_3\text{PO}_4$  რეაქციაში შედის 3 მოლ  $\text{Ca}(\text{NO}_3)_2$ -თან 1 მოლი  $\text{Ca}_3(\text{PO}_4)_2$ -ის და 6 მოლი  
 $\text{NaNO}_3$ -ის წარმოქმნით, ხოლო 0,06 მოლი  $\text{Ca}(\text{NO}_3)_2$  რეაქციაში შეევა 0,04 მოლ  
 $\text{Na}_3\text{PO}_4$ -თან და წარმოქმნის 0,02 მოლ ანუ  $0,02 \cdot 130 = 2,6$  გ  $\text{Ca}_3(\text{PO}_4)_2$  და  
 0,12 მოლ ანუ  $0,12 \cdot 85 = 10,2$  გ  $\text{NaNO}_3$ . ჰარბად დარჩება 0,02 მოლი ( $0,06 - 0,04 =$   
88. ამოცანის პირობის მიხედვით 1 ლ ხსნარი შეიცავდა 30 გ ნატრიუმბრომიდს და 30 გ კალიუმბრომიდს, რაც შეადგენს  $\frac{30}{103} = 0,291$  მოლ ნატრიუმბრომიდს და  $\frac{30}{119} = 0,252$  მოლ კალიუმის ბრომიდს.

სულ 1 ლ ხსნარი შეიცავდა 0,543 მოლ კალიუმისა და ნატრიუმის ბრომიდებს ერთად ( $0,291 + 0,252 = 0,543$ ), ხოლო 1 ღვესერტის კოეზი (10 მლ) შეიცავდა  $0,543 \cdot 0,01 = 0,00543 = 5,43 \cdot 10^{-3}$  მოლ კალიუმისა და ნატრიუმის ბრომიდებს. აუგადროს კანონიდან გამომდინარე, ყოველი ნეთიერების 1 მოლი შეიცავს  $6,02 \cdot 10^{23}$  მოლეკულას. რადგან კალიუმისა და ნატრიუმის ბრომიდები შეიცავენ ბრომის თითო იონს, მაშინ 1 ღვესერტის კოეზი ხსნარი უნდა შეიცავდეს  $5,43 \cdot 10^{-3} \cdot 6,02 \cdot 10^{23} = 3,27 \cdot 10^{21}$  ბრომის იონს.


39. ამონიუმის სულფატი გახეუებისას იშლება შემდეგი განტოლებით:



გამოყოფილი ამიაკი ურთიერთქმედებს ფოსფორმეაქთან რეაქციების განტოლებების თანახმად:



ამოხსნის მეორე ხერხისათვის ორი უკანასკნელი განტოლება შეიძლება ასე ჩაწეროს:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით ამიაკი, რომელიც წარმოიქმნა 5,28 გ ანუ  $\frac{5,28}{132} = 0,04$  მოლი ამონიუმის სულფატის დამლთ, რეაქციაში

შევიდა ფოსფორმეაქსთან, რომელსაც შეიცავს 200 მლ 0,25 M ხსნარი. ამონიუმის სულფატის დაშლის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი ამონიუმის სულფატის დაშლისას წარმოიქმნება 2 მოლი ამიაკი, ხოლო 0,04 მოლი ამონიუმის სულფატის დაშლისას წარმოიქმნება 0,08 მოლი ამიაკი. 200 მლ ანუ 0,2 ლ 0,25 M ხსნარი შეიცავდა  $0,25 \cdot 0,2 = 0,05$  მოლ ფოსფორმეაქსს. ამიაკით ფოსფორმეაქსს ნეიტრალიზაციის რეაქციის პირველი სამი განტოლებიდან ჩანს, რომ სახეზე არსებული ამიაკი საკმარისია ფოსფორმეაქსს მთლიანი გარდაქმნისათვის დიჰიდროფოსფატად და ნაწილობრივ ჰიდროფოსფატად. ნეიტრალიზაციის რეაქციის პირვე-

ლი განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი ფოსფორმევა რეაქციაში შედის 1 მოლი ამიაკთან და 1 მოლი ამონიუმის დიჰიდროფოსფატი წარმოიქმნება, ხოლო 0,05 მოლი ფოსფორმევა რეაქციაში შევა 0,05 მოლი ამიაკთან და 0,05 მოლი ამონიუმის დიჰიდროფოსფატი წარმოიქმნება. დარჩენილი 0,03 მოლი (0,08 - 0,05 = 0,03) ამიაკი რეაქციაში შევა ამონიუმის დიჰიდროფოსფატთან და ჰიდროფოსფატი წარმოიქმნება. ფოსფორმევას ნეიტრალიზაციის რეაქციის მეორე განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი ამიაკი რეაქციაში შედის 1 მოლი დიჰიდროფოსფატთან და 1 მოლი ამონიუმის ჰიდროფოსფატი წარმოიქმნება, ხოლო 0,03 მოლი ამიაკი რეაქციაში შევა 0,03 მოლი ამონიუმის დიჰიდროფოსფატთან 0,03 მოლი ანუ  $0,03 \cdot 132 = 3,96$  გ ამონიუმის ჰიდროფოსფატის წარმოქმნით, რომლებიც არის ნარევეში 0,02 მოლი ( $0,05 - 0,03 = 0,02$ ) ანუ  $0,02 \cdot 115 = 2,30$  გ ამონიუმის დიჰიდროფოსფატთან.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით დაიშალა 5,28 გ ამონიუმის სულფატი. მისი დაშლის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

$$\begin{array}{ll} 132 \text{ გ } (\text{NH}_4)_2\text{SO}_4\text{-დან წარმოიქმნება} & 44,8 \text{ ლ } \text{NH}_3, \\ 5,28 \text{ გ } (\text{NH}_4)_2\text{SO}_4\text{-დან} & \text{ " } \quad \quad \quad x \text{ ლ } \text{NH}_3, \end{array}$$

$$x = \frac{44,8 \cdot 5,28}{132} = 1,792 \text{ ლ.}$$

ამოცანის პირობის მიხედვით 1,792 ლ ამიაკი რეაქციაში შევიდა ფოსფორმევა-ვასთან, რომელსაც შეიცავს 200 მლ 0,25 M ხსნარი. აქედან

$$\begin{array}{ll} 1000 \text{ მლ ხსნარი შეიცავს} & 0,25 \cdot 98 \text{ გ } \text{H}_3\text{PO}_4, \\ 200 \text{ მლ} & x_1 \text{ გ } \text{H}_3\text{PO}_4, \end{array}$$

$$x_1 = \frac{0,25 \cdot 98 \cdot 200}{1000} = 4,9 \text{ გ.}$$

ფოსფორმევას ამიაკით ნეიტრალიზაციის რეაქციის პირველი განტოლებიდან ჩანს, რომ

$$\begin{array}{ll} 98 \text{ გ } \text{H}_3\text{PO}_4 \text{ რეაქციაში შედის} & 22,4 \text{ ლ } \text{NH}_3\text{-თან,} \\ 4,9 \text{ გ } \text{H}_3\text{PO}_4 & \text{ " } \quad \quad \quad x_2 \text{ ლ } \text{NH}_3\text{-თან,} \end{array}$$

$$x_2 = \frac{22,4 \cdot 4,9}{98} = 1,12 \text{ ლ.}$$

ნეიტრალიზაციის მეორე განტოლებიდან (4) ჩანს, რომ

$$\begin{array}{ll} 98 \text{ გ } \text{H}_3\text{PO}_4 \text{ რეაქციაში შედის} & 44,8 \text{ ლ } \text{NH}_3\text{-თან,} \\ 4,9 \text{ გ } \text{H}_3\text{PO}_4 & \text{ " } \quad \quad \quad x_3 \text{ ლ } \text{NH}_3\text{-თან,} \end{array}$$

$$x_3 = \frac{44,8 \cdot 4,9}{98} = 2,24 \text{ ლ.}$$

მიღებული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ამიაკი მეტია, ვიდრე საჭიროა მთელი ფოსფორმევას გარდასაქმნელად ამონიუმის დიჰიდროფოსფატად, ხოლო არასაკმარისია ფოსფორმევას გარდასაქმნელად ამონიუმის ჰიდროფოსფატად. ამიტომ მისი 1,12 ლ ხსარჩება ამონიუმის დიჰიდროფოსფატის წარმოქმნაზე, ხოლო 0,672 ლ ( $1,792 - 1,12 = 0,672$ ) რეაქციაში შედის ამონიუმის დიჰიდროფოსფატთან და ამონიუმის ჰიდროფოსფატს წარმოქმნის. ფოსფორმევას ამიაკით ნეიტრალიზაციის რეაქციის პირველი განტოლებიდან ჩანს, რომ

98 გ  $H_3PO_4$  წარმოქმნის 115 გ  $NH_4H_2PO_4$ ,  
 4,9 გ  $H_3PO_4$  " "  $x_4$  გ  $NH_4H_2PO_4$ ,

$$x_4 = \frac{115 \cdot 4,9}{98} = 5,75 \text{ გ.}$$

ანუ

22,4 ლ  $NH_3$  წარმოქმნის 115 გ  $NH_4H_2PO_4$ ,  
 1,12 ლ  $NH_3$  " "  $x_4$  გ  $NH_4H_2PO_4$ ,

$$x_4 = \frac{115 \cdot 1,12}{22,4} = 5,75 \text{ გ}$$

ნეიტრალიზაციის რეაქციას განტოლებიდან (2) ჩანს, რომ

22,4 ლ  $NH_3$  რეაქციაში შედის 115 გ  $NH_4H_2PO_4$ -თან,  
 0,672 ლ  $NH_3$  " "  $x_5$  გ  $NH_4H_2PO_4$ -თან

$$x_5 = \frac{115 \cdot 0,672}{22,4} = 3,45 \text{ გ.}$$

რეაქციის ამავე განტოლებიდან ჩანს, რომ

22,4 ლ  $NH_3$  წარმოქმნის 132 გ  $(NH_4)_2HPO_4$ ,  
 0,672 ლ  $NH_3$  " "  $x_6$  გ  $(NH_4)_2HPO_4$ ,

$$x_6 = \frac{0,672 \cdot 132}{115} = 3,96 \text{ გ.}$$


ანუ

115 გ  $NH_4H_2PO_4$  წარმოქმნის 132 გ  $(NH_4)_2HPO_4$ ,  
 3,45 გ  $NH_4H_2PO_4$  " "  $x_6$  გ  $(NH_4)_2HPO_4$ ,


$$x_6 = \frac{3,45 \cdot 132}{115} = 3,96 \text{ გ.}$$

ამრიგად, 5,28 გ ამონიუმის სულფატის დაშლის დროს წარმოქმნილი ამიაკის ურთიერთქმედებით ფოსფორმეცანთან, რომელსაც შეიცავს 200 მლ 0,25 M ხსნარი, წარმოიქმნება 3,96 გ ამონიუმის ჰიდროფოსფატი და 2,3 გ ( $5,75 - 3,45 = 2,3$ ) ამონიუმის დიჰიდროფოსფატი.


40. კალციუმის კარბიდი ურთიერთქმედებს წყალთან განტოლების თანახმად:




კუჩეროვის რეაქციის მიხედვით აცეტალენი რეაქციაში შედის წყალთან:



ძმრის ალდეჰიდი იუანგება ჰაერის ეანგბადით:




წარმოქმნილი ძმარმეცანა რეაქციაში შედის იზოამილის სპირტთან იზოამილაკეტატის წარმოქმნით განტოლების თანახმად:



ყველა ეს გარდაქმნა გვიჩვენებს, რომ სრული გარდაქმნისას 1 მოლი აცეტი-

ლენიდან წარმოიქმნება 1 მოლი ძმარმეაეა, რომლიდანაც საბოლოოდ წარმოიქმნება 1 მოლი ოზოამილატეტი. ამიტომ ამ ამოცანის ამოსახსნელად აუცილებელი არ არის ვისარგებლოთ ყველა მოყვანილი განტოლებით, არამედ საკმარისია ვისარგებლოთ შემდეგი სქემით:



**პ ი რ ე ლ ი ხ ე რ ხ ი.** ამოცანის პირობის მიხედვით მოცემულია 330 კგ ტექნიკური პროდუქტი, რომელიც შეიცავს 3,03% მინარეევებს და 96,97%

(100-3,03=96,97) ანუ  $\frac{330 \cdot 96,97}{100} = 320$  კგ ანუ  $\frac{320}{64} = 5$  კმოლ კალციუმის

კარბიდს. მისგან ძმარმეაეას სრული გარდაქმნისას მოყვანილი სქემის თანახმად უნდა წარმოიქმნას 5 კმოლი ამილატეტი, მაგრამ ამოცანის პირობის მიხედვით

ამილატეტის გამოსავალი შეადგენს 75%. მაშასადამე, წარმოიქმნება  $\frac{5 \cdot 75}{100} =$

$= 3,75$  კმოლი ანუ  $3,75 \cdot 130 = 487,5$  კგ ანუ  $\frac{487,5}{0,876} = 556,5$  ლ ამილატეტი.

**მ ე ო რ ე ხ ე რ ხ ი.** ამოცანის პირობის მიხედვით 330 კგ ტექნიკური პროდუქტი შეიცავს 3,03% მინარეევებს და 96,97% (100-3,03=96,97) კალციუმის კარბიდს. აქედან

100 კგ პროდუქტი შეიცავს 96,97 კგ CaC<sub>2</sub>,  
330 კგ " " x კგ CaC<sub>2</sub>,

$$x = \frac{96,97 \cdot 330}{100} = 320 \text{ კგ.}$$

ზემოთ მოყვანილი სქემიდან ჩანს, რომ წარმოქმნილი ძმარმეაეას ოზოამილატეტად სრული გარდაქმნისას

64 კგ CaC<sub>2</sub>-დან წარმოიქმნება 130 კგ CH<sub>3</sub>COOC<sub>5</sub>H<sub>11</sub>,  
320 კგ CaC<sub>2</sub>-დან " " x<sub>1</sub> კგ CH<sub>3</sub>COOC<sub>5</sub>H<sub>11</sub>,

$$x_1 = \frac{130 \cdot 320}{64} = 650 \text{ კგ.}$$

ამოცანის პირობის მიხედვით ეთერის გამოსავალი შეადგენდა 75%, მაშასადამე,

100%-იანი გარდაქმნისას წარმოიქმნება 650 კგ CH<sub>3</sub>COOC<sub>5</sub>H<sub>11</sub>  
75%-იანი " " x<sub>2</sub> კგ CH<sub>3</sub>COOC<sub>5</sub>H<sub>11</sub>

$$x_2 = \frac{650 \cdot 75}{100} = 487,5 \text{ კგ.}$$

ამრიგად, მითითებული რაოდენობიდან წარმოიქმნება 487,5 კგ ანუ  $\frac{487,5}{0,876} =$   
 $= 556,5$  ლ ოზოამილატეტი. ✓



## II. რეაქციები აირად მლკომარეობაში

41. ამოცანის პირობის მიხედვით ნარევი შეიცავს 60% ანუ 0,6 მოლ აზოტს, 30% ანუ 0,3 მოლ ეანგბადს და 10% ანუ 0,1 მოლ ნახშირორჟანგს. ნარევის საშუალო მოლეკულური მასა ტოლია:

$$M_x = 0,6 \cdot 28 + 0,3 \cdot 32 + 0,1 \cdot 44 = 30,8.$$

რამდენდაც წყალბადის მოლეკულური მასა ტოლია 2, ამიტომ ვახთა ნარევის სიმკვრივე წყალბადის მიმართ იქნება  $30,8 : 2 = 15,4$  ტოლი.

42. ოქტანისა და ჰექტანის წვა მიმდინარეობს რეაქციათა განტოლების თანახმად.



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით 600 გ ნარევი შეიცავდა 85% ანუ  $\frac{600 \cdot 85}{100} = 510$  გ ანუ  $\frac{510}{114} = 4,474$  მოლ ოქტანს და 15% ანუ 90 გ

( $600 - 510 = 90$ ) ანუ  $\frac{90}{100} = 0,9$  მოლ ჰექტანს. ოქტანის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 2 მოლი ოქტანის დაწვისათვის აუცილებელია 25 მოლი ეანგბადი, ხოლო 474 მოლი ოქტანის დაწვისათვის აუცილებელია  $\frac{4,474 \cdot 25}{2} = 55,921$  მოლი ანუ  $55,921 \cdot 32,4 = 1252,6$  ლ ეანგბადი ანუ  $1252,6 \cdot 5 = 6263$  ლ ჰერი. ჰექტანის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი ჰექტანის დაწვისათვის აუცილებელია 11 მოლი ეანგბადი, ხოლო 0,9 მოლი ჰექტანის დაწვისათვის აუცილებელია  $0,9 \cdot 11 = 9,9$  მოლი ანუ  $9,9 \cdot 32,4 = 221,76$  ლ ეანგბადი ანუ  $221,76 \cdot 5 = 1108,8$  ლ ჰერი. მაშასადამე, 600 გ ნარევის დაწვისათვის, რომელიც შეიცავს 85% ოქტანს და 15% ჰექტანს, აუცილებელია 1474,36 ლ ეანგბადი ანუ 7371,8 ლ ჰერი.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით 600 გ ნარევი შეიცავდა 85% ანუ  $\frac{85 \cdot 600}{100} = 510$  გ ოქტანს და 15% ანუ 90 გ ( $600 - 510 = 90$ ) ჰექტანს. ოქტანის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

228 გ  $C_8H_{18}$ -ის დაწვისათვის აუცილებელია 25 · 32,4 ლ  $O_2$ ,  
510 გ  $C_8H_{18}$ -ის " " " x ლ  $O_2$ ,

$$x = \frac{25 \cdot 32,4 \cdot 510}{228} = 1252,6 \text{ ლ.}$$

ჰექტანის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

100 გ  $C_7H_{16}$ -ის დაწვისათვის აუცილებელია 11 · 32,4 ლ  $O_2$   
90 გ  $C_7H_{16}$ -ის " " "  $x_1$  ლ  $O_2$ ,

$$x_1 = \frac{11 \cdot 32,4 \cdot 90}{100} = 221,76 \text{ ლ.}$$

ამრიგად, 600 გ ნარევის დაწვისათვის, რომელიც შეიცავს 85% ოქტანს და

15% ჰებტანს, აუცილებელია 1474,36 ლ (1252,6+221,76=1474,36) ეანგბადი ანუ 1474,36 : 5 = 7371,8 ლ ჰაერი.

43. ამოცანის პირობის მიხედვით ნახშირბადის მონოქსიდისა და წყალბადის ნარევის სიმკვრივე წყალბადის მიმართ ტოლია 6,2. საშუალო მოლეკულური მასა ტოლია:  $M_x = 2 \cdot 6,2 = 12,4$ . თუ ნახშირბადის მონოქსიდის მოლეგების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ 1 მოლ ნარევიში წყალბადის მოლეგების რაოდენობა  $(1-x)$ -ის ტოლი იქნება. აქედან,

$$28x + 2(1-x) = 12,4,$$



$$28x + 2 - 2x = 12,4,$$

$$26x = 10,4,$$

$$x = 0,4 \text{ ანუ } 40\%.$$

მეშასადაზე, ნარევი შედგებოდა 40% ნახშირბადის მონოქსიდისა და 60% წყალბადისაგან. 20 ლ ნარევი შეიცავდა 0,4 · 20 = 8 ლ ნახშირბადის მონოქსიდს და 12 ლ წყალბადს:

ნახშირბადის მონოქსიდისა და წყალბადის წვის რეაქციები მიმდინარეობენ განტოლებების მიხედვით;



ნახშირბადის მონოქსიდის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ მისი 2 ლ-ის დაწვისათვის საჭიროა 1 ლ ეანგბადი, ხოლო 8 ლ დაწვისათვის — 4 ლ ეანგბადი. წყალბადის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ წყალბადი ეანგბადთან ურთიერთქმედებს მოცულობითი თანათარღობით 1:2 ე. ი. 12 ლ წყალბადის დასაწვავად საჭიროა 6 ლ ეანგბადი. მეშასადაზე, 20 ლ ამ ნარევის დასაწვავად საჭიროა 10 ლ (4+6=10) ეანგბადი.

ნახშირბადის მონოქსიდისა და წყალბადის წვის რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ ორივე ისინი რეაქციაში შედიან ეანგბადთან მოცულობითი თანათარღობით 2:1, ამიტომ 20 ლ ნარევის დასაწვავად, რომელიც შედგება ნახშირბადის მონოქსიდისა და წყალბადისაგან ნებისმიერი თანათარღობით, ყოველთვის საჭირო იქნება 10 ლ ეანგბადი.

44. ამოცანის პირობის მიხედვით ნარევი შედგება ნახშირბადის მონოქსიდისა და დიოქსიდისაგან და ნარევის სიმკვრივე წყალბადის მიმართ 18,8-ის ტოლია. ნარევის საშუალო მოლეკულური მასა  $M_x = 2 \cdot 18,8 = 37,6$ -ის ტოლია. თუ ნახშირბადის დიოქსიდის მოლეგების რაოდენობას 1 მოლ .გაზთა ნარევიში აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ ნახშირბადის მონოქსიდის მოლეგების რაოდენობა  $(1-x)$ -ის ტოლი იქნება. ვინაიდან საშუალო მოლეკულური მასა კომპონენტების მასათა ჯამის ტოლია, ამიტომ 1 მოლ გაზში ნახშირბადის დიოქსიდის მასა 44 $x$ -ის ტოლია, ხოლო ნახშირბადის მონოქსიდის მასა 28 · (1-x)-ის ტოლია. აქედან

$$44x + 28(1-x) = 37,6,$$

$$44x + 28 - 28x = 37,6,$$

$$16x = 9,6,$$

$$x = 0,6 \text{ ანუ } 60\%.$$


45. გაზთა ნარევის ან ცალკეული გაზის სიმკვრივეს წყალბადის მიმართ გამოასახევენ გაზის მოლეკულური მასის ან გაზთა ნარევის საშუალო მოლეკულური მასის ფარდობით წყალბადის მოლეკულურ მასასთან.

ამოცანის პირობის მიხედვით გაზთა ნარევი შედგება 40% ანუ 0,4 მოლი ნახშირბადის დიოქსიდისაგან, 30% ანუ 0,3 მოლი ნახშირბადის მონოქსიდისა და 30% ანუ 0,3 მოლი, აზოტისაგან, მოცემული გაზთა ნარევის საშუალო მოლეკულური მასა 0,4 მოლი ნახშირბადის დიოქსიდის, 0,3 მოლი ნახშირბადის მონოქსიდისა და 0,3 მოლი აზოტის მასათა ჯამის ტოლია:

$$M_x = 0,4 \cdot 44 + 0,3 \cdot 28 + 0,3 \cdot 28 = 17,6 + 8,4 + 8,4 = 34,4,$$

ამ გაზთა ნარევის სიმკვრივე წყალბადის მიმართ იქნება:  $34,4 : 2 = 17,2$ .

46. აცეტილენის წვა მიმდინარეობს განტოლების თანახმად:



ამოცანის პირობის მიხედვით აცეტილენის დაწვის და წყლის ორთქლის კონდენსაციის შემდეგ 80 მლ ( $20 + 60 = 80$ ) გაზთა ნარევიდან წარმოიქმნება 56 მლ, ე. ო. მოცულობა შემცირდა 24 მლ-ით ( $80 - 56 = 24$ ). რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 2 მოცულობა აცეტილენის ურთიერთქმედებისას 5 მოცულობა ეანგბადთან წარმოიქმნება 4 მოცულობა ნახშირორჟანგი, ე. ო. ნარევის მოცულობა მცირდება 3-ით. მოცულობა 24 მლ-ით მცირდება იმ შემთხვევაში, თუ რეაქციაში

შევა  $\frac{2 \cdot 24}{3} = 16$  მლ აცეტილენი, მაშასადამე, 20 მლ საწყის ნარევი



ყოფილა 16 მლ ანუ  $\frac{16 \cdot 100}{29} = 80\%$  აცეტილენი და 20% ( $100 - 80 = 20$ ) აზოტი.

47. ამოცანის პირობით გაზთა ნარევი შედგება 70% ანუ 0,7 მოლი ნახშირბადის მონოქსიდისაგან და 30% ანუ 0,3 მოლი ნახშირბადის დიოქსიდისაგან. გაზთა ნარევის საშუალო მოლეკულური მასა ტოლია:

$$M_x = 0,7 \cdot 28 + 0,3 \cdot 44 = 19,6 + 13,2 = 32,8.$$




გაზთა ნარევის სიმკვრივე ჰაერის მიმართ, რომლის საშუალო მოლეკულური მასა 29-ის ტოლია, იქნება:  $32,8 : 29 = 1,131$ :

48. გაზთა ნარევი შედგება პროპილენის, ბუტილენისა და ბუტანისაგან. მისი სიმკვრივე წყალბადის მიმართ 26,1-ის ტოლია. ასეთი ნარევის ბრომიან წყალში გატარებისას პროპილენი და ბუტილენი რეაქციაში შედიან ბრომთან:



ბუტანი, როგორც ნაჭერი ნახშირწყალბადი, წყალხსნარში ბრომთან არ ურთიერდება.

პროპილენის, ბუტილენისა და ბუტანის წვის რეაქციები მიმდინარეობენ განტოლებების მიხედვით:



შ ი რ ვ ე ლ ი ხ ე რ ხ ი. ამოცანის პირობის მიხედვით 2,8 ლ ანუ  $\frac{2,8}{22,4} =$

$= 0,125$  მოლი გაზთა ნარევიდან რეაქციაში შევიდა 16 გ ანუ  $\frac{16}{160} = 0,2$  მოლი

ბრომი. ბრომის პროპილენთან ან ბუტილენთან რეაქციების განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი ბრომი რეაქციაში შედის 1 მოლ პროპილენთან ან ბუტილენთან, ხოლო 0,1 მოლი ბრომი რეაქციაში შედის 0,1 პროპილენთან ან ბუტილენთან. მაშასადამე, 0,125 მოლ გაზთა ნარევეში იყო 0,1 მოლი პროპილენი და ბუტილე-

ნი, რაც შეადგენს  $\frac{0,1}{0,125} = 0,8$  ნაწილს ანუ 80% და 0,025 მოლ ანუ  $\frac{0,025}{0,125} = 0,2$  ნაწილს ანუ 20% ბუტანს. გაზთა ნარევის საშუალო მოლეკულური მასა  $2 \cdot 26,1 = 52,2$ -ის ტოლია. თუ გაზთა ნარევეში ბუტილენის მოლების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ პროპილენის მოლების რაოდენობა  $(0,8 - x)$ -ის ტოლი იქნება. მაშინ გაზთა ნარევის საშუალო მოლეკულური მასა შეადგენს:

$$0,2 \cdot 58 + x \cdot 56 + (0,8 - x) \cdot 42 = 52,2,$$

$$11,6 + 56x + 33,6 - 42x = 52,2,$$

$$14x = 7,$$

$$x = 0,5 \text{ ანუ } 50\%.$$

მაშასადამე, გაზთა ნარევეში ყოფილა 20% ბუტანი, 50% ბუტილენი და 30%  $(80 - 50 = 30\%)$  პროპილენი. ამ ნარევის 20 ლ შეიცავდა  $\frac{20 \cdot 20}{100} = 4$  ლ

ბუტანს,  $\frac{50 \cdot 20}{100} = 10$  ლ ბუტილენს და  $\frac{30 \cdot 20}{100} = 6$  ლ პროპილენს. პროპილენის,

ბუტილენისა და ბუტანის წვის რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ დაწვისას პროპილენი რეაქციაში შედის ეანგბადთან 1 : 4,5 თანაფარდობით, ბუტილენი — 1 : 6 და ბუტანი — 1 : 6,5. გამოდის, რომ 6 ლ პროპილენის დასაწვავად საჭიროა  $6 \cdot 4,5 = 27$  ლ ეანგბადი, 10 ლ ბუტილენის დასაწვავად —  $10 \cdot 6 = 60$  ლ ეანგბადი და 4 ლ ბუტანისა —  $4 \cdot 6,5 = 26$  ლ ეანგბადი. 20 ლ ნარევის დასაწვავად საჭიროა 113 ლ  $(27 + 60 + 26 = 113)$  ეანგბადი ან 113 · 5 = 565 ლ ჰაერი.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით 2,8 ლ გაზთა ნარევიდან, რომლის სიმკვრივე წყალბადის მიმართ 26,1-ის ტოლია, რეაქციაში შევიდა 16 გ ბრომი. პროპილენისა და ბუტილენის ბრომთან რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ

160 გ  $\text{Br}_2$  რეაქციაში შედის 22,4 ლ  $\text{C}_3\text{H}_6$  და  $\text{C}_4\text{H}_8$ -თან,

16 გ  $\text{Br}_2$  " " " "  $x$  ლ  $\text{C}_3\text{H}_6$  და  $\text{C}_4\text{H}_8$ -თან,


$$x = \frac{22,4 \cdot 16}{160} = 2,24 \text{ ლ.}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 2,24 ლ ანუ  $\frac{2,24 \cdot 100}{2,8} = 80\%$  პროპილენი

და ბუტილენი და 0,56 ლ  $(2,8 - 2,24 = 0,56)$  ანუ  $\frac{0,56 \cdot 100}{2,8} = 20\%$  ბუტანი. ამო-

ცანის ამოხსნის შემდგომი გზა ისეთივეა, როგორც პირველი ხერხის დროს.

49. ამოცანის პირობის მიხედვით ევლიომეტრში დაწვეს 20 მლ გაზთა ნარევი, რომლის სიმკვრივე წყალბადის მიმართ 14,0-ის ტოლია. დაწვისას მხოლოდ წყალბადი ურთიერთქმედებს ეანგბადთან:



წყლის ორთქლის კონდენსაციისა და გაზთა ნარევის საწყის პირობებთან მიყვანის შემდეგ ნარევის მოცულობა 17 მლ-ის ტოლი იყო, ე. ი. შემცირდა 3 მლ-ით



(20-17=3) წყლის წარმოქმნის ხარჯზე. ეანგბადსა და წყალბადს შორის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ მოცულობის 3 მლ-ით შემცირებისას რეაქციაში შედის 2 მლ წყალბადი და 1 მლ ეანგბადი. წარმოქმნილი ნარევი შეიძლება შეიცავდეს ან აზოტს და წყალბადს, ან აზოტსა და ეანგბადს; თუ ნარევი შედგებოდა აზოტისა და წყალბადისაგან, მაშინ ჰაერთან მისი შერევისას და დაწვისას მოცულობა უნდა შემცირებულყო, მაგრამ ამოცანის პირობის მიხედვით ის უცვლელი რჩება. მაშასადამე, საწყის ნარევეში ყოფილა 2 მლ ანუ  $\frac{2 \cdot 100}{20} = 10\%$

წყალბადი და 18 მლ (20-2=18) ანუ  $\frac{18 \cdot 100}{20} = 90\%$  აზოტი და ეანგბადი. ნა-

რევის საშუალო მოლეკულური მასა 2.14=28-ის ტოლია. თუ 1 მოლ გაზთა ნარევეში ეანგბადის მოლების რიცხვს აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ აზოტის მოლების რიცხვი (0,9-x)-ის ტოლი იქნება, გაზთა ნარევის საშუალო მოლეკულური მასა ტოლი იქნება

$$0,1 \cdot 2 + x \cdot 32 + (0,9 - x) \cdot 28 = 28.$$

$$0,2 + 32x + 25,2 - 28x = 28,$$

$$4x = 2,6,$$

$$x = 0,65.$$


მაშასადამე, ნარევი შედგებოდა 0,65 ნაწილი ანუ 65% ეანგბადისაგან, 0,25 ნაწილ (0,9-0,65=0,25) ანუ 25% აზოტისაგან და 10% წყალბადისაგან.

50. ამოცანის პირობის მიხედვით მოცემულია 41 ლ ბუტანი 47°C (320K) ტემპერატურისა და 4 ატმ წნევისას. მენდელეევი-კლაპეირონის განტოლებით სარგებლობისას შეიძლება განვსაზღვროთ ბუტანის მასა:

$$m = \frac{VpM}{RT} = \frac{41 \cdot 4 \cdot 58}{0,082 \cdot 320} = 362,5 \text{ გ.}$$


შემდგომ საჭიროა განისაზღვროს ეანგბადის მოცულობა, რომელიც აუცილებელია 362 გ ბუტანის დასაწვავად.

ბუტანის წვის რეაქცია მიმდინარეობს განტოლების მიხედვით:



პ ი რ ვ ე ლ ი ხ ე რ ხ ი: ამოცანის პირობის მიხედვით უნდა დაიწვას 362,5 გ ანუ  $\frac{362,5}{58} = 6,25$  მოლი ანუ 6,25 · 22,4 = 140 ლ ბუტანი. წვის რეაქციის განტოლების მიხედვით 2 ლ ბუტანის დასაწვავად აუცილებელია 13 ლ ეანგბადი, ხოლო 140 ლ ბუტანის დასაწვავად აუცილებელია  $\frac{13 \cdot 140}{2} = 910$  ლ ეანგბადი.

მ ე ო რ ე ხ ე რ ხ ი. ბუტანის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ



$$x = \frac{291,2 \cdot 362,5}{116} = 910 \text{ ლ.}$$

51: ამოცანის პირობის მიხედვით ნახშირბადის მონოქსიდისა და ჰაერის 1,6 ლ ნარევის 47°C (320K) და 5 ატმ წნევისას აქვს 8,683 გ მასა. მენდელეევი-კლაპეი-

რონის განტოლებიდან შეიძლება განისაზღვროს ნარევის საშუალო მოლეკულური მასა:


$$M = \frac{mRT}{Vp} = \frac{8,683 \cdot 0,082 \cdot 320}{1,6 \cdot 5} = 28,48.$$

თუ 1 მოლ გაზთა ნარევი ნახშირბადის მონოქსიდის მოლეკულების რიცხვს აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ აზოტის მოლეკულების რაოდენობა  $0,8(1-x)$ -ის ტოლი იქნება, ანუ ენგბადის მოლეკულების რაოდენობა —  $0,2(1-x)$  (80% აზოტი და 20% ენგბადი). ნარევის საშუალო მოლეკულური მასა ტოლი იქნება:

$$\begin{aligned} 28x + 28 \cdot 0,8(1-x) + 32 \cdot 0,2(1-x) &= 28,48, \\ 28x + 22,4 - 22,4x + 6,4 - 6,4x &= 28,48, \\ 0,8x &= 0,32, \\ x &= 0,4. \end{aligned}$$

მაშასადამე, ნარევი ყოფილა 0,4 მოლი ანუ 40% ნახშირბადის მონოქსიდი, 0,48 მოლი ანუ 48% აზოტი და 0,12 მოლი ანუ 12% ენგბადი.

ნ. ამოცანის პირობის მიხედვით სიმკვრივე გაზთა ნარევისა, რომელიც შედგება ნახშირბადის მონოქსიდის, წყალბადისა და მეთანისაგან, 2 ატმ და  $0^{\circ}\text{C}$  დროს 1,715 გ/ლ-ის ტოლია. ნორმალური პირობების დროს ამ ნარევის სიმკვრივე  $\frac{1,715}{2} = 0,8575$  გ/ლ იქნება. გაზთა ნარევის საშუალო მოლეკულური მასა  $0,8575 \cdot 22,4 = 19,2$ -ის ტოლია. მეთანის, ნახშირბადის მონოქსიდისა და წყალბადის წვამიმდინარეობს განტოლებების მიხედვით:



პირველი ხე რ ხ ი. 4 ლ ნარევის დაწვისათვის იხარჯება 19 ლ ჰაერი, რომელიც შეიცავს  $19 \cdot 0,2 = 3,8$  ლ ენგბადს. მეთანის, ნახშირბადის მონოქსიდისა და წყალბადის წვის რეაქტივების განტოლებიდან ჩანს, რომ ნახშირბადის მონოქსიდისა და წყალბადის დაწვისათვის საჭიროა 2-ჯერ ნაკლები ენგბადი, ხოლო მეთანის დაწვისათვის — 2-ჯერ მეტი. თუ 4 ლ ნარევი მეთანის მოცულობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ ნახშირბადის მონოქსიდისა და წყალბადის მოცულობა  $(4-x)$  ლ-ის ტოლი იქნება. მაშინ  $x$  ლ მეთანის დაწვისათვის აუცილებელია  $2x$  ლ ენგბადი, ხოლო  $(4-x)$  ლ ნახშირბადის მონოქსიდისა და წყალბადის დაწვისათვის —  $0,5(4-x)$  ლ ენგბადი, ხოლო სულ დაიხარჯა 3,8 ლ ენგბადი, აქედან

$$\begin{aligned} 2x + 0,5(4-x) &= 3,8, \\ 2x + 2 - 0,5x &= 3,8, \\ 1,5x &= 1,8, \\ x &= 1,2 \end{aligned}$$

მაშასადამე, 4 ლ ნარევი ყოფილა 1,2 ლ ანუ  $\frac{1,2 \cdot 100}{4} = 30\%$  მეთანი და 2,8 ლ ანუ 70% ნახშირბადის მონოქსიდი და წყალბადი.

თუ 1 მოლ გაზთა ნარევი ნახშირბადის მონოქსიდის მოლეზის რაოდენობას აღნიშნავთ  $x_1$ -ით, მაშინ წყალბადის მოლეზის რაოდენობა  $(0,7-x)$ -ის ტოლი იქნება, ხოლო მეთანის მოლეზის რაოდენობა — 0,3. ნარევის საშუალო მოლეკულური მასა ტოლია:

$$0,3 \cdot 16x_1 \cdot 28 + (0,7-x_1) \cdot 2 = 19,2.$$

$$4,8 + 28x_1 + 1,4 - 2x_1 = 19,2,$$

$$26x_1 = 13$$

$$x_1 = 0,5 \text{ ანუ } 50\%.$$

ამრიგად, ნარევი ყოფილა 30% მეთანი, 50% ნახშირბადის მონოქსიდი და 20%  $(70-50=20)$  წყალბადი.

მეორე ხერხი. 1 მოლ გაზთა ნარევი მეთანის მოლეზის რაოდენობა აღნიშნოთ  $x$ -ით, ნახშირბადის მონოქსიდის მოლეზის რაოდენობა —  $y$ -ით და წყალბადის მოლეზის რაოდენობა —  $z$ -ით. შევადგინოთ განტოლება:

$$x + y + z = 1; \quad (1)$$

ამოცანის პირობის მიხედვით 4 ლ ნარევის დაწვაზე დაიხარჯა 3,8 ლ ენგბადი. წვის რეაქციების განტოლებებიდან გამომდინარე შეიძლება შევადგინოთ ასეთი განტოლება:

$$8x + 2y + 2z = 3,8 \text{ ანუ } 4x + y + z = 1,9 \quad (2)$$

ნარევის საშუალო მოლეკულური მასა ტოლია:

$$16x + 28y + 2z = 19,2 \quad (3)$$

წარმოიქმნა სამეცნობიანი სამი განტოლების სისტემა:

$$x + y + z = 1;$$

$$4x + y + z = 1,9;$$

$$16x + 28y + 2z = 19,2.$$

თუ მეორე განტოლებას გამოვაკლებთ პირველს, მივიღებთ:

$$4x - x + y - y + z - z = 1,9 - 1,$$

$$3x = 0,9,$$

$$x = 0,3.$$

პირველი განტოლებიდან  $z = 1 - 0,3 - y = 0,7 - y$ .

მესამე განტოლებაში  $x$ -ისა და  $z$ -ის ნაცვლად მათი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$16 \cdot 0,3 + 28y + 2(0,7 - y) = 19,2,$$


$$4,8 + 28y + 1,4 - 2y = 19,2,$$

$$26y = 13.$$

$$y = 0,5;$$

მაშასადანე, ნარევი უფილა 0,3 მოლი ანუ 30% მეთანი, 0,5 მოლი ანუ 57% ნახშირბადის მონოქსიდი და 0,2 მოლი (0,7-0,5=0,2) ანუ 20% წყალბადი.


53. ამოცანის პირობის მიხედვით აზოტის მონოქსიდის ნარევი ურევენ 65 მლ ჰაერთან, რომელიც შეიცავს 13 მლ ენგბადს და 52 მლ აზოტს, რეაქცია აზოტის მონოქსიდსა და ენგბადს შორის მიმდინარეობს განტოლების მიხედვით:



რეაქციის შემდეგ 105 მლ ნარევიდან (40+65=105) წარმოიქმნა 100 მლ, ე. ი. ნარევის მოცულობა შემცირდა 5 მლ-ით (105-100=5) ენგბადის აზოტის მონოქსიდთან შეერთების შედეგად. რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ მოცულობის 1 მლ-ით შემცირებისას რეაქციაში შედის 2 მლ აზოტის მონოქსიდი და 1 მლ ენგბადი 2 მლ აზოტის დიოქსიდის წარმოქმნით, ხოლო მოცულობის 5 მლ-ით შემცირებისას რეაქციაში შევიდა 10 მლ აზოტის მონოქსიდი 10 მლ აზოტის დიოქსიდის წარმოქმნით, მაშასადამე, საწყის ნარევი იყო 10 მლ ანუ  $\frac{10 \cdot 100}{40} = 25\%$

აზოტის მონოქსიდი და 30 მლ ანუ  $\frac{30 \cdot 100}{40} = 75\%$  აზოტი. 100 მლ წარმოქმნილი ნარევი შეიცავდა 10 მლ ანუ 10% აზოტის დიოქსიდს, 82 მლ (52+30=82), ანუ 82% აზოტს და 8 მლ (13-5=8) ანუ 8% ენგბადს.

54. ამოცანის მიღებისას აზოტი წყალბადთან რეაქციაში შედის განტოლების მიხედვით:




ასეთი ტიპის ამოცანების ამოსახსნელად უნდა ავიღოთ გარკვეული რაოდენობით გაზი, რომელიც შედის საკონტაქტო აპარატში, და დავაყვარდეთ მის გარეაქმნას. მაგალითად, შეიძლება ავიღოთ 100 მოცულობა აზოტი. მაშინ უნდა ავიღოთ 300 მოცულობა წყალბადი. ამოცანის პირობის მიხედვით 10 მოცულობა ანუ 10% აზოტი გარეაქმნება ამოცანად. ამოცანის წარმოქმნის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოცულობა აზოტი რეაქციაში შედის 3 მოცულობა წყალბადთან, ხოლო 10 მოცულობა აზოტი რეაქციაში შედის 30 მოცულობა წყალბადთან და წარმოიქმნება 20 მოცულობა ამიაკი. მაშასადამე, 400 მოცულობა (100+300=400) აზოტწყალბადის ნარევიდან წარმოიქმნება გაზთა ნარევი, რომელიც შედგება 20 მოცულობა ამიაკის, 90 მოცულობა (100-10=90) აზოტისა და 270 მოცულობა (300-30=270) წყალბადისაგან. გაზთა ნარევის საერთო მოცულობა 380 (20+90+270=380) მოცულობის ტოლი იქნება, ხოლო მისი პროცენტული შედგენილება ასეთი იქნება:

აზოტი:  $\frac{20 \cdot 100}{380} = 5,26\%$  ამიაკი,  $\frac{90 \cdot 100}{380} = 23,68\%$  აზოტი და

წყალბადი:  $\frac{270 \cdot 100}{380} = 71,06\%$  წყალბადი.

55. გოგირდოვანი გაზის დეჰანგვის რეაქცია მიმდინარეობს განტოლების მიხედვით:



ამ ამოცანის ამოსახსნელად ავიღოთ განსაზღვრული მოცულობით გაზთა ნარევი. თუ ავიღებთ 100 მოცულობა საკონტაქტო აპარატში შემავალ ნარევი, მაშინ მასში იქნება 10 მოცულობა გოგირდოვანი გაზი და 90 მოცულობა ჰაერი,

რომელიც შეიცავს 18 მოცულობა (20%) ეანგბადს და 72 მოცულობა (80%) აზოტს. გოგირდოვანი გაზის ეანგბადით დაეანგვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 2 მოცულობა გოგირდოვანი გაზი რეაქციაში შედის 1 მოცულობა ეანგბადთან და წარმოქმნის 2 მოცულობა გოგირდის ანჰიდრიდს, ხოლო 10 მოცულობა გოგირდოვანი გაზი რეაქციაში შეევა 5 მოცულობა ეანგბადთან და წარმოქმნის 10 მოცულობა გოგირდის ანჰიდრიდს, 100 მოცულობა გაზთა ნარევიდან, რომელიც შედის საკონტაქტო აპარატში, წარმოიქმნება 95 მოცულობა გაზთა ნარევი, რომელიც შეიცავს 10 მოცულობა ანუ  $\frac{10 \cdot 100}{95} = 10,52\%$  გოგირდის ანჰიდრიდს,

13 მოცულობა (18-5=13) ანუ  $\frac{13 \cdot 100}{95} = 13,68\%$  ეანგბადს და 72 მოცულობა ანუ  $\frac{72 \cdot 100}{95} = 75,80\%$  აზოტს.


50. ამოცანის პირობის მიხედვით 7,2 გ ნახშირბადის მონოქსიდი და დიოქსიდი  $27^{\circ}\text{C}$  ( $300\text{K}$ ) და 3 ატმ წნევის დროს იკავებს 2,05 ლ მოცულობას. შენდულევე-კლაპეირონის განტოლების გამოყენებით შეიძლება მოენახთო ნარევის საშუალო მოლეკულური მასა:

$$M = \frac{mRT}{Vp} = \frac{7,2 \cdot 0,082 \cdot 300}{2,05 \cdot 3} = 28,8.$$

თუ 1 მოლ გაზთა ნარევი ნახშირბადის დიოქსიდის მოლეგბის რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, ხოლო ნახშირბადის მონოქსიდის მოლეგბის რაოდენობას  $(1-x)$ -ით, ნარევის საშუალო მოლეკულური მასა შეიძლება ჩაიწეროს ასე:

$$\begin{aligned} 44x + 28(1-x) &= 28,8, \\ 44x + 28 - 23x &= 28,8, \\ 16x &= 0,8, \\ x &= 0,05. \end{aligned}$$

მაშასადამე, ნარევი შეიცავდა 5% ნახშირბადის დიოქსიდს და 95% მონოქსიდს. 20 ლ ნარევი შეიცავდა  $\frac{80 \cdot 95}{100} = 76$  ლ ნახშირბადის მონოქსიდს. მისი წვის რეაქცია მიმდინარეობს განტოლების მიხედვით:



თუ 2 ლ ნახშირბადის მონოქსიდს დაწვისათვის საჭიროა 1 ლ ეანგბადი, მაშინ მისი 76 ლ-ის დასაწეად საჭირო იქნება 38 ლ ეანგბადი.

57. 60 მლ ნახშირბადის მონოქსიდი, 40 მლ აზოტის მონოქსიდი და 24 მლ (20%) ეანგბადისა და 96 მლ (80%) აზოტის შემცველი 120 მლ ჰერის შერევისას, აზოტის მონოქსიდი რეაქციაში შედის ეანგბადთან. რეაქციის განტოლების მიხედვით (იხ. 53-ე ამოცანის ამონსა) 2 მლ აზოტის მონოქსიდი რეაქციაში შედის 1 მლ ეანგბადთან და წარმოიქმნება 2 მლ აზოტის დიოქსიდი, ხოლო 40 მლ აზოტის მონოქსიდი რეაქციაში შეევა 20 მლ ეანგბადთან და წარმოქმნის 40 მლ აზოტის დიოქსიდს. ნახშირბადის მონოქსიდი და აზოტი ამ პირობებში უცვლელი რჩება. წარმოქმნილი ნარევი შედგება 60 მლ ნახშირბადის მონოქსიდისაგან, 40 მლ აზოტის დიოქსიდის, 96 მლ აზოტისა და 4 მლ ( $24-20=4$ ) ეანგბადისაგან.


ნარევის საერთო მოცულობა 200 მლ-ის ( $60+40+96+4=200$ ) ტოლია. მაშასადა-  
 მუ, გაზთა ნარევის პროცენტული შედგენილობა ასეთია:  $\frac{60 \cdot 100}{200} = 30\%$  ნახ-  
 შერბადის მონოქსიდი,  $\frac{40 \cdot 100}{200} = 20\%$  აზოტის დი-ოქსიდი,  $\frac{96 \cdot 100}{200} = 48\%$   
 აზოტი და  $\frac{4 \cdot 100}{200} = 2\%$  ეანგბადი.

58. ამოცანის პირობის მიხედვით 50 მლ აზოტის მონოქსიდი და აზოტი შეუ-  
 რებს 25 მლ ჰაერთან, რომელიც შეიცავს 5 მლ ეანგბადსა და 20 მლ აზოტს:  
 აზოტის მონოქსიდის ეანგბადთან რეაქციის შედეგად ნარევის მოცულობა შემცირ-  
 და 5 მლ-ით ( $50+25-70=5$ ). მაშასადამე, 5 მლ ეანგბადთან რეაქციაში შევიდა  
 10 მლ აზოტის მონოქსიდი და 10 მლ აზოტის დიოქსიდი წარმოიქმნა, დარჩენილ 45 მლ  
 გაზში ( $50-10=40$ ) შეიძლება იყოს ან მხოლოდ აზოტი, ან აზოტის ნარევი  
 აზოტის მონოქსიდთან. წარმოიქმნილ გაზთა ნარევი (70 მლ) მიუმატებს 145 მლ ჰა-  
 ერი, რომელიც შეიცავს 29 მლ ეანგბადს და 116 მლ აზოტს. რეაქციის  
 შემდეგ ნარევის მოცულობა კიდევ შემცირდა 15 მლ-ით ( $70+145-  
 -200=15$ ) აზოტის მონოქსიდთან ეანგბადის შეერთების შედეგად. რეაქციის გან-  
 ტოლების მიხედვით 15 მლ ეანგბადი რეაქციაში შედის 30 მლ აზოტის  
 მონოქსიდთან და 30 მლ აზოტის დიოქსიდი წარმოიქმნება. მაშასადამე, საწ-  
 ყისი ნარევი შედგებოდა 40 მლ ( $10+30=40$ ) ანუ  $\frac{40 \cdot 100}{50} = 80\%$  აზოტის

მონოქსიდისაგან და 10 მლ ( $50-40=10$ ) ანუ  $\frac{10 \cdot 100}{50} = 20\%$  აზოტისაგან. ნარევი,  
 რომელიც წარმოიქმნა პირველი შერევის შემდეგ, შედგებოდა 10 მლ ანუ  
 $\frac{10 \cdot 100}{70} = 14,3\%$  აზოტის დიოქსიდისაგან, 30 მლ ანუ  $\frac{30 \cdot 100}{70} = 42,85\%$  აზოტის მონო-  
 ქსიდისა და 30 მლ ( $10+20=30$ ) ანუ  $42,85\%$  აზოტისაგან, ნარევი,  
 რომელიც წარმოიქმნა მეორე შერევის შემდეგ, შედგებოდა 40 მლ  
 $(10+30=40)$  ანუ  $\frac{40 \cdot 100}{200} = 20\%$  აზოტის დიოქსიდისაგან, 14 მლ ( $29-15=14$ ) ანუ  
 $\frac{14 \cdot 100}{200} = 7\%$  ეანგბადისა და 146 მლ ( $30+116=146$ ) ანუ  $\frac{146 \cdot 100}{200} = 73\%$

აზოტისაგან.

59. 4 ატმ და  $0^{\circ}\text{C}$ -ზე აღებული 2 ლ ეთანისა და პროპანის ნარევის დასაწყევად  
 დაიხარჯა 155 ლ ჰაერი, რომელიც შეიცავდა 155,0,2=31 ლ ეანგბადს. ნორმა-  
 ლური პირობების დროს აიროვანი ნარევის მოცულობა  $2 \cdot 4=8$  ლ-ის ტოლია.  
 ეთანისა და პროპანის წვის რეაქციები მიმდინარეობს განტოლებების მიხედვით:



თუ ნარევიში არსებული ეთანის მოცულობა ის აღენიშნავთ  $x$ -ით, მაშინ პრო-  
 პანის მოცულობა  $(8-x)$  ლ-ის ტოლი იქნება. ეთანისა და პროპანის წვის რეაქ-  
 ციათა განტოლებებიდან ჩანს, რომ 1 ლ ეთანის დაწვავთ იხარჯება 3,5 ლ ეანგბად-  
 დი, ხოლო პროპანის დაწვავთ — 5 ლ ეანგბადი. აქედან ეთანის დაწვავთ იხარჯება  
 $3,5x$  ლ, ხოლო პროპანის დაწვავთ —  $5(8-x)$  ლ ეანგბადი. მთლიანად 8 ლ ნარევის  
 დაწვისათვის დაიხარჯა 31 ლ ეანგბადი:

$$3,5x + 5(8-x) = 31,$$

$$3,5x + 40 - 5x = 31,$$

$$1,5x = 9,$$

$$x = 6.$$

მაშასადამე, ნარევი უფილა 6 ლ ანუ  $\frac{6 \cdot 100}{8} = 75\%$  ეთანო და 2 ლ

$(8-6=2)$  ანუ  $\frac{2 \cdot 100}{8} = 25\%$  პროპანი.

60. ნახშირბადის მონოქსიდის რეაქცია წყლის ორთქლთან მიმდინარეობს განტოლების მიხედვით:



როგორც ჩანს, გაზთა მოცულობები რეაქტივამდე და რეაქციის შემდეგ ტოლია.

ამ ამოცანის ამოსასწავლად ავიღოთ განსაზღვრული რაოდენობით ნახშირბადის მონოქსიდი და წყლის ორთქლი თანაფარდობით 1:5. 100 მოცულობა ნახშირბადის მონოქსიდზე უნდა ავიღოთ 500 მოცულობა წყლის ორთქლი. ნარევი, რომელიც გამოვიდა საკონტაქტო აპარატიდან, იყო 5% ნახშირბადის მონოქსიდი. ნარევის საერთო მოცულობა ტოლია  $600(100+500=600)$  და იგი შეიცავს

$\frac{5 \cdot 600}{100} = 30$  მოცულობა ნახშირბადის მონოქსიდს. მაშასადამე, 70 მოცულობა

$(100-30=70)$  ნახშირბადის მონოქსიდი რეაქციაში შევიდა 70 მოცულობა წყლის ორთქლთან და 70 მოცულობა ნახშირორჟანგი და 70 მოცულობა წყალბადი წარმოიქმნა. ნახშირბადის მონოქსიდის გარდაქმნის ხარისხი 70%-ის ტოლია. 600 მო-


ცულობა წარმოქმნილი ნარევი შეიცავდა 30 მოცულობა ანუ  $\frac{30 \cdot 100}{600} = 5\%$

ნახშირბადის მონოქსიდს, 90 მოცულობა ანუ  $\frac{70 \cdot 100}{600} = 11,67\%$  ნახშირორ-

ჟანგს, 70 მოცულობა ანუ 11,67% წყალბადს და 430 მოცულობა  $(500-70=430)$

ანუ  $\frac{430 \cdot 100}{600} = 71,66\%$  წლის ორთქლს.

61. მეთანისა და პროპანის წვის რეაქციები მიმდინარეობენ განტოლებებით:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით 40 ლ მეთანისა და პროპანის დაწვისათვის დაიხარჯა 170 ლ ენგბადი. მეთანის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ მისი 1 ლ დაწვისათვის აუცილებელია 2 ლ ენგბადი, ხოლო 1 ლ პროპანის დასაწვავად აუცილებელია 5 ლ ენგბადი. თუ მეთანის მოცულობას აღვნიშნავთ  $x$  ლ-ით, ხოლო მისი დაწვისათვის აუცილებელი ენგბადის რაოდენობას  $2x$  ლ-ით, პროპანის რაოდენობას  $(40-x)$  ლ-ით, ხოლო მისი დაწვისათვის საჭირო ენგბადს  $(5(40-x))$  ლ-ით. მაშინ

$$2x + 5(40-x) = 170,$$

$$2x + 200 - 5x = 170,$$

$$3x = 30,$$


$$x = 10 \text{ ლ.}$$

მაშასადამე, ნარევი ყოფილა 10 ლ მეთანი და 30 ლ (40-10=30) პროპანა.

მეორე ხერხი. მხოლოდ პროპანი რომ ყოფილიყო 40 ლ, მაშინ მისი დაწვისათვის აუცილებელი იქნებოდა 40 · 5 = 200 ლ ენგბადი. ამოცანის პირობის მიხედვით დაიხარჯა 170 ლ, ე. ი. 30 ლ-ით ნაკლები (200-170=30). 1 ლ მეთანის დაწვისათვის იხარჯება 3 ლ-ით ნაკლები ენგბადი, ვიდრე 1 ლ პროპანის დასაწვავად, მაშასადამე, ნარევი ყოფილა  $\frac{30}{3} = 10$  ლ მეთანი და 30 ლ პროპანი.


მესამე ხერხი. 40 ლ მეთანის დასაწვავად იხარჯება 2 · 40 = 80 ლ ენგბადი. ამოცანის პირობის მიხედვით დაიხარჯა 170 ლ ენგბადი, ე. ი. 90 ლ-ით მეტი (170-80=90). რადგან 1 ლ პროპანის დაწვისათვის იხარჯება 3 ლ-ით მეტი ენგბადი, ვიდრე 1 ლ მეთანის დაწვისათვის, ამიტომ ნარევი ყოფილა  $\frac{90}{3} = 30$  ლ პროპანი და 10 ლ მეთანი.

მეოთხე ხერხი. თუ მეთანის რაოდენობას ნარევი აღვნიშნავთ  $x$  ლ-ით, ხოლო ენგბადის მოცულობას, რომელიც აუცილებელია მისი დაწვისათვის  $y$  ლ-ით, მაშინ პროპანის მოცულობა (40- $x$ ) ლ-ის ტოლი იქნება, ხოლო ენგბადის მოცულობა, რომელიც აუცილებელია მისი დაწვისათვის, — (170- $y$ ) ლ. მეთანის დაწვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ



$$y = 2x.$$

პროპანის დაწვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ



$$170 - y = 5(40 - x)$$


$$170 - 2x = 200 - 5x,$$

$$3x = 30,$$

$$x = 10 \text{ ლ.}$$

მაშასადამე, ნარევი ყოფილა 10 ლ მეთანი და 30 ლ პროპანი.

მ2. რეაქცია ნახშირბადის მონოქსიდსა და წყლის ორთქლის შორის მიმდინარეობს ნახშირორჟანგისა და წყალბადის წარმოქმნით:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით აიღეს 700 მლ ნახშირბადის მონოქსიდის წყლის ორთქლთან ნარევი. მწუხვე ნატრიუმის ხსნარში გაატარეს მთელი გაზთა ნარევის 14 ლ ანუ  $\frac{14}{700} = 0,02$  ნაწილი: წარმოიქმნა 4,24 გ ანუ

$\frac{4,29}{106} = 0,04$  მოლი ნატრიუმის კარბონატი და 3,36 გრამი ანუ  $\frac{3,36}{84} = 0,04$  მო-

ლი ნატრიუმის ჰიდროკარბონატი. ნატრიუმის კარბონატისა და ჰიდროკარბონატის წარმოქმნის მოყვანილი განტოლებებიდან გამომდინარეობს, რომ როგორც 1 მოლი ნატრიუმის კარბონატის, ისე ჰიდროკარბონატის წარმოქმნაზე იხარჯება 1 მოლი ნახშირორჟანგი. მაშასადამე, 0,04 მოლი ნატრიუმის კარბონატის და 0,04



მოლი ჰიდროკარბონატის წარმოქმნაზე დასარჯულია 0,08 მოლი ნახშირორჟანგი, რომელსაც შეიცავს 14 ლ ნარევი. 700 ლ ასეთი ნარევი შეიცავს 50-ჯერ მეტ ნახშირორჟანგს, ე. ი.  $0,08 \cdot 50 = 4$  მოლს ანუ  $4 \cdot 22,4 = 89,6$  ლ.

ნახშირბადის მონოქსიდის წყლის ორთქლთან რეაქციის განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ 89,6 ლ ნახშირორჟანგი შეიძლება წარმოიქმნას, თუ 89,6 ლ ნახშირბადის მონოქსიდი რეაქციაში შევა 89,6 წყლის ორთქლთან. ამ დროს წარმოიქმნება კიდევ 89,6 ლ წყალბადი. მაშასადამე, 700 ლ წარმოქმნილ ნარევი იყო 89,6 ლ ანუ  $\frac{89,6 \cdot 100}{700} = 12,8\%$  ნახშირორჟანგი, 89,6 ლ ანუ 12,8% წყალბადი,

10,4 ლ  $(100 - 89,6 = 10,4)$  ანუ  $\frac{10,4 \cdot 100}{700} = 1,5\%$  ნახშირბადის მონოქსიდი და

510,4 ლ  $(600 - 89,6 = 510,4)$  ანუ  $\frac{510,4 \cdot 100}{700} = 72,9\%$  წყლის ორთქლი.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით 14 ლ ნარევი შეიცავდა იმდენ ნახშირორჟანგს, რომ მისგან წარმოიქმნა 4,24 გ ნატრიუმის კარბონატი და 3,36 გ ჰიდროკარბონატი. ნატრიუმის კარბონატის წარმოქმნის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

106 გ  $\text{NaCO}_3$ -ის წარმოქმნისათვის იხარჯება 22,4 ლ  $\text{CO}_2$ ,

4,2 გ  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის " " " " x ლ  $\text{CO}_2$

$$x = \frac{22,4 \cdot 4,24}{106} = 0,896 \text{ ლ.}$$

ნატრიუმის ჰიდროკარბონატის წარმოქმნის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

84 გ  $\text{NaHCO}_3$ -ის წარმოქმნისათვის იხარჯება 22,4 ლ  $\text{CO}_2$ ,

3,36 გ  $\text{NaHCO}_3$ -ის " " " "  $x_1$  ლ  $\text{CO}_2$

$$x_1 = \frac{22,4 \cdot 3,36}{84} = 0,896 \text{ ლ.}$$

მაშასადამე

14 ლ ნარევი შეიცავდა 1,792 ლ  $\text{CO}_2$ ,

700 ლ " " " "  $x_2$  ლ  $\text{CO}_2$

$$x_2 = \frac{1,792 \cdot 700}{14} = 89,6 \text{ ლ.}$$

ამოცანის ამოხსნის შემდგომი მსვლელობა ისეთივეა, როგორც პირველი ხერხის დროს.

iii. ამოცანის პირობის მიხედვით საკონტაქტო აპარატს მიაწოდეს ნახშირბადის მონოქსიდისა და წყლის ორთქლის 600 მ<sup>3</sup> ნარევი 1:5 თანაფარდობით, ე. ი. 600 მ<sup>3</sup> ნარევი შეიცავდა 100 მ<sup>3</sup> ნახშირბადის მონოქსიდს და 500 მ<sup>3</sup> წყალბადს. ორთქლგაზის ნარევის გაციებისას წყლის ორთქლი კონდენსირდება და 600 მ<sup>3</sup> ნარევიდან აიარაღ მდგომარეობაში რჩება მხოლოდ 160 მ<sup>3</sup> გაზები. ნახშირბადის მონოქსიდისა და წყლის ორთქლს შორის რეაქციის დამთავრების შემდეგ ნორმალური პირობების დროს არაკონდენსირებული გაზების მოცულობა გაიზარდა წყალბადის წარმოქმნის ხარჯზე, რადგან ნახშირბადის მონოქსიდი გარდაიქმნა დიოქსიდად. ამოცანის პირობის მიხედვით საკონტაქტო აპარატში გაზის გავლისა და წყლის ორთქლის კონდენსაციის შემდეგ ნარევის მოცულობა შეადგენდა 160 მ<sup>3</sup>, ე. ი. გაიზარდა 60 მ<sup>3</sup>-ით  $(160 - 100 = 60)$  წყალბადის წარმოქმნის ხარჯზე. ნახშირბადის

მონოქსიდის წყლის ორთქლთან რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 60 მ<sup>3</sup> წყალბადი წარმოიქმნა 60 მ<sup>3</sup> ნახშირბადის მონოქსიდის წყლით დაეანგვისას. გამოდის, რომ რეაქციისათვის აღებული 100 მ<sup>3</sup> ნახშირბადის მონოქსიდიდან რეაქციაში შევიდა 60 მ<sup>3</sup> და ნახშირბადის მონოქსიდის გარდაქმნის ხარისხი შეადგენს 60%.

84. ამოცანის პირობის მიხედვით 900 მლ აზოტის მონოქსიდის ჰაერთან ნარევი შეიცავს 62,23% ანუ  $\frac{62,23 \cdot 900}{100} = 560$  მლ აზოტს. წარმოქმნილ ნარევიში აზოტი შეადგენს 70% და მისი მოცულობა  $\frac{560 \cdot 100}{70} = 800$  მლ-ის ტოლია. მაშასადამე,

ნარევის მოცულობა შემცირდა 100 მლ-ით (900-800=100). მოცულობის შემცირება განპირობებულია წყალბადის ნიერთებით აზოტის მონოქსილთან. აზოტის მონოქსიდის ეანგებალთან რეაქციის განტოლებიდან (იხ. ამოცანა 53-ის ამოხსნა) ჩანს, რომ 2 მოცულობა აზოტის მონოქსიდი რეაქციაში შედის 1 მოცულობა ეანგებალთან და წარმოქმნის 2 მოცულობა აზოტის დიოქსიდს. ამ დროს ნარევის მოცულობა მცირდება ერთეულით. რამდენადაც ამოცანის პირობის მიხედვით მოცულობა შემცირდა 100 მლ-ით, ეს ნიშნავს, რომ 100 მლ ეანგებადი რეაქციაში შევიდა 200 მლ აზოტის მონოქსილთან 200 მლ აზოტის დიოქსიდის წარმოქმნით.

მაშასადამე, აღებულ 900 მლ ნარევიში იყო 560 მლ ანუ  $\frac{560 \cdot 100}{900} = 62,2\%$


აზოტი, 200 მლ ანუ  $\frac{200 \cdot 100}{900} = 22,2\%$  აზოტის მონოქსიდი და 140 მლ (900-560-

-200=140) ანუ  $\frac{140 \cdot 100}{900} = 15,6\%$  ეანგებადი. წარმოქმნილ 800 მლ ნარევიში იყო

70% აზოტი, 200 მლ ანუ  $\frac{200 \cdot 100}{800} = 25\%$  აზოტის დიოქსიდი და 40 მლ (140-

-100=40) ანუ  $\frac{40 \cdot 100}{800} = 5\%$  ეანგებადი.

85. მეთანის კონცენტრაცია წყლის ორთქლთან მიმდინარეობს რეაქციის ასეთი განტოლების მიხედვით:




ამოცანის პირობის მიხედვით მეთანსა და წყლის ორთქლს შორის თანაფარდობა ტოლია 1:3. ამ ამოცანის ამოხსნაწესად შეიძლება ავიღოთ მეთანისა და წყლის ორთქლის განსაზღვრული თანაფარდობა, მაგალითად, 100 მოცულობა მეთანზე უნდა ავიღოთ 300 მოცულობა წყლის ორთქლი. ამოცანის პირობის მიხედვით რეაქციაში შევიდა 80% ანუ 80 მოცულობა მეთანი. რეაქციის განტოლებით 1 მოცულობა მეთანი რეაქციაში შედის 1 მოცულობა წყალბადის წარმოქმნით, ხოლო 80 მოცულობა მეთანი რეაქციაში შეეა 80 მოცულობა წყლის ორთქლთან და წარმოქმნება 80 მოცულობა ნახშირბადის მონოქსიდი და 240 მოცულობა (80·3=240) წყალბადი. აიხების ნარევი, რომელიც წარმოიქმნება 400 მოცულობა მეთანისა და წყლის ორთქლისაგან, შედგება 20 მოცულობა (100-80=20) მეთანის, 80 მოცულობა ნახშირბადის მონოქსიდის, 240 მოცულობა წყალბადისა და 220 მოცულობა (300-80=220) წყლის ორთქლისაგან. ნარევის საერთო მოცულობა ტოლი იქნება 560 მოცულობის (20+80+240+220=560) და მისი პრო-

ცენტულო შედგენილობა იქნება:  $\frac{20 \cdot 100}{560} = 3,57\%$  მეთანი,  $\frac{80 \cdot 100}{560} = 14,29\%$

ნახშირბადის მონოქსიდი,  $\frac{240 \cdot 100}{560} = 42,86\%$  წყალბადი და  $\frac{220 \cdot 100}{560} = 39,28\%$

წყლის ორთქლი.


მ. ამოცანის პირობის მიხედვით ნარევი შედგება წყალბადის, მეთანისა და ეთანბადისაგან. ამ ნარევის დაწვისას მეთანი და წყალბადი იწვის:



აირების ნარევის გაციებისას კონდენსირდება წყლის ორთქლი, რომელიც წარმოიქმნება როგორც მეთანის, ისე წყალბადის წვის დროს. ამიტომ წყლის ორთქლის კონდენსაციის შემდეგ აირების ნარევის მოცულობის შემცირების მონაცემებით შეუძლებელია განისაზღვროს წყალბადისა და მეთანის შემცველობა. ნარევის გატარებისას ტუტის ხსნარში შთანთქმდება ნახშირორჟანგი, რომელიც წარმოიქმნება მხოლოდ მეთანის წვის დროს. ამოცანის პირობის მიხედვით ნახშირორჟანგის შთანთქმისას ნარევის მოცულობა შემცირდა 10 მლ-ით ( $35 - 25 = 10$ ).

მეთანის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოცულობა მეთანიდან წარმოიქმნება 1 მოცულობა ნახშირორჟანგი. მაშასადამე, 100 მლ ნარევი შეიცავდა 10 მლ მეთანს. ამავე განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოცულობა მეთანი რეაქციაში შედის 2 მოცულობა ეთანბადთან და წარმოქმნის 1 მოცულობა ნახშირორჟანგსა და 2 მოცულობა წყლის ორთქლს. წყლის ორთქლის კონდენსაციის დროს მოცულობა შემცირდება 2-ით, რადგან 1 მოცულობა მეთანიდან და 2 მოცულობა ეთანბადიდან ( $1 + 2 = 3$ ) რჩება 1 მოცულობა ნახშირორჟანგი. 10 მლ მეთანის დაწვისა და წყლის ორთქლის კონდენსაციის დროს მოცულობა უნდა შემცირდეს 20 მლ-ით. ამოცანის პირობის მიხედვით წყლის ორთქლის კონდენსაციის დროს მოცულობა შემცირდა 65 მლ-ით ( $100 - 35 = 65$ ). მაშასადამე, მეთანის დაწვისას მოცულობა შემცირდა 20 მლ-ით, ხოლო წყალბადის დაწვისა და წყლის ორთქლის კონდენსაციის დროს — 45 მლ-ით ( $65 - 20 = 45$ ). წყალბადის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 2 მოცულობა წყალბადი რეაქციაში შედის 1 მოცულობა ეთანბადთან 2 მოცულობა კონდენსირებული წყლის ორთქლის წარმოქმნით და მოცულობა მთლიანად მცირდება 3-ით. მოცემულ შემთხვევაში მოცულობის 45 მლ-ით შემცირებისას რეაქციაში შევიდა 30 მლ წყალბადი და 15 მლ ეთანბადი. მაშასადამე, 100 მლ ნარევი უფილა 10 მლ ანუ 10% მეთანი, 30 მლ ანუ 30% წყალბადი და 60 მლ ( $100 - 10 - 30 = 60$ ) ანუ 60% ეთანბადი.

მ. მეთანისა და ეთანის წვის რეაქციები მიმდინარეობს განტოლებების მიხედვით;



პ ი რ ვ ე ლ ი ხ ე რ ბ ი. ამოცანის პირობის მიხედვით 50 მლ მეთანისა და ეთანის ნარევის დაწვისას წარმოიქმნა 60 ლ ნახშირბადის დიოქსიდი. მეთანისა და ეთანის წვის რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ 1 მოცულობა მეთანის დაწვისას წარმოიქმნება 1 მოცულობა  $\text{CO}_2$ , ხოლო 1 მოცულობა ეთანის დაწვისას წარმოიქმნება 2 მოცულობა  $\text{CO}_2$  ამოცანის პირობის მიხედვით  $\text{CO}_2$  წარმოიქმნა 10 ლ-ით. მეტი ვიდრე ნარევი იყო, მაშასადამე, ნარევი უფილა 10 ლ ეთანი და 40 ლ ( $50 - 10 = 40$ ) მეთანი.

მეორე ხერხი. თუ მეთანის რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$  ლ-ით, ხოლო ეთანის რაოდენობას  $(50-x)$  ლ-ით, მაშინ ნახშირბადის დიოქსიდის რაოდენობა ტოლი იქნება:



$$x + 2(50 - x) = 60,$$

$$x + 100 - 2x = 60,$$

$$x = 40 \text{ ლ.}$$

მაშასადამე, ნარევი ყოფილა 40 ლ მეთანი და 10 ლ ეთანი.

85. პროპანსა და ბუტანის წვის რეაქციები მიმდინარეობს განტოლებების მიხედვით;



პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით 20 ლ პროპანისა და ბუტანის ნარევის დასაწვავად იხარჯება 124 ლ ენგბადი. წვის რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ 1 ლ პროპანის დასაწვავად საჭიროა 5 ლ ენგბადი, ხოლო 1 ლ ბუტანის დასაწვავად საჭიროა 6,5 ლ ენგბადი. თუ ბუტანის მოცულობას ნარევიში აღვნიშნავთ  $x$  ლ-ით, ხოლო პროპანის მოცულობას  $-(20-x)$  ლ-ით, მაშინ ბუტანის დასაწვავად დაიხარჯება  $6,5x$  ლ ენგბადი; ხოლო პროპანის დაწვისათვის  $-5(20-x)$  ლ ენგბადი, ხაიდანაც

$$6,5x + 5(20 - x) = 124,$$

$$6,5x + 100 - 5x = 124,$$

$$1,5x = 24,$$

$$x = 16.$$

მაშასადამე, 20 ლ ნარევიში ყოფილა 16 ლ ანუ  $\frac{16 \cdot 100}{20} = 80\%$  ბუტანი და.

4 ლ  $(20 - 16 = 4)$  ანუ  $\frac{4 \cdot 100}{20} = 20\%$  პროპანი.

მეორე ხერხი. პროპანისა და ბუტანის წვის რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ 1 ლ პროპანის დაწვავად იხარჯება 5 ლ ენგბადი, ხოლო 1 ლ ბუტანის დაწვავად იხარჯება 6,5 ლ ენგბადი, ე. ი. 1,5 ლ-ით მეტი. თუ დაწვადნენ 20 ლ პროპანს, მაშინ დახარჯდნენ 100 ლ ენგბადს, ე. ი. 24 ლ-ით  $(124 - 100 = 24)$  ნაკლებს, ვიდრე ამოცანის პირობით. ეს 24 ლ იხარჯება ბუტანის დაწვავად; თუ 1 ლ ბუტანის დასაწვავად საჭიროა 1,5 ლ-ით მეტი ენგბადი, ვიდრე 1 ლ პრო-


პანის დასაწვავად. მაშინ ნარევიში ყოფილა  $\frac{24}{1,5} = 16$  ლ ბუტანი. პროპანის რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს ნარევის მოცულობასა და ბუტანის მოცულობას შორის სხვაობით  $(20 - 16 = 4)$  ან ანალოგიური განსჯით; 20 ლ ბუტანის დასაწვავად საჭიროა 130 ლ ენგბადი, ხოლო ამოცანის პირობის მიხედვით 20 ლ ნარევის დასაწვავად დახარჯულია 124 ლ ენგბადი, ე. ი. 6 ლ-ით ნაკლები. 1 ლ პროპანის დასაწვავად იხარჯება 1,5 ლ-ით ნაკლები ენგბადი, ვიდრე 1 ლ ბუტანის დაწვავად, მაშასადამე, ნარევიში ყოფილა  $\frac{6}{1,5} = 4$  ლ პროპანი.

მესამე ხერხი. ამოცანის პირობით 20 ლ პროპანისა და ბუტანის ნარევის დაწვავად დაიხარჯა 124 ლ ენგბადი. თუ პროპანის მოცულობას აღვნიშნავთ  $x$  ლ-ით, ხოლო ენგბადის მოცულობას, რომელიც იხარჯება პროპანის დაწვავად,  $y$  ლ-ით, ბუტანის მოცულობა  $(20-x)$  ლ ტოლი იქნება, ხოლო ენგბადის მოცუ-

ლობა, რომელიც იხარჯება, ბუტანის დეწეაზე, (124-y) ლ-ის ტოლი იქნება. პროპანისა და ბუტანის წვის რეაქციათა განტოლებიდან ჩანს, რომ



$$y = 5x;$$



$$2(124-y) = 13(20-x).$$

განტოლებაში ჩავსვათ y-ის მნიშვნელობა;

$$2(124-5x) = 13(20-x),$$

$$248 - 10x = 260 - 13x,$$

$$3x = 12,$$

$$x = 4.$$

მაშასადამე, ნარევი უოფილა 4 ლ ანუ 20% პროპანი და 16 ლ ანუ 80% ბუტანი.

110. პროპანისა და ბუტანის წვის რეაქციები მიმდინარეობს განტოლებების მიხედვით;



ნახშირბადის დიოქსიდი რეაქციაში შედის მწვევე ნატრიუმთან და წარმოიქმნება ნატრიუმის კარბონატი და ჰიდროკარბონატი (იხ. ამოცანა 62).

პირველი ხე რ ხ ი. ამოცანის პირობის მიხედვით წარმოიქმნება 95,4 გ ანუ  $\frac{95,4}{106} = 0,9$  მოლი ნატრიუმის კარბონატი და 84 გ ანუ 1 მოლი ნატრიუმის

ჰიდროკარბონატი. ნახშირბადის დიოქსიდის მწვევე ნატრიუმთან რეაქციების განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ 1 მოლი როგორც ნატრიუმის კარბონატის, ისე ნატრიუმის ჰიდროკარბონატის წარმოსაქმნელად იხარჯება 1 მოლი ნახშირბადის დიოქსიდი. მაშასადამე,  $11,2 \cdot \frac{11,2}{22,4} = 0,5$  მოლი პროპან-ბუტანის

ნარევის დაწვისას წარმოიქმნა 1,9 მოლი (0,9+1=1,9) ნახშირბადის დიოქსიდი.

(1) და (2) რეაქციათა განტოლებების მიხედვით 1 მოლი პროპანის დაწვისას წარმოიქმნება 3 მოლი ნახშირბადის დიოქსიდი, ხოლო 1 მოლი ბუტანის დაწვისას წარმოიქმნება 4 მოლი ნახშირბადის დიოქსიდი. თუ ნარევი პროპანის მოლების რიცხვს აღვნიშნავთ x-ით, ხოლო ბუტანის მოლების რიცხვს (0,5-x)-ით, მაშინ x მოლი პროპანიდან წარმოიქმნება 3x მოლი ნახშირბადის დიოქსიდი, ხოლო (0,5-x) მოლი ბუტანიდან — 4(0,5-x) მოლი ნახშირბადის დიოქსიდი. აქედან.

$$3x + 4(0,5-x) = 1,9,$$

$$3x + 2 - 4x = 1,9,$$


$$x = 0,1.$$

მაშასადამე, ნარევი უოფილა 0,1 მოლი ანუ  $\frac{0,1 \cdot 100}{0,5} = 20\%$  პროპანი და

0,4 მოლი (0,5-0,1=0,4) ანუ  $\frac{0,4 \cdot 100}{0,5} = 80\%$  ბუტანი.

მეთრეხეტი. პირველი ხერხით ამოცანის ამოხსნიდან ცნობილია, რომ 0,5 მოლი პროპანისა და ბუტანის ნარევიდან წარმოიქმნება 1,9 მოლი ნახშირბადის დიოქსიდი. (1) და (2) რეაქციების განტოლებების მიხედვით 0,5 მოლი პროპანის დაწვისას უნდა წარმოიქმნას 1,5 მოლი ნახშირბადის დიოქსიდი, ხოლო 0,5 მოლი ბუტანის დაწვისას უნდა წარმოიქმნას 2 მოლი ნახშირბადის დიოქსიდი. ამოცანის პირობის მიხედვით წარმოიქმნა 1,9 მოლი ნახშირბადის დიოქსიდი. მაშასადამე. დაწვეს 0,4 მოლი  $(1,9 - 1,5 = 0,4)$  ბუტანი და 0,1 მოლი  $(2 - 4,9 = 0,1)$  პროპანი.

მესამე ხერხით. ამოცანის პირობის მიხედვით ნახშირბადის დიოქსიდიდან წარმოიქმნა 95,4 გ ნატრიუმის კარბონატი და 84 გ ნატრიუმის ქლორიდობი. ნახშირბადის დიოქსიდის მწვევე ნატრიუმთან რეაქციის განტოლების მიხედვით



$$x_1 = \frac{22,4 \cdot 95,4}{106} = 20,16 \text{ ლ.}$$

ნატრიუმის ქლორიდობიდან წარმოიქმნის რეაქციის განტოლების მიხედვით მისი 84 გ წარმოიქმნება 22,4 ლ ნახშირბადის დიოქსიდიდან. მაშასადამე, 11,2 ლ პროპან-ბუტანის ნარევის დაწვისას წარმოიქმნა 42,56 ლ  $(20,16 + 22,4 = 42,56)$  ნახშირბადის დიოქსიდი.


(1) და (2) რეაქციათა განტოლებებიდან ჩანს, რომ 1 მოცულობა პროპანის დაწვისას წარმოიქმნება 3 მოცულობა ნახშირბადის დიოქსიდი, ხოლო 1 მოცულობა ბუტანის დაწვისას წარმოიქმნება 4 მოცულობა ნახშირბადის დიოქსიდი. თუ ნარევი პროპანის მოცულობას აღვნიშნავთ  $x$  ლ-ით, მაშინ ბუტანის მოცულობა  $(11,2 - x)$  ლ-ის ტოლი იქნება.  $x$  ლ პროპანის დაწვისას წარმოიქმნება  $3x$  ლ ნახშირბადის დიოქსიდი, ხოლო  $(11,2 - x)$  ლ ბუტანის დაწვისას წარმოიქმნება  $4(11,2 - x)$  ლ ნახშირბადის დიოქსიდი. აქედან.

$$\begin{array}{l} 3x + 4(11,2 - x) = 42,56, \\ 3x + 44,8 - 4x = 42,56, \\ x = 2,24, \end{array}$$


მაშასადამე, 11,2 ლ ნარევი ყოფილა 2,24 ლ ანუ  $\frac{2,24 \cdot 100}{11,2} = 20\%$  პროპანი

და 8,96 ლ  $(11,2 - 2,24 = 8,96)$  ლ ანუ  $\frac{8,96 \cdot 100}{11,2} = 80\%$  ბუტანი.

მეთრეხეტი. მესამე ხერხის ანალოგიურად შეიძლება განვსაზღვროთ, რომ 11,2 ლ პროპან-ბუტანის ნარევის დაწვისას წარმოიქმნება 42,56 ლ ნახშირბადის დიოქსიდი. პროპანის მოცულობა აღვნიშნოთ  $x$  ლ-ით, ხოლო ნახშირბადის დიოქსიდის მოცულობა, რომელიც წარმოიქმნება  $x$  ლ პროპანის დაწვით —  $y$  ლ-ით, ბუტანის მოცულობა  $(11,2 - x)$  ლ-ის ტოლი იქნება, ხოლო ნახშირბადის დიოქსიდის მოცულობა, რომელიც წარმოიქმნება ამავე მოცულობის ბუტანის დაწვისას,  $(42,56 - y)$  ლ-ის ტოლი იქნება, პროპანისა და ბუტანის წვის რეაქციების განტოლებებიდან გამოვდინარეობს, რომ



$$y = 3x;$$



$$2(42,56 - y) = 8(11,2 - x),$$


$$42,56 - 3x = 44,8 - 4x,$$

$$x = 2,24.$$


მაშასადამე, 11,2 ლ პროპან-ბუტინის ნარევი ყოფილა 2,24 ლ ანუ 20 % პროპანი და 8,96 ლ ანუ 80% ბუტანი.

მეხუთე ხერხი. მესამე და მეოთხე ხერხის ანალოგიურად შეიძლება განვსაზღვროთ, რომ 11,2 ლ პროპან-ბუტანის ნარევის დაწვისას წარმოიქმნება 42,56 ლ ნახშირბადის დიოქსიდი. პროპანისა და ბუტანის წვის რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ 1 მოცულობა პროპანის დაწვისას წარმოიქმნება 3 მოცულობა CO<sub>2</sub>, ხოლო 1 მოცულობა ბუტანის დაწვისას წარმოიქმნება 4 მოცულობა CO<sub>2</sub>. პროპან-ბუტანის ნარევის დაწვისას წარმოიქმნება იმდენად მეტი CO<sub>2</sub>-ის მოცულობები (პროპანის დაწვისას წარმოქმნილ მოცულობების რაოდენობასთან შედარებით), რამდენი მოცულობა ბუტანიც იყო ნარევი. მაგალითად, 11,2 ლ პროპანის დაწვისას უნდა წარმოიქმნას 11,2 · 3 = 33,6 ლ CO<sub>2</sub>. ამოცანის პირობის მიხედვით წარმოიქმნა 8,96 ლ-ით მეტი (42,56 - 33,6 = 8,96) CO<sub>2</sub>. მაშასადამე, ნარევი ყოფილა 8,96 ლ ბუტანი და 2,24 ლ პროპანი. CO<sub>2</sub>-ის მოცულობების რაოდენობის შემცირება ანალოგიურად, მთელი ნარევის მოცულობის ბუტანზე გადაანგარიშებისას, ნარევი პროპანის შემცველობის ტოლია, მაგალითად, 11,2 ლ ბუტანის დაწვისას უნდა წარმოიქმნას 11,2 · 4 = 44,8 ლ CO<sub>2</sub>. ამოცანის პირობის მიხედვით წარმოიქმნა 42,56 ლ, ე. ი. 2,24 ლ-ით (44,8 - 42,56 = 2,24) ნაკლები, მაშასადამე, ნარევი ყოფილა 2,24 ლ პროპანი და 8,96 ლ ბუტანი.

70. აზოტისა და აზოტის დიოქსიდის ნარევის გატარებისას მწვევე ნატრიუმის ხსნარში რეაქციაში შედის მხოლოდ აზოტის დიოქსიდი:



ნატრიუმის ნიტრათი შეეუა გარემოში კალიუმის პერმანგანატით იქანება ნიტრატამდე ასეთი განტოლების მიხედვით:




პირველი ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით NaNO<sub>2</sub>-ის დაქანებაზე დახარჯულია 12,64 გ ანუ  $\frac{12,64}{158} = 0,08$  მოლი KMnO<sub>4</sub>. (2) რეაქციის განტო-

ლების მიხედვით 2 მოლი KMnO<sub>4</sub> რეაქციაში შედის 5 მოლ NaNO<sub>2</sub>-თან, ხოლო 0,08 მოლი KMnO<sub>4</sub> რეაქციაში შევა 0,2 მოლ NaNO<sub>2</sub>. (1) რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 0,2 მოლი NaNO<sub>2</sub> წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ რეაქციაში შევა 0,4 მოლი NO<sub>2</sub>. მაშასადამე, 20 ლ აზოტისა და აზოტის დიოქსიდის ნარევი ყოფილა 0,4 მოლი ანუ  $0,4 \cdot 22,4 = 8,96$  ლ ანუ  $\frac{8,96 \cdot 100}{20} = 44,8\%$  აზოტის დიო-

ქსიდი და 11,04 ლ (20 - 8,96 = 11,04) ანუ  $\frac{11,04 \cdot 100}{20} = 55,2\%$  აზოტი.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით NaNO<sub>2</sub>-ის დაქანებაზე დახარჯულია 12,64 გ KMnO<sub>4</sub>. (2) რეაქციის განტოლების მიხედვით



$$x = \frac{345 \cdot 12.64}{316} = 13,8 \text{ გ.}$$

(1) რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ


69 გ  $\text{NaNO}_2$  წარმოიქმნება 44,8 ლ  $\text{NO}_2$ -დან,  
13,8 გ  $\text{NaNO}_2$   $x_1$  ლ  $\text{NO}_2$ -დან,

$$x_1 = \frac{44,8 \cdot 13,8}{69} = 8,96 \text{ ლ.}$$


მაშასადამე, 20 ლ ნარევი შეიცავდა 8,96 ლ ანუ  $\frac{8,96 \cdot 100}{20} = 44,8\%$  აზოტის

დიოქსიდსა და 11,04 ლ ანუ  $\frac{11,04 \cdot 100}{20} = 55,2\%$  აზოტს.

71. პროპანის წვის რეაქცია მიმდინარეობს განტოლებით;




ამ განტოლების მიხედვით 42 ლ პროპანის დასაწვავად საჭიროა  $42 \cdot 5 = 210$  ლ ენგბადი. ოზონი იშლება ენგბადად, რომელიც მონაწილეობას ღებულობს წვის რეაქციაში:



როგორც ჩანს, 2 მოცულობა ოზონიდან წარმოიქმნება 3 მოცულობა ენგბადი. თუ ავიღებთ ოზონირებულ ენგბადს, რომელიც შეიცავს 10% ოზონს, მაშინ მის 100 მოცულობაში იქნება 10 მოცულობა ოზონი და 90 მოცულობა ენგბადი. 10 მოცულობა ოზონის დაშლისას წარმოიქმნება 15 მოცულობა ენგბადი, 100 მოცულობა ნარევიდან წარმოიქმნება 105 მოცულობა (90+15=105) ენგბადი. ამიტომ 10% ოზონის შემცველი ოზონირებული ენგბადი საჭიროა 1,05-ჯერ ნაკლები, ვიდრე სუფთა ენგბადი; თუ 42 ლ პროპანის დასაწვავად საჭიროა 210 ლ სუფთა ენგბადი, 10% ოზონის შემცველობის ოზონირებული ენგბადი საჭიროა  $\frac{210}{1,05} = 200$  ლ.

72. ქალკობირიტის წვის რეაქცია მიმდინარეობს განტოლებით;



პირველი ხეცის. აზოტის პირობის მიხედვით 73,6 გ ანუ  $\frac{73,6}{184} = 0,4$

მოდ ქალკობირიტს წვავენ 400 ლ ჰაერში, რომელიც შეიცავს 80 ლ ენგბდს და 320 ლ აზოტს. რეაქციის განტოლებიდან გამოდინარეობს, რომ 4 მოლი  $\text{CuFeS}_2$  რეაქციაში შედის 9 მოლ  $\text{O}_2$ -თან და გამოიყოფა 6 მოლი  $\text{SO}_2$ , ხოლო 0,4 მოლი  $\text{CuFeS}_2$  რეაქციაში შევა 0,9 მოლ ანუ  $0,9 \cdot 22,4 = 20,16$  ლ  $\text{CO}_2$ -თან და წარმოიქმნება 0,6 მოლი ანუ  $0,6 \cdot 22,4 = 13,44$  ლ  $\text{SO}_2$ .


მაშასადამე, აირების ნარევი შეიცავს 320 ლ აზოტს, 13,44 ლ გოგირდის დიოქსიდს და 59,84 ლ ( $80 - 20,16 = 59,84$ ) ენგბადს. აირების ნარევის საერთო




მოცულობა შეადგენს 393,28 ლ-ს, ხოლო მისი პროცენტული შედგენილობა. იქნება ასეთი:

$$\frac{320 \cdot 100}{393,28} = 81,3\% \text{ აზოტი, } \frac{13,44 \cdot 100}{393,28} = 3,4\% \text{ გოგირდის დიოქსიდი და } \frac{59,84 \cdot 100}{393,28} = 15,3\% \text{ ეანგბადი.}$$

მეორე ხერხი. ამოცანის პირობის მიხედვით დაწვეს 73,6 გ ქალკობრითი 400 ლ ჰაერში, რომელიც შეიცავდა 80 ლ ეანგბადს და 320 ლ აზოტს. ქალკობრითის წვის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ




ამავე განტოლების მიხედვით



მაშასადამე, წარმოქმნილ აირების ნარევი იქნება 320 ლ აზოტი, 13,44 ლ გოგირდის დიოქსიდი და 59,84 ლ (80—20,16=59,84) ეანგბადი. აირების ნარევის მოცულობა 393,28 ლ-ის ტოლი იქნება, ხოლო მისი პროცენტული შედგენილობა იქნება ასეთი:

$$\frac{320 \cdot 100}{393,28} = 81,3\% \text{ აზოტი, } \frac{13,44 \cdot 100}{393,28} = 3,4\% \text{ გოგირდის დიოქსიდი და } \frac{59,84 \cdot 100}{393,28} = 15,3\% \text{ ეანგბადი:}$$

78. გოგირდის ალმადანის გამოწვისას რეაქცია მიმდინარეობს განტოლების მიხედვით:





ამ ამოცანის ამოხსნისას უნდა ვისარგებლოთ ჰაერის მოცულობით, რომელიც თუცა უცილებელია განსაზღვრული რაოდენობით გოგირდის ალმადანის დასაწვად. ყველაზე უკეთესია ავიღოთ თანაფარდობები რეაქციის განტოლების მიხედვით. მისგან ჩანს, რომ 480 გ ალმადანის დაწვისათვის აუცილებელია 11.22,4=246,4 ლ ეანგბადი, რომელსაც შეიძლება შეიცავდეს 246,4.5=1232 ლ ჰაერი. ამოცანის პირობის მიხედვით ჰაერი უნდა იყოს ერთნაბევარი რაოდენობით, ე. ი. 1232 : 1,5=1848 ლ.

რეაქციაში 1848 ლ ჰაერი შეიცავდა 1478,4 ლ აზოტს (80%), რომელიც არ მონაწილეობს რეაქციაში, და 369,6 ლ (20%) ეანგბადს, რომლიდანაც 246,4 ლ რეაქციაში შევიდა, ხოლო 123,2 ლ დარჩა წარმოქმნილ ნარევიში. რეაქციის შედეგად წარმოიქმნა აგრეთვე 8.22,4=179,2 ლიტრი გოგირდის დიოქსიდი. ამგვარად, წარმოქმნილი ნარევის საერთო მოცულობა 1780,8 ლ-ის (179,2+123,2+1478,4=1780,8) ტოლი იყო და იგი შეიცავდა 179,2 ლ ანუ  $\frac{179,2 \cdot 100}{1780,8} = 10,06\%$  გო-

გრადის დიოქსიდს, რომელიც წარმოიქმნა რეაქციის შედეგად,  $123,2$  ლ ანუ  $\frac{1478,4 \cdot 100}{1780,8} = 6,92\%$  დარჩენილ ენგბადს და  $1478,4$  ლ ანუ  $\frac{123,2 \cdot 100}{1780,8} = 6,92\%$

აზოტს, რომელიც რეაქციაში მონაწილეობას არ იღებდა.

74. აფეთქების შედეგად ეთანი და ბუტანი რეაქციაში შედიან ჰაერის ენგბადთან განტოლებების თანხმად;



ამოცანის პირობის მიხედვით აფეთქეს  $500$  მლ ჰაერის ნარევი, რომელიც შეიცავდა  $100$  მლ ენგბადსა და  $400$  მლ აზოტს,  $20$  მლ ეთანისა და ბუტანის ნარევთან, რომლის სიმკვრივე წყალბადის მიმართ  $17,8$ -ის ტოლია. ამ ნარევის საშუალო მოლეკულური მასა  $2 \cdot 17,8 = 35,6$ -ის ტოლია. თუ მოლურ მოცულობაში ბუტანის წილს აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ ეთანის წილი  $(1-x)$ -ის ტოლი იქნება. აქედან

$$58x + 30(1-x) = 35,6,$$

$$58x + 30 - 30x = 35,6$$

$$28x = 5,6$$

$$x = 0,2.$$

შეასაღამე, ნარევი უოფილა  $0,2$  ანუ  $20\%$  ანუ  $0,2 \cdot 20 = 4$  მლ ბუტანი და  $16$  მლ ( $20 - 4 = 16$ ) ეთანი.

ეთანისა და ბუტანის წვის რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ  $1$  მლ ეთანის დაწვაზე იხარჯება  $3,5$  მლ ენგბადი, ხოლო  $1$  მლ ბუტანის დაწვაზე იხარჯება  $6,5$  მლ ენგბადი.  $16$  მლ ეთანის დასაწვავად დაიხარჯება  $16 \cdot 3,5 = 56$  მლ ენგბადი, ხოლო  $4$  მლ ბუტანის დაწვისას —  $4 \cdot 6,5 = 26$  მლ ენგბადი. რეაქციამდე არსებულ  $100$  მლ ენგბადიდან  $82$  მლ ( $56 + 26 = 82$ ) რეაქციაში შედის ეთანთან და ბუტანთან, ხოლო  $18$  მლ დარჩება. იმავე განტოლებებიდან ჩანს, რომ  $1$  მლ ეთანიდან წარმოიქმნება  $2$  მლ  $CO_2$ ,  $1$  მლ ბუტანიდან წარმოიქმნება  $4$  მლ  $CO_2$ , ხოლო ნარევი არსებულ  $16$  მლ ეთანიდან წარმოიქმნება  $32$  მლ  $CO_2$  და  $4$  მლ ბუტანიდან —  $16$  მლ  $CO_2$ . სისტემის ნორმალურ პირობებზე დაყვანით წყალი კონდენსირდება და პრაქტიკულად მოცულობასა და წნევაზე გავლენას არ მოახდენს. ამრიგად,  $520$  მლ საწყისი ნარევიდან, რომელიც შეიცავს  $400$  მლ აზოტს,  $100$  მლ ენგბადს,  $16$  მლ ეთანს და  $4$  მლ ბუტანს, წარმოიქმნა აირების ნარევი, რომელიც შეიცავს  $400$  მლ აზოტს,  $16$  მლ ენგბადს და  $48$  მლ ( $32 + 16 = 48$ ) ნახშირორჟანგს. წარმოქმნილი ნარევის საერთო მოცულობაა  $464$  მლ ( $400 + 16 + 48 = 464$ ) და ევლიომეტრში წნევა  $\frac{464 \cdot 760}{520} = 678$  მმ ვერტ. სექტის ტოლი იქნება:

### III. ეკვივალენტი და მოლეკულური მასა

75. პ ი რ ვ ე ლ ი ხ ე რ ხ ი. ამოცანის პირობით გამოიყო  $0,896$  ლ წყალბადი. თუ წყალბადის ეკვივალენტური მოცულობა  $11,2$  ლ-ის ( $\frac{22,4}{2} = 11,2$ )

ტოლია, ეს ნიშნავს, რომ გამოიყო  $\frac{0,896}{11,2} = 0,08$  ეკვივალენტი წყალბადი. ასე-

თი რაოდენობა შეიძლება გამოიყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეაქციაში შევა 0,08 ეკვივალენტი ლითონი. მაშასადამე, ლითონის ეკვივალენტი  $\frac{1,6}{0,08} = 20$ -ის ტოლია.

მეორე ხერხი: ამოცანის პირობით 1,6 გ ლითონი წყლიდან აძეებს 0,896 ლ წყალბადს. ლითონის ეკვივალენტის განსაზღვრა ნიშნავს მოექმენოთ ლითონის ისეთი წონითი რაოდენობა, რომელიც გამოაქვებს 1 გ ანუ  $\frac{22,4}{2} = 11,2$  ლ წყალბადს;

0,896 ლ წყალბადს გამოაქვებს 1,6 გ ლითონი,  
11,2 ლ " " " 3 გ

$$\vartheta = \frac{11,2 \cdot 1,6}{0,896} = 20.$$

მაშასადამე, ეკვივალენტი 20-ის ტოლია.

76. ამოცანის პირობით 1,89 გ შევას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 60 მლ მწვავე კალიუმის 0,5 N ხსნარი.

პირველი ხერხი. 1,89 გ შევას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 0,06 ეკვივალენტი 0,5 N ხსნარი ანუ  $0,06 \cdot 0,5 = 0,03$  ეკვივალენტი მწვავე კალიუმში. რადგან ნეიტრალიზაციები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით, ამიტომ მწვავე რეაქციაში შევიდა 0,03 ეკვივალენტი. შევას ეკვივალენტი  $\frac{1,89}{0,03} = 63$ -ის ტოლია.

ასეთი ეკვივალენტი აქვს აზოტმწვავეს.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 1,89 გ შევას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 60 მლ მწვავე კალიუმის 0,5 N ხსნარი. მისი ეკვივალენტი მოლეკულური მასის ტოლია, ე. ი. 56. ვპოულობთ, რომ

1000 მლ ხსნარი შეიცავს 0,5·56 გ KOH,  
60 მლ " " " x გ KOH.

$$x = \frac{60 \cdot 28}{1000} = 1,68 \text{ გ;}$$

1,68 გ KOH რეაქციაში შედის 1,89 გ შევასთან,  
56 გ KOH " " " 3 გ "


$$\vartheta = \frac{1,89 \cdot 56}{1,68} = 63.$$

ეკვივალენტი 63 აქვს აზოტმწვავეს.

77. ამოცანის პირობით 21 გ აზოტმწვავეს ნეიტრალიზაციაზე, რომლის ეკვივალენტი 63-ის ტოლია, დახარჯეს 50 გ ლითონის ჰიდროქსიდი. აქედან ლითონის

ჰიდროქსიდს აქვს ეკვივალენტი, რომელიც  $\frac{63 \cdot 50}{21} = 150$ -ის ტოლია. ლითონის ჰიდროქსიდის ეკვივალენტი OH ჰიდროქსიდოიდების ეკვივალენტებისა (რომელიც 17-ის ტოლია) და ლითონის ეკვივალენტების ჯამის ტოლია. აქედან ლითონის ეკვივალენტი  $150 - 17 = 133$ -ის ტოლია. ასეთი ეკვივალენტი აქვს ცეზიუმს.

78. მწვავე ნატრიუმის რეაქცია მარილმწვავესთან მიმდინარეობს განტოლებით:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობით რეაქციაში შევიდა 40 მლ მარილმჟავას 0,2 N ხსნარი, რომელიც შეიცავს ქლორწყალბადის 0,04 · 0,2 = 0,008 ეკვივალენტს. რადგან ნივთიერებები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით, ამიტომ მწვავე ნატრიუმის რეაქციაში შევიდა 0,008 · 40 = 0,32 გ.

მეორე ხერხი. მილილიტრებში ხსნარის მოცულობის ნამრავლი მის ნორმალურ კონცენტრაციაზე განსაზღვრავს 1 N ხსნარის მილილიტრების რაოდენობას. თუ რეაქციაში შევიდა 40 მლ 0,2 N ხსნარი, ეს ნიშნავს, რომ რეაქციაში შევიდა 0,2 · 40 = 8 მლ მარილმჟავას 1 N ხსნარი. რადგან ნივთიერებები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით, ამიტომ 8 მლ მარილმჟავას 1 N ხსნარი დაიხარჯება 8 მლ მწვავე ნატრიუმის 1 N ხსნარის ნეიტრალიზაციაზე. 1 ლ 1 N ხსნარი შეიცავს 1 ეკვივალენტ ნივთიერებას, ხოლო 1 მლ 1 N ხსნარი — 0,001 ეკვივალენტს. ჩვენს შემთხვევაში 8 მლ 1 N ხსნარი შეიცავს 8 · 0,001 · 40 = 0,32 გ მწვავე ნატრიუმს.

მესამე ხერხი. ამოცანის პირობით მწვავე ნატრიუმის ნეიტრალიზაციაზე იხარჯება 40 მლ მარილმჟავას 0,2 N ხსნარი. 1 ლ 0,2 N ხსნარი შეიცავს 0,2 ეკვივალენტ ანუ 0,2 · 36,5 = 7,3 გ ქლორწყალბადს.


$$\begin{aligned} & 1000 \text{ მლ ხსნარი შეიცავს } 7,3 \text{ გ HCl,} \\ & 40 \text{ მლ } " " \text{ } x \text{ გ HCl,} \\ & x = \frac{7,3 \cdot 40}{1000} = 0,292 \text{ გ.} \end{aligned}$$

მწვავე ნატრიუმის მარილმჟავათი ნეიტრალიზაციის რეაქციის განტოლებიდან, ნანს, რომ

36,5 გ HCl რეაქციაში შედის 40 გ NaOH-თან,  
0,292 გ HCl რეაქციაში შედის  $x_1$  გ NaOH-თან,

$$x_1 = \frac{40 \cdot 0,292}{36,5} = 0,32 \text{ გ.}$$

78. უცნობი ლითონის ნიტრატის რეაქცია გოგირდმჟავასთან მიმდინარეობს სქემით:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობით ლითონის ნიტრატიდან სულფატამდე გადასვლისას მარილის მასა შემცირდა 0,84 გ-ით (5,64 — 4,8 = 0,84), რადგან მარილის ეკვივალენტში ნიტრატ-იონი (ეკვივალენტი 62) ჩაინაცვლება სულფატ-იონით (ეკვივალენტი 48), 1 ეკვივალენტი ნიტრატის სულფატად გარდაქმნისას მარილის მასა უნდა შემცირდეს 14 გ-ით (62 — 48 = 14). ამოცანის პირობით მარილის მასა შემცირდა 0,84 გ-ით, მაშასადამე, რეაქციაში შევიდა მარილის  $\frac{0,84}{14} =$

$= 0,06$  ეკვივალენტი. მაშინ ნიტრატის ეკვივალენტი  $\frac{5,64}{0,06} = 94$ , ხოლო სულფატის ეკვივალენტი  $\frac{4,8}{0,06} = 80$ .

ლითონის ეკვივალენტი 32-ის (94 — 62 = 32 ანუ 80 — 48 = 32) ტოლია:

მეორე ხერხი. ლითონის ნიტრატის ეკვივალენტი ტოლია (M + 62), ხოლო სულფატის ეკვივალენტი — (M + 48). ამოცანის პირობით 5,64 გ ლითონის ნიტრატიდან წარმოიქმნა 4,8 გ ლითონის სულფატი:

$$\begin{aligned}
 &5,64 \text{ გ ნიტრატი წარმოქმნის } 4,8 \text{ გ სულფატს,} \\
 &(\text{მ}+62) \text{ გ " " } (\text{მ}+48) \text{ გ " } \\
 &5,64(\text{მ}+48)=4,8(\text{მ}+62), \\
 &5,64\text{მ}+270,72=4,8\text{მ}+297,6, \\
 &0,84\text{მ}=26,88, \\
 &\text{მ}=32.
 \end{aligned}$$

80. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 4,32 გ ლითონი უერთდება 17,04 გ (21,36-4,32=17,04) ანუ  $\frac{17,04}{35,5}=0,48$  ეკვივალენტ ქლორს: მაშასადამე, ლითონი რეაქციაში შედის 0,48 ეკვივალენტთან და მისი ეკვივალენტი  $\frac{4,32}{0,48}=9$ -ის ტოლია.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 4,32 გ ლითონი უერთდება 17,04 გრამ (21,36-4,32=17,04) ქლორს. რამდენადაც ქლორის ეკვივალენტი 35,5-ის ტოლია, ამიტომ საჭიროა განვსაზღვროთ ლითონის რაოდენობა, რომელიც უერთდება 35,5 გ ქლორს:

$$\begin{array}{ccc}
 17,04 \text{ გ ქლორი უერთდება } 4,32 \text{ გ ლითონს,} & & \\
 35,5 \text{ გ} & \text{მ} & \text{გ} \\
 \hline
 \text{მ} = \frac{4,32 \cdot 35,5}{17,04} = 9.
 \end{array}$$

მაშასადამე ლითონის ეკვივალენტი 9-ის ტოლია.

81. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით განსაზღვრული რაოდენობით ლითონი უერთდება 1,92 გ მჟავურ ნაშთს და 1,42 გ ანუ  $\frac{1,42}{35,5}=0,04$  ეკვივალენტ ქლორს. რადგან ნივთიერებები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით და მჟავურ ნაშთთან რეაქციაში შევიდა ლითონის ისეთივე რაოდენობა, როგორც ქლორთან, მაშასადამე, რეაქციაში შევიდა აგრეთვე მჟავური ნაშთის 0,04 ეკვივალენტი, რომლის ეკვივალენტი  $\frac{1,92}{0,04}=48$ -ის ტოლია. მჟავას ეკვივალენტი 49-ის (48+1=49) ტოლია. მაშასადამე, ეს გოგირდმჟავაა.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით ერთი და იგივე რაოდენობით ლითონი უერთდება 1,92 გ მჟავას და 1,42 გ ქლორს. რადგან ნივთიერებები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით, ამიტომ ლითონის რაოდენობა, რომელიც შეერთებულია 1 ეკვივალენტ ქლორთან, უნდა შეუერთდეს 1 ეკვივალენტ მჟავურ ნაშთს. მაშასადამე,

$$\begin{array}{ccc}
 1,42 \text{ გ Cl}_2 \text{ ეკვივალენტურია } 1,92 \text{ გ მჟავური ნაშთისა,} & & \\
 35,5 \text{ გ Cl}_2 & \text{ " } & \text{ x გ " } \\
 \hline
 \text{x} = \frac{35,5 \cdot 1,92}{1,42} = 48
 \end{array}$$

მჟავას ეკვივალენტი 49-ის (48+1=49) ტოლია: მაშასადამე, ეს გოგირდმჟავაა.


მესამე ხერხი. თუ 1,42 გ ქლორს უერთდება x გ ლითონი, მაშინ ლითონის 1 ეკვივალენტს უერთდება ქლორის (35,5) 1 ეკვივალენტი. აქედან ლითონის ეკვივალენტი მ ლ  $= \frac{35,5 \cdot \text{x}}{1,42}$  ამოცანის პირობით x გ ლითონი უერთ-

ღება 1,92 გ მჟავურ ნაშთს, ხოლო 1 ეკვივალენტი  $\text{O}$  ლ უნდა შეუერთდეს მჟავურ  
 რი ნაშთის 1 ეკვივალენტის  $\text{O}_8$  აქედან  $\text{O}_8 = \frac{\text{O}_8 \cdot x}{1,92}$  რადგან ორივე გან-  
 ტობებაში მხედველობაში გვაქვს ერთი და იგივე ლითონის ეკვივალენტი, ამიტომ

$$\frac{35,5x}{1,42} = \frac{\text{O}_8 \cdot x}{1,92}; \quad \text{O}_8 = \frac{35,5 \cdot 1,92}{1,42} = 48.$$

მჟავას ეკვივალენტი 49-ის ტოლია. მაშასადამე, ეს გოგირდმჟავაა.

82. უცნობი ლითონის კარბონატის თერმული დაშლის პროცესი შეიძლება ჩაე-  
 წეროს ასე:



სადაც  $\text{O}$  ლითონის ეკვივალენტია.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ ე რ ხ ი. ამოცანის პირობით გამოიყო 6,6 გ (15-8,4=6,6)

ანუ  $\frac{6,6}{44} = 0,15$  მოლი  $\text{CO}_2$ . რეაქციის განტოლებით 1 მოლი  $\text{CO}_2$  გამოიყოფა

1 მოლი კარბონატის დაშლის დროს. რადგან გამოიყო 0,15 მოლი  $\text{CO}_2$ , ამიტომ  
 15 გ ლითონის კარბონატი ასევე შეადგენს 0,15 მოლს, ხოლო ლითონის კარბო-  
 ნატის მოლეკულური მასა  $\frac{15}{0,15} = 100$ -ის ტოლია. ამ მარტივის ეკვივალენტი

$\frac{100}{2} = 50$ -ის ტოლია. რამდენადაც მარტივის ეკვივალენტი შედგება ლითონის ეკ-  
 ვივალენტისა და მჟავური ნაშთის ეკვივალენტისაგან, რომელიც  $\frac{60-30}{2}$

ტოლია, ამიტომ ლითონის ეკვივალენტი 20-ის (50-30=20) ტოლია.

მ ე ო რ ე ხ ე რ ხ ი. ამოცანის პირობით 15 გ ლითონის კარბონატის დაშლისას  
 წარმოიქმნება 8,4 გ მისი ოქსიდი და 6,6 გ (15-8,4=6,6)  $\text{CO}_2$ . რეაქციის  
 განტოლებით 1 მოლი  $\text{CO}_2$ -ის გამოყოფისას წარმოიქმნება 1 მოლი ანუ 2 ეკვი-  
 ვალენტი ლითონის ოქსიდი. მაშასადამე,

6,6 გ  $\text{CO}_2$ -ის გამოყოფისას წარმოიქმნება 8,4 გ ოქსიდი,

4,4 გ  $\text{CO}_2$ -ის " " " 20 გ "

$$\text{O} = \frac{44 \cdot 8,4}{2 \cdot 6,6} = 28.$$

ოქსიდის ეკვივალენტი ლითონისა და ეანგბადის (8) ეკვივალენტების ჯამის ტო-  
 ლია, ჩვენს შემთხვევაში იგი შეადგენს 28, ხოლო ლითონის ეკვივალენტი — 20  
 (28-8=20).

მ ე ს ა მ ე ხ ე რ ხ ი. ამოცანის პირობით 15 გ ლითონის კარბონატის დაშლი-  
 სს წარმოიქმნება 8,4 გ ლითონის ოქსიდი. ლითონის კარბონატის ეკვივალენტით  
 კარბონატ-იონისა და ლითონის ეკვივალენტების ჯამის ტოლია (30+ $\text{O}$ ), ხოლო  
 ლითონის ოქსიდის ეკვივალენტი ეანგბადისა და ლითონის ეკვივალენტების ჯა-  
 მის ტოლი, ე. ი. (8+ $\text{O}$ ). აქედან


15 გ კარბონატის დაშლისას წარმოიქმნება 8,4 გ ოქსიდი,

(30+ $\text{O}$ ) გ " " " (8+ $\text{O}$ ) გ "

$$8,4(30+\text{O}) = 15(8+\text{O}),$$

$$\begin{aligned} 252 + 8,4\vartheta &= 120 + 15\vartheta, \\ 6,6\vartheta &= 132, \\ \vartheta &= 20. \end{aligned}$$

88. შეეკვსე ჯგუფის ელემენტები წარმოქმნიან ასეთ ორფუძიან მჟავებს:



ამ მჟავების ეკვივალენტები შესაბამისად ტოლი  $\frac{34}{2} = 17$ ;  $\frac{82}{2} = 41$ ;  $\frac{98}{2} = 49$ ;

$$\frac{81}{2} = 40,5; \quad \frac{129}{2} = 64,5; \quad \frac{145}{2} = 72,5; \quad \frac{130}{2} = 65; \quad \frac{178}{2} = 89; \quad \frac{194}{2} = 97; \quad \frac{118}{2} = 59;$$

$$\frac{218}{2} = 109; \quad \frac{162}{2} = 81.$$

პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 5,8 გ მჟავას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 40 მლ NaOH-ის 2 N ხსნარი ანუ  $2 \cdot 0,04 = 0,08$  ეკვივალენტი. მაშასადამე, მჟავა რეაქციაში შევიდა აგრეთვე 0,08 ეკვივალენტი. მჟავას ეკვივალენტო ტოლია  $\frac{5,8}{0,08} = 72,5$ , ე. ი. ეს არის სელენმჟავას  $H_2SeO_4$  ეკვივალენტი.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 5,8 გ მჟავას ნეიტრალიზაციაზე დაიხარჯა 40 მლ NaOH-ის 2 N ხსნარი, რომლის ეკვივალენტი მისი მოლუკულებრივ მასის, ე. ი. 40-ის ტოლია. ვპოულობთ, რომ

$$\begin{aligned} 1000 \text{ მლ ხსნარი შეიცავს } 40 \cdot 2 &= 80 \text{ გ NaOH,} \\ 40 \text{ მლ } & \text{ " } & x \text{ გ NaOH,} \\ x &= \frac{40 \cdot 80}{1000} = 3,2 \text{ გ;} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} 3,2 \text{ გ NaOH რეაქციაში შედის } 5,8 \text{ გ მჟავასთან,} \\ 40 \text{ გ NaOH } & \text{ " } & \vartheta \text{ გ } & \text{ " } \end{aligned}$$

$$\vartheta = \frac{40 \cdot 5,8}{3,2} = 72,5.$$

ეკვივალენტი 72,5 აქვს სელენმჟავას  $H_2SeO_4$ .

84. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 2,24 გ ლითონის გამოქეცებისას თუთიის ფირფიტის მასა გაიზარდა არა 2,24 გ-ით, არამედ მხოლოდ 0,94 გ-ით, რადგან ხსნარში გადავიდა 1,3 გ ანუ  $\frac{1,3}{32,5} = 0,04$  ეკვივალენტი თუთია. რამდენ-

ნადაც ნეთიერებები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით, ამიტომ უცნობი ლითონი რეაქციაში შევიდა აგრეთვე 0,04 ეკვივალენტის რაოდენობით. მისი ეკვივალენტია  $\frac{2,24}{0,04} = 56$ .

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 2,24 გ ლითონის გამოქეცებისას ხსნარში გადავიდა 1,3 გ ( $2,24 - 0,94 = 1,3$ ) თუთია. მაშასადამე,

$$\begin{aligned} 1,3 \text{ გ თუთია გამოაქეცებს } 2,24 \text{ გ ლითონს,} \\ 32,5 \text{ გ } & \text{ " } & \vartheta \text{ გ } & \text{ " } \end{aligned}$$

$$\vartheta = \frac{32,5 \cdot 2,24}{1,3} = 56.$$

85. პირველი ხეობა. ამოცანის პირობით  $4,44 \text{ გ ანუ } \frac{4,44}{111} = 0,04$  მოლი კალციუმის ქლორიდიდან წარმოიქმნა აგრეთვე  $0,04$  მოლი ანუ  $8,76 \text{ გ}$  კრისტალიზირებული კრისტალიზრატის მოლეკულური მასა  $\frac{8,76}{0,04} = 219$ -ის ტოლია. 1 მოლი კრისტალიზრატი შეიცავს  $111 \text{ გ}$  კალციუმის ქლორიდს და  $108 \text{ გ}$  ( $219 - 111 = 108$ ) ანუ  $\frac{108}{18} = 6$  მოლ კრისტალიზაციურ წყალს. მაშასადამე, კალციუმის კრისტალიზრატის ფორმულა იქნება  $\text{CaCl}_2 \cdot 6\text{H}_2\text{O}$ .

მეორე ხეობა. ამოცანის პირობით  $4,44 \text{ გ}$  უწყლო კალციუმის ქლორიდიდან წარმოიქმნა  $8,76 \text{ გ}$  კრისტალიზრატი. აქედან


$4,44 \text{ გ CaCl}_2$  წარმოქმნის  $8,76 \text{ გ}$  კრისტალიზრატს,

$111 \text{ გ CaCl}_2$  " " " " " "

$$x = \frac{8,76 \cdot 111}{4,44} = 219 \text{ გ.}$$

$219 \text{ გ}$  კრისტალიზრატი შეიცავს  $111 \text{ გ}$  კალციუმის ქლორიდს და  $108 \text{ გ}$  ( $219 - 111 = 108$ ) ანუ  $\frac{108}{18} = 6$  მოლ კრისტალიზაციურ წყალს. მაშასადამე, კალციუმის ქლორიდის კრისტალიზრატის ფორმულა იქნება  $\text{CaCl}_2 \cdot 6\text{H}_2\text{O}$ .

86. სპილენძით ვერცხლისწყლის გამოძეგების რეაქცია მიმდინარეობს განტოლებით:



პირველი ხეობა. ამოცანის პირობით ვერცხლისწყლის გამოძეგებისას ხსნარიდან, რომელიც შეიცავს  $10,88 \text{ გ}$  ანუ  $\frac{10,88}{272} = 0,04$  მოლ ( $\frac{10,88}{136} = 0,08$

ეკვივალენტ) სულემას, სპილენძის ფირფიტის მასა გაიზარდა  $13,7\%$ -ით. თუ

ფირფიტაზე გამოყოფა  $0,04$  მოლი ( $0,08$  ეკვივალენტი) ანუ  $0,04 \cdot 201 = 8,04 \text{ გ}$  ( $0,08 \cdot 100,5 = 8,04$ ) ვერცხლისწყალი, მიზინ ხსნარში გადავა სპილენძის ეკვივალენტური რაოდენობა  $0,04 \cdot 64 = 2,56 \text{ გ}$  ( $0,08 \cdot 32 = 2,56$ ) და ფირფიტის მასა გაიზარდება  $5,48 \text{ გ}$ -ით ( $8,04 - 2,56 = 5,48$ ). რადგან ფირფიტის მასა გაიზარდა  $13,7\%$ -ით, ამიტომ მისი საწყისი მასა  $\frac{5,48}{0,137} = 40 \text{ გ}$ -ის ტოლი ყოფილა.

მეორე ხეობა. ამოცანის პირობით ხსნარში იყო  $10,88 \text{ გ}$  სულემა. ვერცხლისწყლის გამოძეგების რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

$272 \text{ გ HgCl}_2$ -დან გამოიძეგება  $201 \text{ გ Hg}$ ,  
 $10,88 \text{ გ HgCl}_2$ -დან " " " "  $x \text{ გ Hg}$ ,

$$x = \frac{10,88 \cdot 201}{272} = 8,04 \text{ გ.}$$



$201 \text{ გ Hg}$  გამოყოფისას ხსნარში გადადის  $64 \text{ გ Cu}$ ,  
 $8,04 \text{ გ Hg}$  გამოყოფისას " " " "  $x_1 \text{ გ Cu}$ ,

$$x_1 = \frac{8,04 \cdot 64}{201} = 2,56 \text{ გ.}$$



მაშასადამე, ფირფიტის მასა გაიზარდა 5,48 გ-ით (8,04—2,56=5,48) ანუ 13,7%-ით. ფირფიტის საწყისი მასა  $\frac{5,48 \cdot 100}{13,7} = 40$  გ-ის ტოლი ყოფილა.

67. სპილენძისა და ვერცხლის გამოქეების რეაქციები მიმდინარეობენ განტოლებებით:



რამდენადაც სპილენძის გამოქეებისას ფირფიტის მასა შემცირდა, ამიტომ ამ ლითონის ატომური მასა მეტია, ეიღრე სპილენძის ატომური მასა, მაგრამ ნაელები, ეიღრე ვერცხლისწყლის ატომური მასა, რადგან ვერცხლისწყლის გამოქეებისას ლითონი გამოიყოფა მეტი, ეიღრე ის გაღადის ხსნარში.

პირველი ხერხი. ამოცანის პირობით ვერცხლისწყლის გამოქეებისას ფირფიტის მასა გაიზარდა 6,675%-ით. ფირფიტის მასის გაზარდა განპირობებულია ლითონისა და ვერცხლისწყლის ატომური მასების სხვაობით, ე. ი. ფირფიტაზე გამოყოფილი ვერცხლისწყლის მასასა და ხსნარში გადასული ლითონის მასას შორის სხვაობით (201—Me) გ. ფირფიტის მასის შემცირება სპილენძის გამოქეების დროს (Me—64) გ-ის ტოლია. ა ფირფიტის მასა ორივე შემთხვევაში შეადგენს:

$$a = \frac{(Me - 64) \cdot 100}{3,6}; \quad a = \frac{(201 - Me) \cdot 100}{6,675}, \quad \text{საიდანაც}$$

$$\frac{(Me - 64) \cdot 100}{3,6} = \frac{(201 - Me) \cdot 100}{6,675}$$

$$66,75 Me - 4272 = 7236 - 36Me,$$

$$102,75Me = 11508,$$

$$Me = 112.$$

112 — კალმიუმის ატომური მასაა. მისი ეკვივალენტი 56-ის ტოლია.

მეორე ხერხი. დაუშვათ, რომ ფირფიტის მასა 100 გ-ის ტოლი იყო. სპილენძის გამოქეებისას მისი მასა შემცირდა 3,6 გ-ით, ხოლო ვერცხლისწყლის გამოქეებისას გაიზარდა 6,675 გ-ით. ორივე ფირფიტის მასათა სხვაობა 10,275 გ-ის (6,675+3,6=10,275) ტოლია. თუ ფირფიტებზე გამოიყოფა თითო მოლი ვერცხლისწყალი და სპილენძი, მაშინ ერთ-ერთის მასა გაიზარდება (201—Me) გ-ით, ხოლო მეორისა — შემცირდება (Me—64) გ-ით. ფირფიტების მასათა სხვაობა ტოლი იქნება 201—Me+Me—64=137 გ. ამოცანის პირობაში მოცემული ფირფიტების მასების სხვაობის გაყოფით 1 მოლი თითოეული ლითონის გამოყოფისათვის გამოთვლილი მასების სხვაობაზე, შეიძლება განესაზღვროთ, რამდენი მოლი სპილენძი, ვერცხლისწყალი და უცნობი ლითონი შევიდა რეაქციაში:  $\frac{10,275}{137} = 0,075$ . მაშინ ფირფიტების

მასის შემცირება და მომატება შეადგენს:

$$0,075Me - 0,075 \cdot 64 = 3,6;$$

$$0,075 \cdot 201 - 0,075Me = 6,675;$$

$$0,075Me - 4,8 = 3,6;$$

$$15,075 - 0,075Me = 6,675;$$

$$0,075 Me = 8,4;$$

$$0,075 Me = 8,4;$$

$$Me = 112$$

$$Me = 112.$$

ფირფიტა დამზადებული იყო კალმიუმისაგან. მისი ეკვივალენტი 56-ის ტოლია.

86. კალიუმის პერმანგანატში მანგანუმი გოგირდმჟავა გარემოში აღდგენისას იცვლის უანვეის ხარისხს +7-დან +2-მდე, ე. ი. 1 ატომი მანგანუმი იერთებს 5 ელექტრონს. ამიტომ კალიუმის პერმანგანატის ეკვივალენტი ამ რეაქციაში ტოლად მისი მოლეკულური მასა გაყოფილი 5-ზე, ე. ი.  $\frac{158}{5} = 31,6$ . ამოცანის პირობით

რეაქციაში შევიდა 1,896 გ ანუ  $\frac{1,896}{31,6} = 0,06$  ეკვივალენტი კალიუმის პერმანგანატი.

რადგან ნიეთიერებები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით, ცხადია, რომ უცნობი ნიეთიერება რეაქციაში შევიდა აგრეთვე 0,06 ეკვივალენტის რაოდენობით, მისი ეკვივალენტი  $\frac{1,02}{0,06} = 17$ -ის ტოლია.

88. გაზის მოცულობა მცირდება ლითონით ჰაერის უანგბადის შეკავშირების შედეგად.

პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 0,24 გ ლითონი რეაქციაში შევიდა 112 მლ ანუ  $\frac{0,112}{22,4} = 0,005$  მოლ ანუ  $\frac{0,112}{5,6} = 0,02$  ეკვივალენტ უანგბადთან. მაშასადამე,


ლითონი იყო აგრეთვე 0,02 ეკვივალენტი და მისი ეკვივალენტი  $\frac{0,24}{0,02} = 12$ -ის ტოლია.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 0,24 გ ლითონი რეაქციაში შედის 112 მლ ანუ  $\frac{0,112 \cdot 32}{22,4} = 0,16$  გ უანგბადთან. უანგბადის ეკვივალენტი 8-ის ტოლია. მაშასადამე,

0,16 გ  $O_2$  რეაქციაში შედის 0,24 გ ლითონთან,  
 8 გ  $O_2$  " " " " 24 გ " "

$$\frac{9 = 8 \cdot 0,24}{0,16} = 12.$$

90. რეაქცია  $FeSO_4$ -სა და  $KMnO_4$ -ის შორის გოგირდმჟავა გარემოში მიმდინარეობს განტოლებით:



პირველი ხერხი. 20 მლ  $FeSO_4$ -ის გატიტვრაზე დაიხარჯა 30 მლ (0,03 ლ)  $KMnO_4$ -ის 0,1 N ხსნარი ანუ 0,03 . 0,1 = 0,003 ეკვივალენტი  $KMnO_4$ . რადგან ნიეთიერებები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით, მაშასადამე, რეაქციაში შესულა 0,003 ეკვივალენტი  $FeSO_4$ . გატიტვრაზე დაიხარჯა მხოლოდ 20 მლ ხსნარი, მაშასადამე, 300 მლ ხსნარში ყოფილა 15-ჯერ მეტი  $FeSO_4$ , ე. ი. 0,003 . 15 = 0,045 ეკვივალენტი.  $FeSO_4$ -ის ეკვივალენტი ამ რეაქციაში მისი მოლეკულური მასის ტოლია, რადგან დეჟანვეის დროს 1 იონი რკინა გასცემს 1 ელექტრონს, 300 მლ ხსნარი შეიცავდა 0,045 მოლ  $FeSO_4$ -ს. რკინის აქსპის კრისტალჰიდრატის  $FeSO_4 \cdot 7H_2O$  მოლეკულური მასა 278-ის ტოლია. მაშასადამე, გახსნეს 0,045 . 278 = 12,51 გ რკინის აქსპი.

მეორე ხერხი.  $FeSO_4$ -ის გატიტვრაზე, რომელსაც შეიცავდა 20 მლ ხსნარი, დაიხარჯა  $KMnO_4$ -ის 30 . 0,1 = 3 მლ 1 N ხსნარი. რადგან ერთნაირი ნორმალური კონცენტრაციების მქონე ხსნარები რეაქციაში შედიან ერთნაირი მოცულობითი თანაფარდობით, ამიტომ  $FeSO_4$ -ის 1 N ხსნარის ასევე 3 მლ შესულა რეაქციაში. რამდენადაც გატიტვრაზე დაიხარჯა 300 მლ-დან მხოლოდ 20 მლ ხსნარი, ამიტომ მის

300 მლ-ში იქნება 15-ჯერ მეტი  $FeSO_4$ . ე. ი.  $3 \cdot 15 = 45$  მლ 1 N ხსნარი. 1 ლ 1 N ხსნარი შეიცავს  $FeSO_4$ -ის 1 ეკვივალენტს, ხოლო 1 მლ 1 N ხსნარი — 0,001 ეკვივალენტს. ჩვენს შემთხვევაში  $FeSO_4$ -ის ეკვივალენტი მისი მოლის ტოლია. რკინის აქსპის მთლიანი წარმოიქმნება უწყლო მარილის მოლიდან. მაშასადამე, 300 მლ ხსნარში გახსნილი უოფილა  $0,45 \cdot 0,001 \cdot 278 = 12,51$  გ რკინის აქსპი. ეს რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$B = V \cdot N_{II} \cdot 15 \cdot 0,001 \cdot 278$$

სადაც —  $B$  არის  $FeSO_4 \cdot 7H_2O$ -ის რაოდენობა გ-ობით,  $V_{II}$  —  $KMnO_4$ -ის ხსნარის მოცულობა მლ-ობით,  $N_{II}$  —  $KMnO_4$ -ის ხსნარის ნორმალური კონცენტრაცია; 15 — რიცხვია, რომელიც გვიჩვენებს, ხსნარის რა ნაწილი დაიხარჯა გატიტრებაზე, 278 — რკინის აქსპის ეკვივალენტი.

$$B = 300 \cdot 0,1 \cdot 15 \cdot 0,001 \cdot 278 = 12,51 \text{ გ.}$$

შესაბამებოდა ამოცანის პირობით 20 მლ ხსნარის გატიტრებაზე დაიხარჯა 50 მლ  $KMnO_4$ -ის 0,1 N ხსნარი.  $KMnO_4$ -ის ეკვივალენტი ამ რეაქციაში  $\frac{158}{5} = 31,6$ -ის ტოლია. 1 ლ 0,1 N ხსნარი შეიცავს 0,1 ეკვივალენტს ანუ  $0,1 \cdot 31,6 = 3,16$  გ  $KMnO_4$ :

1000 მლ ხსნარი შეიცავს 3,16 გ  $KMnO_4$ ,

30 მლ " " " "  $x$  გ  $KMnO_4$ ,

$$x = \frac{30 \cdot 3 \cdot 16}{1000} = 0,0948 \text{ გ.}$$

რკინის (II) სულფატის კალიუმის პერმანგანატით დაქანგვეს რეაქციის განტოლებებს მიხედვით

316 გ  $KMnO_4$  რეაქციაში შედის 1520 გ  $FeSO_4$ -თან,  
0,0948 გ  $KMnO_4$  " " "  $x_1$  გ  $FeSO_4$ -თან,

$$x_1 = \frac{0,0948 \cdot 1520}{316} = 0,456 \text{ გ.}$$

300 მლ ხსნარი შეიცავდა 15-ჯერ მეტ რკინის (II) სულფატს, ე. ი.  $15 \cdot 0,456 = 6,84$  გ. რკინის აქსპის კრისტალჰიდრატის ფორმულიდან ჩანს, რომ

152 გ  $FeSO_4$  წარმოქმნის 278 გ  $FeSO_4 \cdot 7H_2O$ ,

6,84 გ  $FeSO_4$  " " "  $x_2$  გ  $FeSO_4 \cdot 7H_2O$ ,

$$x_2 = \frac{6,84 \cdot 278}{152} = 12,51 \text{ გ.}$$

01. პირველი ხერხი ამოცანის პირობით წარმოიქმნა  $4,48$  ლ ანუ  $\frac{4,48}{22,4} = 0,2$  მოლი  $CO_2$ , რომელიც შეიცავს 0,2 მოლ ანუ  $0,2 \cdot 12 = 2,4$  გ ნახშირბადს და  $4,32$  გ ანუ  $\frac{4,32}{18} = 0,24$  მოლ  $H_2O$ , რომელიც შეიცავს  $0,24 \cdot 2 = 0,48$  გ მოლ ანუ 0,48 გ წყალბადს. ნახშირბადისა და წყალბადის მასა 2,88 გ ტოლია, ე. ი. ნივთიერება შედგება ნახშირბადისა და წყალბადისაგან. ნახშირბადისა და წყალბადის ატომებს შორის თანაფარდობა ტოლია:

$$C : H = 0,2 : 0,48 = 1 : 2,4 = 5 : 12.$$

მაშასადამე, ნაერთის ფორმულაა  $C_5H_{12}$ .

მეორე ხერხი: ნახშირბადის დიოქსიდის ფორმულიდან ჩანს, რომ

$$22,4 \text{ ლ } CO_2 \text{ შეიცავს } 12 \text{ გ } C,$$

$$44,8 \text{ ლ } CO_2 \text{ " } x \text{ გ } C,$$

$$x = \frac{4,84 \cdot 12}{22,4} = 2,4 \text{ გ.}$$

წყლის ფორმულიდან ჩანს, რომ

$$18 \text{ გ } H_2O \text{ შეიცავს } 2 \text{ გ } H_2,$$

$$4,32 \text{ გ } H_2O \text{ " } x_1 \text{ გ } H_2,$$

$$x_1 = \frac{4,32 \cdot 2}{18} = 0,48 \text{ გ.}$$

ნახშირბადისა და წყალბადის მასა ტოლია აღებული ნივთიერების მასისა — 2,88 გ ( $2,4 + 0,48 = 2,88$ ). გამოდის, რომ ნახშირბადისა და წყალბადის გარდა მასში სხვა ელემენტები არ უოფილა. ნახშირბადისა და წყალბადის ატომებს შორის თანაფარდობა ტოლია:

$$C : H = \frac{2,4}{12} : \frac{0,48}{1} = 0,2 : 0,48 = 1 : 2,4 = 5 : 12.$$

ნივთიერების ფორმულაა  $C_5H_{12}$ .

82. ამოცანის პირობით 2 გ ლითონიდან წარმოიქმნა 6 გ მისი სულფატი, რომელიც 2 გ ლითონი შეერთებულია 4 გ გოგირდმჟეავას მჟავეურ ნაშთთან. სულფატის ეკვივალენტი 48-ის ტოლია. აქედან გამოდინარე

2 გ ლითონი შეერთებულია 4 გ მჟავეურ ნაშთთან,

3 გ " " " " 48 გ " " "

$$3 = \frac{48 \cdot 2}{4} = 24.$$

ლითონის ეკვივალენტი 24-ის ტოლია.

88. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 1,84 გ ორგანული ნივთიერებიდან წარმოიქმნა 1,344 ლ ანუ  $\frac{1,344}{22,4} = 0,06$  მოლი  $CO_2$ , რომელიც შეიცავს 0,06 მოლ

ანუ  $0,06 \cdot 12 = 0,72$  გ ნახშირბადს, და 1,44 გ ანუ  $\frac{1,44}{18} = 0,08$  მოლ  $H_2O$ , რომელიც

შეიცავს 0,16 მოლ ანუ 0,16 გ წყალბადს. ნახშირბადისა და წყალბადის მასა მხოლოდ 0,88 გ-ის ტოლია, ხოლო ნივთიერების დანარჩენ რაოდენობას შეადგენს ეთანგადა.

მაშასადამე, 1,84 გ ნივთიერება შეიცავს 0,96 გ ანუ  $\frac{0,96}{16} = 0,06$  მოლ ეთანგადას. ნივთიერების მოლეკულაში ნახშირბადის, წყალბადისა და ეთანგადის ატომებს შორის

თანაფარდობა ტოლია:

$$C : H : O = 0,06 : 0,16 : 0,06 = 1 : 2,67 : 1 = 3 : 8 : 3.$$

ნივთიერების ფორმულაა —  $C_3H_8O_3$ .

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 1,84 გ ნივთიერების დაწვისას წარმოიქმნა 1,344 ლ  $CO_2$  (ნ. პ.) და 1,44 გ  $H_2O$ . ნახშირბადის დიოქსიდის ფორმულიდან ჩანს, რომ

$$22,4 \text{ ლ } \text{CO}_2 \text{ შეიცავს } 12 \text{ გ } \text{C},$$

$$1,344 \text{ ლ } \text{CO}_2 \text{ " } x \text{ გ } \text{C},$$

$$x = \frac{12 \cdot 1,344}{22,4} = 0,72 \text{ გ.}$$

წყლის ფორმულიდან ჩანს, რომ

$$18 \text{ გ } \text{H}_2\text{O} \text{ შეიცავს } 2 \text{ გ } \text{H}_2,$$

$$1,44 \text{ გ } \text{H}_2\text{O} \text{ " } x_1 \text{ გ } \text{H}_2,$$

$$x_1 = \frac{2 \cdot 1,44}{18} = 0,16 \text{ გ.}$$

1,84 გ ნეთიერებაში ნახშირბადისა და წყალბადის მასა 0,88 გ-ის ( $0,72 + 0,16 = 0,88$ ) ტოლია ნეთიერების დანარჩენ რაოდენობას შეადგენს ეანგბადი 0,96 გ ( $1,84 - 0,88 = 0,96$ ). ნეთიერების მოლეკულაში ნახშირბადის, წყალბადისა და ეანგბადის ატომებს შორის თანაფარდობა ტოლია:

$$\text{C} : \text{H} : \text{O} = \frac{0,72}{12} : \frac{0,16}{1} : \frac{0,96}{16} = 0,06 : 0,16 : 0,06 = 1 : 2,67 : 1 = 3 : 8 : 3$$

საწყისი ნეთიერების ფორმულაა  $\text{C}_3\text{H}_8\text{O}_3$ .

84. მძიმე ლითონის ნიტრატის დაშლის რეაქცია მიმდინარეობს განტოლებით:



(ანალიტიკური განტოლება შეიძლება დაეწერათ ლითონებისთვისაც სხვა ვალენტურ მდგომარეობაში).

პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 6,62 გ ლითონის ნიტრატის დაშლის დროს გამოიყო 1,12 ლ ანუ  $\frac{1,12}{22,4} = 0,05$  მოლი გზების ნარევი. რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 2 მოლი ლითონის ნიტრატის დაშლისას გამოიყოფა 5 მოლი გაზთა ნარევი (4 მოლი  $\text{NO}_2$  და 1 მოლი  $\text{O}_2$ ). რადგან ამოცანის პირობით გამოიყო 0,05 მოლი გაზების ნარევი, ამიტომ დაშლილია  $\frac{0,05 \cdot 2}{5} = 0,02$  მოლი ლითონის ნიტრატი.

ლითონის ნიტრატის მოლეკულური მასა  $\frac{6,62}{0,02} = 331$ -ის ტოლია. ლითონის ატომური მასა 207-ის ( $331 - 2 \cdot 62 = 207$ ) ტოლია. მაშასადამე, დასაშლელი მარილი ტყეის ნიტრატია  $\text{Pb}(\text{NO}_3)_2$ .

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 6,62 გ ლითონის ნიტრატის დაშლით გამოიყო 1,12 ლ გაზების ნარევი. რეაქციის განტოლებით 2 მოლი ლითონის ნიტრატის დაშლით გამოიყოფა 22,4 · 5 = 112 ლ გაზების ნარევი. მაშასადამე,

$$1,12 \text{ ლ გაზების ნარევი გამოიყოფა } 6,62 \text{ გ ნიტრატის დაშლისას,}$$

$$112 \text{ ლ " " } (2A_{\text{Me}} + 4 \cdot 62) \text{ გ "}$$

$$2A_{\text{Me}} = \frac{6,62 \cdot 112}{1,12} = 4,62,$$

$$A_{\text{Me}} = \frac{662 - 248}{2} = 207.$$

დასაშლელი მარილია ტყეის ნიტრატი  $\text{Pb}(\text{NO}_3)_2$ .

85. 100 გ ნეთიერება შეიცავს 85,71 გ ნახშირბადსა და 14,29 გ წყალბადს. ამ

ნიეთიერების მოლეკულაში ნახშირბადისა და წყალბადის ატომებს შორის თანაფარ-  
ლობა შეადგენს

$$C : H = \frac{85,71}{12} : \frac{14,29}{1} = 7,14 : 14,29 = 1 : 2.$$


მაშასადამე, ნაერთის უმარტივესი ფორმულა  $CH_2$  (მოლეკულური მასა 14).  
ნაერთის მოლეკულურ მასას ეპოულობთ მენდელეევი-კლაპეირონის განტოლებით.  
ამოცანის პირობით 42 გ ნიეთიერება  $127^{\circ}C$  და 5 ატმ წნევის დროს იკავებს 3,28 ლ  
მოცულობას. მაშინ

$$M = \frac{mRT}{Vp} = \frac{42 \cdot 0,082 \cdot 400}{3,28 \cdot 5} = 84.$$

მაშასადამე, კვშმარტი ფორმულა შედგება ექვსი უმარტივესისაგან  $\left(\frac{84}{14} = 6\right)$

ე. ი.  $C_6H_{12}$ .

96. მანგანუმის დიოქსიდსა და კონცენტრირებულ მარილმჟავას შორის რეაქცია  
მიმდინარეობს განტოლებით:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობით რეაქციაში შევიდა 6,96 გ მანგანუმის  
დიოქსიდი. მანგანუმის დიოქსიდსა და მარილმჟავას შორის რეაქციის განტოლებიდან  
გამომდინარეობს, რომ მანგანუმის დიოქსიდის ეკვივალენტი მისი მოლეკულური მა-  
სის 2-ზე განყოფის ტოლია, ე. ი.  $\frac{87}{2} = 43,5$ . მაშასადამე, რეაქციაში შევიდა  $\frac{6,96}{43,5} =$   
 $= 0,16$  მანგანუმის დიოქსიდის ეკვივალენტი, რის შედეგადაც გამოიყო 0,16 ეკვი-  
ვალენტი ქლორი, რომლიდანაც წარმოიქმნა 0,16 ეკვივალენტი ქლორადი. ლითონის  
ქლორიდის ეკვივალენტი  $\frac{7,6}{0,16} = 47,5$ -ის ტოლია, ხოლო ლითონის ეკვივალენტია  
 $12(47,5 - 35,5 = 12)$ .

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით რეაქციაში შევიდა 6,96 გ მანგანუმის  
დიოქსიდი. მანგანუმის დიოქსიდსა და მარილმჟავას შორის რეაქციის განტოლებიდან  
ჩანს, რომ


$$\begin{aligned} 87 \text{ გ } MnO_2 & \text{ წარმოქმნის } 71 \text{ გ } Cl_2, \\ 6,96 \text{ გ } MnO_2 & \text{ ,, } x \text{ გ } Cl_2 \\ x & = \frac{71 \cdot 6,96}{87} = 5,68 \text{ გ.} \end{aligned}$$

წარმოქმნილ 7,6 გ ლითონის ქლორიდში 5,68 გ ქლორი შეერთებულია 1,92 გ  
ლითონთან:

$$\begin{aligned} 5,68 \text{ გ } Cl_2 & \text{ შეერთებულია } 1,92 \text{ გ ლითონთან,} \\ 35,5 \text{ გ } Cl_2 & \text{ ,, } 3 \text{ გ ლითონთან,} \end{aligned}$$

$$3 = \frac{1,92 \cdot 35,5}{5,68} = 12.$$

97. სტიროლის შემცველობას განსაზღვრავენ რეაქციების განტოლებებით:





1000 მლ ხსნარი შეიცავს 15,8 გ  $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$ ,  
 20 მლ " " "  $x_1$  გ  $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$ ,

$$x_1 = \frac{15,8 \cdot 20}{1000} = 0,316 \text{ გ.}$$

იოდსა და თიოსულფატს შორის რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

316 გ  $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$  რეაქციაში შედის 254 გ  $\text{I}_2$ -თან,  
 0,316 გ  $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$  " "  $x_2$  გ  $\text{I}_2$ -თან,

$$x_2 = \frac{254 \cdot 0,316}{316} = 0,254 \text{ გ.}$$

ბრომსა და კალიუმის იოდიდს შორის რეაქციის განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ

254 გ  $\text{I}_2$  წარმოიქმნება, თუ რეაქციაში შევა 160 გ  $\text{Br}_2$ ,  
 0,254 გ  $\text{I}_2$  " " "  $x_3$  გ  $\text{Br}_2$ ,

$$x_3 = \frac{160 \cdot 0,254}{254} = 0,16 \text{ გ.}$$

მაშასადამე, 0,16 გ ბრომი რეაქციაში შევიდა კალიუმის იოდიდთან, ხოლო 0,8 გ (0,96 - 0,16 = 0,8) სტიროლთან. სტიროლსა და ბრომს შორის რეაქციის განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ

160 გ  $\text{Br}_2$  რეაქციაში შედის 104 გ სტიროლთან,  
 0,8 გ  $\text{Br}_2$  " " "  $x_4$  გ " "

$$x_4 = \frac{104 \cdot 0,8}{160} = 0,52 \text{ გ.}$$

ამრიგად, ხსნარში იყო 0,52 გ სტიროლი.

98. პირველი ხერხი. 48,3 გ კრისტალჰიდრატის გავარეარებისას წარმოიქმნა 21,3 გ ანუ  $\frac{21,3}{142} = 0,15$  მოლი უწყლო ნატრიუმის სულფატი. მაშასადამე, გავარეარეს 0,15 მოლი კრისტალჰიდრატი. კრისტალჰიდრატის მოლეკულური მასა  $\frac{48,3}{0,15} = 322$ -ის ტოლია. 1 მოლი კრისტალჰიდრატი შეიცავს 1 მოლ ანუ 142 გ უწყლო ნატრიუმის სულფატს და 180 გ (322 - 142 = 180) ანუ  $\frac{180}{18} = 10$  მოლ წყალს.

კრისტალჰიდრატის ფორმულა  $\text{Na}_2\text{SO}_4 \cdot 10\text{H}_2\text{O}$   
 მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 48,3 გ კრისტალჰიდრატის გავარეარებისას წარმოიქმნება 21,3 გ უწყლო ნატრიუმის სულფატი:

21,3 გ  $\text{Na}_2\text{SO}_4$  წარმოიქმნება 48,3 გ კრისტალჰიდრატიდან,  
 142 გ  $\text{Na}_2\text{SO}_4$  " "  $x$  გ

$$x = \frac{142 \cdot 48,3}{21,3} = 322 \text{ გ.}$$

მაშასადამე, 322 გ კრისტალჰიდრატი შეიცავს 142 გ უწყლო ნატრიუმის სულფატს და 180 გ ანუ  $\frac{180}{18} = 10$  მოლ კრისტალჰიდრატის წყალს. კრისტალჰიდრატის ფორმულა  $\text{Na}_2\text{SO}_4 \cdot 10\text{H}_2\text{O}$ .

99. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 6,8 გ ლითონის ოქსიდი აღდგება ისეთი რაოდენობის წყალბადით, რომელიც გამოიქმნება მარილმჟავადან ან გო-



გირღმეაუდან 13 გ ანუ  $\frac{13}{65}=0,2$  მოლი ანუ  $\frac{13}{32,5}=0,4$  ეკვივალენტი თუთიით. რადგან ნივთიერებები რეაგირებენ ეკვივალენტური შეფარდებებით, ამიტომ წყალბადიც და ლითონის ოქსიდიც უნდა იყოს 0,4 ეკვივალენტი. აქედან ლითონის ოქსიდის ეკვივალენტი  $\frac{6,8}{0,4}=17$ -ის ტოლია, ხოლო ლითონის ეკვივალენტი — 9-ის. (17-8=9) ტოლი.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 6,8 გ ლითონის ოქსიდის აღდგენაზე იხარჯება ისეთი რაოდენობით წყალბადი, რომელიც წარმოიქმნება მისი გამოქვეყნებით მარილმეაუდან ან გოგირღმეაუდან 13 გ თუთიით. 1 მოლი ანუ 65 გ თუთია გამოაქვეყნებს 1 მოლ ანუ 2 გ წყალბადს, საიდანაც

$$65 \text{ გ თუთია გამოაქვეყნებს } 2 \text{ გ } H_2,$$

$$13 \text{ გ } " " " x \text{ გ } H_2,$$

$$x = \frac{2 \cdot 13}{65} = 0,4 \text{ გ;}$$

$$0,4 \text{ გ } H_2 \text{ აღადგენს } 6,8 \text{ გ ოქსიდს,}$$

$$1 \text{ გ } H_2 " " 9 \text{ გ } "$$

$$9 = \frac{6,8 \cdot 1}{0,4} = 17.$$

მაშასადამე, ლითონის ოქსიდის ეკვივალენტი 17-ის ტოლია, ხოლო ლითონის ეკვივალენტი 9-ის (17-8=9) ტოლი.

100. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 1,44 გ ნივთიერების დაწვისას წარმოიქმნა 0,53 გ ანუ  $\frac{0,53}{106}=0,005$  მოლი სოდა, რომელიც შეიცავს 0,005 მოლ

ნახშირბადსა და 0,01 მოლ ნატრიუმს; 1,456 ლ ანუ  $\frac{1,456}{22,4}=0,065$  მოლი ნახშირბადის

დიოქსიდი, რომელიც შეიცავს 0,065 მოლ ნახშირბადს; 0,45 გ ანუ  $\frac{0,45}{18}=0,025$  მო-

ლი წყალი, რომელიც შეიცავს 0,05 მოლ წყალბადს. მაშასადამე, 1,44 გ ნივთიერებაში იყო 0,07 მოლი (0,005 + 0,065 = 0,07) ანუ  $0,07 \cdot 12 = 0,84$  გ ნახშირბადი, 0,05 მო-

ლი ანუ 0,05 გ წყალბადი და 0,01 მოლი ანუ  $0,01 \cdot 23 = 0,23$  გ ნატრიუმი, დანარჩენ 0,32 გ (1,44 - 0,05 - 0,84 - 0,23 = 0,32) ანუ  $\frac{0,32}{16} = 0,02$  მოლს შეადგენდა ენგბადი.

ნახშირბადის, წყალბადის, ენგბადისა და ნატრიუმის ატომებს შორის თანაფარდობა ტოლია:

$$C : H : O : Na = 0,07 : 0,05 : 0,02 : 0,01 = 7 : 5 : 2 : 1.$$

ნივთიერების ფორმულაა  $C_7H_5O_2Na$  ანუ  $C_6H_5COONa$ .

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 1,44 გ ნივთიერებიდან წარმოიქმნა 0,53 გ სოდა, 1,456 გ ნახშირბადის დიოქსიდი და 0,45 გ  $H_2O$ . სოდის ფორმულიდან ჩანს, რომ:

$$106 \text{ გ } Na_2CO_3 \text{ შეიცავს } 12 \text{ გ } C,$$

$$0,53 \text{ გ } Na_2CO_3 \text{ შეიცავს } x \text{ გ } C,$$

$$x = \frac{12 \cdot 0,53}{106} = 0,06 \text{ გ;}$$

106 გ  $\text{NaCO}_3$  შეიცავს 46 გ  $\text{Na}$ ,  
 0,53 გ  $\text{Na}_2\text{CO}_3$  "  $x_1$  გ  $\text{Na}$ ,

$$x_1 = \frac{46 \cdot 0,53}{106} = 0,23 \text{ გ.}$$

ნახშირბადის დიოქსიდის ფორმულიდან ჩანს, რომ

22,4 ლ  $\text{CO}_2$  შეიცავს 12 გ  $\text{C}$ ,  
 1,456 ლ  $\text{CO}_2$  "  $x_2$  გ  $\text{C}$ ,

$$x_2 = \frac{12 \cdot 1,456}{22,4} = 0,78 \text{ გ.}$$

წყლის ფორმულიდან ჩანს, რომ

18 გ  $\text{H}_2\text{O}$  შეიცავს 2 გ  $\text{H}_2$ ,  
 0,45 გ  $\text{H}_2\text{O}$  "  $x_3$  გ  $\text{H}_2$ ,

$$x_3 = \frac{2 \cdot 0,45}{18} = 0,05 \text{ გ.}$$

მაშასადამე, 1,44 გ ნეთიერება შეიცავდა 0,84 გ ( $0,78 + 0,06 = 0,84$ ) ნახშირბადს, 0,05 გ წყალბადს, 0,23 გ ნატრიუმსა და 0,32 გ ( $1,44 - 0,84 - 0,05 - 0,23 = 0,32$ ) ეანგბადს. ნახშირბადის, წყალბადის, ეანგბადისა და ნატრიუმის ატომებს შორის თანაფარდობა ტოლია:

$$\text{C} : \text{H} : \text{O} : \text{Na} = \frac{0,84}{12} : \frac{0,05}{1} : \frac{0,32}{16} : \frac{0,23}{23} = 0,07 : 0,05 : 0,02 : 0,01 = 7 : 5 : 2 : 1.$$

ნეთიერების ფორმულაა  $\text{C}_7\text{H}_5\text{O}_2\text{Na}$  ანუ  $\text{C}_6\text{H}_5\text{COONa}$ .

101. პ ი რ ვ ე ლ ი ხ ე რ ხ ი. ამოცანის პირობით 6,3 გ ნეთიერების დაწვისას წარმოიქმნა 1,59 გ ანუ  $\frac{1,59}{106} = 0,015$  მოლი სოდა  $\text{Na}_2\text{CO}_3$ , რომელიც შეიცავს

0,015 მოლ ნახშირბადს და 0,03 მოლ ნატრიუმს; 2,07 გ ანუ  $\frac{2,07}{138} = 0,015$  მოლი პოტასიუმის  $\text{K}_2\text{CO}_3$ , რომელიც შეიცავს 0,015 მოლ ნახშირბადს და 0,03 მოლ კალიუმს;

2,016 ლ ანუ  $\frac{2,016}{22,4} = 0,09$  მოლი ნახშირბადის დიოქსიდი, რომელიც შეიცავს 0,09 მოლ

ნახშირბადს; 1,08 გ ანუ  $\frac{1,08}{18} = 0,06$  მოლი წყალი, რომელიც შეიცავს 0,12 მოლ

წყალბადს. მაშასადამე, 6,3 გ ნეთიერება შეიცავდა 0,12 მოლ ( $0,09 + 0,015 + 0,015 = 0,12$ ) ანუ  $0,12 \cdot 12 = 1,44$  გ ნახშირბადს, 0,12 მოლ ანუ 0,12 გ წყალბადს, 0,03 მოლ ანუ  $0,03 \cdot 23 = 0,69$  გ ნატრიუმს, 0,03 მოლ ანუ  $0,03 \cdot 39 = 1,17$  გ კალიუმს და 2,88 გ ( $6,3 - 1,44 - 0,69 - 1,17 = 2,88$ ) ანუ  $\frac{2,88}{16} = 0,18$  მოლ ეანგბადს. ნახშირბადის,

წყალბადის, ეანგბადის, ნატრიუმისა და კალიუმის ატომებს შორის თანაფარდობა ტოლია:

$$\text{C} : \text{H} : \text{O} : \text{Na} : \text{K} = 0,12 : 0,12 : 0,18 : 0,03 : 0,03 = 4 : 4 : 6 : 1 : 1.$$

ნეთიერების ფორმულაა  $\text{KNaC}_4\text{H}_4\text{O}_6$ .

მ ე ო რ ე ხ ე რ ხ ი. ამოცანის პირობით 6,3 გ ნეთიერების დაწვისას წარმოიქმნა 1,59 გ სოდა, 2,07 გ პოტაში, 2,016 ლ ნახშირბადის დიოქსიდი და 1,08 გ წყალი. სოდის მოლეკულის ფორმულიდან ჩანს, რომ

$$\begin{aligned} & 106 \text{ გ } \text{Na}_2\text{CO}_3 \text{ შეიცავს } 12 \text{ გ } \text{C}, \\ & 1,59 \text{ გ } \text{Na}_2\text{CO}_3 \quad \quad \quad \text{ " } \quad \quad \quad x \text{ გ } \text{C}, \\ & x = \frac{12 \cdot 1,59}{106} = 0,18 \text{ გ;} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & 106 \text{ გ } \text{Na}_2\text{CO}_3 \text{ შეიცავს } 46 \text{ გ } \text{Na}, \\ & 1,59 \text{ გ } \text{Na}_2\text{CO}_3 \quad \quad \quad \text{ " } \quad \quad \quad x_1 \text{ გ } \text{Na}, \\ & x_1 = \frac{46 \cdot 1,59}{106} = 0,69 \text{ გ.} \end{aligned}$$

პოტასიუმის მოლეკულის ფორმულიდან ჩანს, რომ

$$\begin{aligned} & 138 \text{ გ } \text{K}_2\text{CO}_3 \text{ შეიცავს } 12 \text{ გ } \text{C}, \\ & 2,07 \text{ გ } \text{K}_2\text{CO}_3 \quad \quad \quad \text{ " } \quad \quad \quad x_2 \text{ გ } \text{C}, \\ & x_2 = \frac{12 \cdot 2,07}{138} = 0,18 \text{ გ.} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & 138 \text{ გ } \text{K}_3\text{CO}_3 \text{ შეიცავს } 78 \text{ გ } \text{K}, \\ & 2,07 \text{ გ } \text{K}_2\text{CO}_3 \quad \quad \quad \text{ " } \quad \quad \quad x_3 \text{ გ } \text{K}, \\ & x_3 = \frac{78 \cdot 2,07}{138} = 1,17 \text{ გ.} \end{aligned}$$

ნახშირბადის დიოქსიდის მოლეკულის ფორმულიდან ჩანს, რომ :

$$\begin{aligned} & 22,4 \text{ ლ } \text{CO}_2 \text{ შეიცავს } 12 \text{ გ } \text{C}, \\ & 2,016 \text{ ლ } \text{CO}_2 \quad \quad \quad \text{ " } \quad \quad \quad x_4 \text{ გ } \text{C}, \\ & x_4 = \frac{12 \cdot 2,016}{22,4} = 1,08 \text{ გ.} \end{aligned}$$

წყლის მოლეკულის ფორმულიდან ჩანს, რომ

$$\begin{aligned} & 18 \text{ გ } \text{H}_2\text{O} \text{ შეიცავს } 2 \text{ გ } \text{H}_2, \\ & 1,08 \text{ გ } \text{H}_2\text{O} \quad \quad \quad \text{ " } \quad \quad \quad x_5 \text{ გ } \text{H}_2, \\ & x_5 = \frac{2 \cdot 1,08}{18} = 0,12 \text{ გ.} \end{aligned}$$

ამრიგად, 6,3 გ ნივთიერებაში ყოფილა 1,44 გ ( $1,08 + 0,18 + 0,18 = 1,44$ ) ნახშირბადი, 0,12 გ წყალბადი, 0,69 გ ნატრიუმი, 1,17 გ კალიუმი და 2,88 გ ( $6,3 - 1,44 - 0,12 - 0,69 - 1,17 = 2,88$ ) ეანგბადი. ნივთიერების მოლეკულაში ამ ელემენტების ატომებს შორის თანაფარდობა ტოლია:

$$\begin{aligned} \text{C} : \text{H} : \text{O} : \text{Na} : \text{K} &= \frac{1,44}{12} : \frac{0,12}{1} : \frac{2,88}{16} : \frac{0,69}{23} : \frac{1,17}{39} = \\ &= 0,12 : 0,12 : 0,18 : 0,03 : 0,03 = 4 : 4 : 6 : 1 : 1. \end{aligned}$$

ნივთიერების ფორმულაა  $\text{KNaC}_4\text{H}_4\text{O}_6$ .

102. ამოცანის პირობით მარილმჟავაში 0,54 გ ლითონის გახსნისას წარმოიქმნა 200 მლ ანუ 0,2 ლ 0,1 M ხსნარი, რომელიც შეიცავდა  $0,2 \cdot 0,1 = 0,02$  მოლ ლითონის ქლორიდს, რომელიც შეიცავს 0,02 მოლ ლითონს. ლითონის ატომური მასა  $\frac{0,54}{0,02} = 27$ -ის ტოლია. მაშასადამე გაუხსნათ ალუმინი.

103. პ ი რ ვ ე ლ ი ხ ე რ ხ ი. ამოცანის პირობით ლითონის ოქსიდის აღდგენაზე დახარჯეს 2,016 ლ წყალბადი, ხოლო წარმოქმნილი ლითონის გახსნისას მარილმჟავა-

ში გამოიყო 1,344 ლ წყალბადი. ოქსიდების აღდგენისას წარმოიქმნება წყალი და 1 მოლი წყალბადი უერთდება 0,5 მოლ ეანგბადს. ამოცანის პირობით რეაქციაში შევიდა 2,016 ლ ანუ  $\frac{2,016}{22,4} = 0,09$  მოლი წყალბადი 0,045 მოლ ანუ  $0,045 \cdot 32 = 1,44$  გ ეანგბადთან. მაშასადამე, 4,8 გ ლითონის ოქსიდი შეიცავდა 1,44 გ ეანგბადს და 3,36 გ ლითონს. ამ რაოდენობის გახსნისას მარილმჟავაში გამოიყო 1,344 ლ ანუ  $\frac{1,344}{11,2} = 0,12$  ეკვივალენტი წყალბადი. მაშასადამე, ლითონიც რეაქციაში შევიდა 0,12

ეკვივალენტი. აქედან ლითონის ეკვივალენტი  $\frac{3,36}{0,12} = 28$ -ის ტოლია. ასეთი ეკვივალენტი აქვს რკინას.

მეორე ხერხი. ოქსიდის წყალბადით აღდგენისას წარმოიქმნება წყალი, რომელშიც 22,4 ლ წყალბადი უერთდება 16 გ ეანგბადს. აქედან

$$\begin{array}{l} 22,4 \text{ ლ } H_2 \text{ უერთდება } 16 \text{ გ ეანგბადს,} \\ 2,016 \text{ ლ } H_2 \text{ " " " } x \text{ გ " } \end{array}$$

$$x = \frac{16 \cdot 2,016}{22,4} = 1,44 \text{ გ.}$$

4,8 გ ლითონის ოქსიდში იყო 1,44 გ ეანგბადი და 3,36 გ ( $4,8 - 1,44 = 3,36$ ) ლითონი. ამ რაოდენობით ლითონის გახსნისას მარილმჟავაში გამოიყო 1,344 ლ წყალბადი. აქედან

$$\begin{array}{l} 3,36 \text{ გ ლითონი გამოაძევებს } 1,344 \text{ ლ } H_2, \\ 9 \text{ გ ლითონი " " } 11,2 \text{ ლ } H_2, \end{array}$$

$$9 = \frac{3,36 \cdot 11,2}{1,344} = 28.$$

ეკვივალენტი 28 აქვს რკინას.

104. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით ქლორში ლითონის დაწვისას წარმოიქმნება 32,5 გ ქლორიდი, რის შედეგადაც რეაქციაში შევიდა 6,72 ლ ანუ

$\frac{6,72}{11,2} = 0,6$  ეკვივალენტი ქლორი. რადგან ნივთიერებები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით, ამიტომ ქლორის ეკვივალენტი უერთდება ლითონის ეკვივალენტს ლითონის ქლორიდის ეკვივალენტის წარმოქმნით. მაშასადამე, წარმოიქმნა ლითონის ქლორიდის 0,6 ეკვივალენტი. ლითონის ქლორიდის ეკვივალენტი  $\frac{32,5}{0,6} = 54,17$ -ის ტოლია, ხოლო ლითონის ეკვივალენტი 18,67-ის ტოლი. ასეთი ეკვივალენტი აქვს რკინას (III) ( $18,67 \cdot 3 = 56$ ).

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 32,5 გ ლითონის ქლორიდის წარმოქმნისას რეაქციაში შევიდა 6,72 ლ ქლორი. ქლორის მოლეკულური მასიდან გამომდინარეობს:

$$\begin{array}{l} 22,4 \text{ ლ ქლორის მასა ტოლია } 71 \text{ გ,} \\ 6,72 \text{ ლ " " " } x \text{ გ,} \end{array}$$

$$x = \frac{71 \cdot 6,72}{22,4} = 21,3 \text{ გ.}$$

ლითონის ქლორიდის წარმოქმნისას 21,3 გ ქლორი შეუერთდა 11,2 გ ლითონს,


აქედან

21,3 გ ქლორი უერთდება 11,2 გ ლითონს,  
35,5 გ ქლორი " 9 გ "

$$x = \frac{11,2 \cdot 35,5}{21,3} = 18,67.$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 0,03 მოლი ანუ  $0,03 \cdot 65 = 1,95$  გ თუთია და 0,015 მოლი  $(0,045 - 0,03 = 0,015)$  ანუ  $0,015 \cdot 56 = 0,84$  გ რკინა.

მეორე ხე რხ ი. თუ ნარევეში იყო  $x$  გ ანუ  $\frac{x}{65}$  მოლი თუთია, მაშინ რკინა ყოფილა  $(2,79-x)$  გ ანუ  $\frac{2,79-x}{56}$  მოლი. მარილმჟავაში თუთიისა და რკინის გახსნის რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ  $\frac{x}{65}$  მოლი თუთიიდან წარმოიქმნება  $\frac{x}{65}$  მოლი ანუ  $\frac{22,4x}{65}$  ლ წყალბადი, ხოლო  $\frac{2,79-x}{56}$  მოლი რკინის გახსნისას წარმოიქმნება  $\frac{2,79-x}{56}$  მოლი ანუ  $\frac{22,4(2,79-x)}{56}$  ლ წყალბადი, აქედან

$$\begin{aligned} \frac{22,4x}{65} + \frac{22,4(2,79-x)}{56} &= 1,008, \\ 56x + 65(2,79-x) &= 0,045 \cdot 56 \cdot 65, \\ 56x + 181,35 - 65x &= 163,8, \\ 9x &= 17,55, \\ x &= 1,95 \text{ გ.} \end{aligned}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 1,95 გ თუთია და 0,84 გ  $(2,79 - 1,95 = 0,84)$  რკინა.

მესამე ხე რხ ი. თუ ნარევეში თუთიის რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, ხოლო წყალბადის მოცულობას, რომელიც გამოიყო მისი გახსნისას —  $y$  ლ-ით, მაშინ რკინის რაოდენობა ნარევეში  $(2,79-x)$  გ-ის ტოლი იქნება, ხოლო მისი გახსნისას გამოყოფილი წყალბადის მოცულობა —  $(1,008 - y)$  ლ-ისა. მარილმჟავაში

ლოთისა და რკინის გახსნის რეაქციების განტოლებების გამოყენებით შეიძლება შეკადგინოთ ორტუნობიანი ორი განტოლების სისტემა:

$$\begin{aligned} 65 \text{ გ თუთიის გახსნისას გამოიყოფა } 22,4 \text{ ლ } H_2, \\ x \text{ გ } \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad y \text{ ლ } H_2, \\ 65y = 22,4x, \end{aligned}$$

$$\begin{aligned} 56 \text{ გ რკინის გახსნისას გამოიყოფა } 22,4 \text{ ლ } H_2, \\ (2,79 - x) \text{ გ } \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad (1,008 - y) \text{ ლ } H_2, \\ 56(2,925 - x) = 65(2,79 - x), \end{aligned}$$

$$y = \frac{22,4x}{65},$$

$$56 \left( 1,008 - \frac{22,4x}{65} \right) = 22,4(2,79 - x),$$

$$\begin{aligned} 56(2,925 - x) &= 65(2,79 - x), \\ 163,8 - 56x &= 181,35 - 65x, \\ 9x &= 17,55, \\ x &= 1,95 \text{ გ.} \end{aligned}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 1,95 გ თუთია და 0,84 გ (2,79 - 1,95 = 0,84) რკინა.

240. ტუტის ხსნარში მითითებული ნარევის გახსნის დროს ტუტესთან ურთიერაქედებს მხოლოდ თუთია და ალუმინი, როგორც ნაჩვენებია №229 ამოცანის ამოხსნისას, ხოლო სპილენძი უცვლელი რჩება. აქედან გამომდინარეობს, რომ

ნარევეში ყოფილა 1,5 გ ანუ  $\frac{1,5 \cdot 100}{5} = 30\%$  სპილენძი და 3,5 გ (5 - 1,5 = 3,5)

ალუმინი და თუთია.

პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 3,5 გ თუთიისა და ალუმინის გახსნისას გამოიყო 2,016 ლ ანუ  $\frac{2,016}{22,4} = 0,09$  მოლი ანუ  $\frac{2,016}{11,2} = 0,18$  ეკვივალენტი

წყალბადი. რადგან ნივთიერებები რეაქციაში შედიან ეკვივალენტური რაოდენობებით, (მაშინ ნარევეში ყოფილა 0,18 ეკვივალენტი თუთია და ალუმინი. თუ თუთიის ეკვივალენტების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, ხოლო ალუმინის ეკვივალენტების რაოდენობას  $0,18 - x$ -ით), მაშინ ნარევეში ყოფილა 32,5x გ თუთია და 9(0,18 -  $x$ ) გ ალუმინი. აქედან

$$\begin{aligned} 32,5x + 9(0,18 - x) &= 3,5, \\ 32,5x + 1,62 - 9x &= 3,5, \\ 23,5x &= 1,88, \\ x &= 0,08. \end{aligned}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 30% სპილენძი, 0,08 ეკვივალენტი ანუ 0,08 გ, 32,5 = 2,6 გ ანუ  $\frac{2,6 \cdot 100}{5} = 52\%$  თუთია და 0,9 გ (3,5 - 2,6 = 0,9) ანუ  $\frac{0,9 \cdot 100}{5} = 18\%$  ალუმინი.

მეორე ხერხი. თუ თუთიის რაოდენობას ნარევეში აღვნიშნავთ  $x$ -ით ანუ  $\frac{x}{65}$  მოლით, მაშინ ნარევეში ყოფილა (3,5 -  $x$ ) გ ანუ  $\frac{3,5 - x}{27}$  მოლი ალუმინი.





$$x = \frac{56 \cdot 0,24}{8} = 1,68 \text{ გ.}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 1,68 გ რკინა და 3,04 გ ( $4,72 - 1,68 = 3,04$ ) რკინის ოქსიდები. თუ ნარევეში იყო  $x$  გ ანუ  $\frac{x}{72}$  მოლი რკინის (II) ოქსიდი, მაშინ რკინის (III) ოქსიდი ყოფილა  $(3,04 - x)$  გ ანუ  $\frac{3,04 - x}{160}$  მოლი. წყალბადით რკინის ოქსიდების აღდგენის რეაქციების განტოლებიდან ჩანს, რომ  $\frac{x}{72}$  მოლი რკინის (II) ოქსიდიდან წარმოიქმნება  $\frac{x}{72}$  მოლი ანუ  $\frac{56x}{72}$  გ რკინა, ხოლო  $\frac{3,04 - x}{160}$  მოლი რკინის (III) ოქსიდიდან წარმოიქმნება  $\frac{(3,04 - x) \cdot 2}{160}$  მოლი ანუ  $\frac{56(3,04 - x)}{80}$  გ. რკინა. აქედან

$$\frac{56x}{72} + \frac{56(3,04 - x)}{80} = 2,24,$$

$$80x + 72(3,04 - x) = 0,04 \cdot 72 \cdot 80,$$

$$80x + 218,88 - 72x = 230,4,$$

$$8x = 11,52,$$

$$x = 1,44 \text{ გ.}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 1,68 გ რკინა, 1,44 გ რკინის (II) ოქსიდი და 1,6 გ ( $3,04 - 1,44 = 1,6$ ) რკინის (III) ოქსიდი.

ესე ს ა მ ე ხ ე რ ხ ი. ამოცანის ამოხსნისას პირველი ორი ხერხის დროს ნარევენებია, რომ ნარევეში იყო 1,68 გ რკინა და 3,04 გ რკინის ოქსიდები. წყალბადით რკინის ოქსიდების აღდგენისას ნარევის მასა შემცირდა 0,8 გ-ით ( $4,72 - 3,92 = 0,8$ ). ეს ნიშნავს, რომ 3,04 გ ოქსიდებში იყო 0,8 გ შეკავშირებული ენგბადი და 2,24 გ ( $3,08 - 0,8 = 2,24$ ) რკინა სხვადასხვა ოქსიდის სახით. თუ რკინის (II) ოქსიდის რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$  გ-ით, ხოლო მისგან წარმოქმნილი რკინის რაოდენობას  $y$  გ-ით; მაშინ რკინის (III) ოქსიდის რაოდენობა  $(3,04 - x)$  გ-ის ტოლი იქნება, ხოლო მისგან წარმოქმნილი რკინის რაოდენობა  $(2,24 - y)$  გ-ის ტოლია. რკინის ოქსიდების აღდგენის რეაქციების განტოლებების გამოყენებით შეიძლება შევადგინოთ ორუცნობიანი ორი განტოლების სისტემა:

$$72 \text{ გ FeO-დან წარმოიქმნება } 56 \text{ გ Fe,}$$

$$x \text{ გ FeO-დან } \quad \quad \quad y \text{ გ Fe,}$$

$$72y = 56x;$$

$$160 \text{ გ Fe}_2\text{O}_3\text{-დან წარმოიქმნება } 112 \text{ გ Fe,}$$

$$(3,04 - x) \text{ გ Fe}_2\text{O}_3\text{-დან } \quad \quad \quad (2,24 - y) \text{ გ Fe,}$$

$$160(2,24 - y) = 112(3,04 - x),$$

$$y = \frac{56x}{72},$$

$$160 \left( 2,24 - \frac{56x}{72} \right) = 112(3,04 - x),$$

$$160(2,88 - x) = 72 \cdot 2(3,04 - x),$$





$$460,8 - 160x = 437,76 - 144x,$$

$$16x = 23,04,$$

$$x = 1,44 \text{ გ.}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 1,44 გ რკინის (II) ოქსიდი, 1,6 გ  $(3,04 - 1,44 = 1,6)$  რკინის (III) ოქსიდი და 1,68 გ რკინა.

242. ალუმინი, მაგნიუმი, თუთია და რკინა რეაქციაში შედიან მარილმჟავასთან შემდეგი განტოლებების თანახმად:



ტუტის ხსნარში შენადნობის გახსნისას რეაქციაში შედიან მხოლოდ თუთია და ალუმინი თანახმად განტოლებებისა, რომლებიც მოყვანილია № 229 ამოცანის ამოხსნის დროს. მაშასადამე, ალუმინისა და თუთიის გახსნის დროს გამოიყოფა 2,016 ლ  $H_2$  და რადგან მჟავასა და ტუტეში ალუმინისა და თუთიის გახსნისას გამოიყოფა წყალბადის ერთნაირი მოცულობა, ამიტომ მარილმჟავაში მაგნიუმისა და რკინის გახსნისას გამოიყოფა 1,568 ლ  $(3,584 - 2,016 = 1,568)$  წყალბადი.

პირველი ხე რხი. ამოცანის პირობით 1 მოლ ალუმინზე მორდიოდა 3 მოლი თუთია ანუ 3 ეკვივალენტ ალუმინზე —  $2 \cdot 3 = 6$  ეკვივალენტი თუთია. თუ ალუმინის ეკვივალენტების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ თუთიის ეკვივალენტების რაოდენობა  $2x$ -ის ტოლი იქნება. ამოცანის პირობით ტუტის ხსნარში შენადნობის გახსნისას გამოიყო 2,016 ლ ანუ  $\frac{2,016}{11,2} = 0,18$  ეკვივალენტი წყალბადი, მაშასადამე, გაიხსნა 0,18 ეკვივალენტი თუთია და ალუმინი. აქედან

$$x + 2x = 0,18,$$

$$3x = 0,18,$$

$$x = 0,06.$$

მაშასადამე, შენადნობში ყოფილა 0,06 ეკვივალენტი. ანუ  $0,06 \cdot 9 = 0,54$  გ ალუმინი, 0,12 ეკვივალენტი  $(0,18 - 0,06 = 0,12)$  ანუ  $0,12 \cdot 32,5 = 3,9$  გ თუთია და 2,96 გ  $(7,4 - 0,54 - 3,9 = 2,96)$  რკინა და მაგნიუმი. ამოცანის პირობით მათი გახსნისას გამოიყო 1,568 ლ ანუ  $\frac{1,568}{22,4} = 0,07$  მოლი წყალბადი. მაშასადამე, რეაქციაში შევიდა 0,07 მოლი რკინა და მაგნიუმი. თუ რკინის მოლების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, ხოლო მაგნიუმის მოლების რაოდენობას —  $(0,07 - x)$ -ით, მაშინ შენადნობში ყოფილა  $56x$  გ რკინა და  $24(0,07 - x)$  გ მაგნიუმი. აქედან

$$56x + 24(0,07 - x) = 2,96,$$

$$56x + 1,68 - 24x = 2,96,$$



$$32x = 1,28,$$

$$x = 0,04.$$

მაშასადამე, შენაღნობში ყოფილა 0,54 გ ალუმინი, 3,9 გ თუთია, 0,04 მოლი, ანუ  $0,04 \cdot 56 = 2,24$  გ რკინა და 0,72 გ ( $2,96 - 2,24 = 0,72$  ანუ  $0,03 \cdot 24 = 0,72$ ) მაგნიუმი.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით 1 მოლ ალუმინზე მოდიოდა 3 მოლი თუთია. თუ ალუმინის მოლების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ თუთიის მოლების რაოდენობა  $3x$ -ის ტოლი იქნება.  $x$  მოლი ალუმინის გახსნისას ტუტის ხსნარში, ალუმინის გახსნის რეაქციის განტოლების თანახმად, წარმოიქმნება  $1,5x$  მოლი ანუ  $22,4 \cdot 1,5x = 33,6x$  ლ წყალბადი, ხოლო ტუტის ხსნარში 30 მოლი თუთიის გახსნისას რეაქციის განტოლების თანახმად, წარმოიქმნება  $3x$  მოლი ანუ  $22,4 \cdot 3x = 67,2x$  ლ წყალბადი. აქედან

$$33,6x + 67,2x = 2,016,$$

$$100,8x = 2,016,$$

$$x = 0,02.$$

მაშასადამე, შენაღნობში ყოფილა 0,02 მოლი ანუ  $0,02 \cdot 27 = 0,54$  გ ალუმინი,  $0,02 \cdot 3 \cdot 65 = 3,9$  გ თუთია და 2,96 გ ( $7,4 - 0,54 - 3,9 = 2,96$ ) რკინა და მაგნიუმი.

თუ შენაღნობში იყო  $x_1$  გ ანუ  $\frac{x_1}{56}$  მოლი რკინა, მაშინ მაგნიუმი იქნებოდა

$(2,96 - x_1)$  გ ანუ  $\frac{2,96 - x_1}{24}$  მოლი.  $\frac{x_1}{56}$  მოლი რკინიდან, მარილმჟევეაში რკინის

გახსნის რეაქციის განტოლების თანახმად, წარმოიქმნება  $\frac{x_1}{56}$  მოლი ანუ

$\frac{22,4 \cdot x_1}{56}$  ლ წყალბადი, ხოლო  $\frac{2,96 - x_1}{24}$  მოლი მაგნიუმიდან, მარილმჟევეაში მაგ-

ნიუმის გახსნის რეაქციის განტოლების თანახმად, წარმოიქმნება  $\frac{2,96 - x_1}{24}$  მოლი

ანუ  $\frac{22,4(2,96 - x_1)}{24}$  ლ წყალბადი.

აქედან

$$\frac{22,4x_1}{56} + \frac{22,4(2,96 - x_1)}{24} = 1,568,$$

$$24x_1 + 56(2,96 - x_1) = 0,07 \cdot 24 \cdot 56.$$

$$24x_1 + 165,76 - 56x_1 = 94,08,$$

$$32x_1 = 71,68,$$

$$x_1 = 2,24 \text{ გ.}$$

მაშასადამე, შენაღნობში ყოფილა 0,54 გ ალუმინი, 3,9 თუთია, 2,24 გ რკინა და 0,72 გ ( $2,96 - 2,24 = 0,72$ ) მაგნიუმი.

მესამე ხერხი. თუ შენაღნობში იყო  $x$  მოლი ალუმინი, რომლის გახსნისას წარმოიქმნება  $y$  ლ წყალბადი, მაშინ თუთია იქნებოდა  $3x$  მოლი და მისი

გახსნისას წარმოიქმნა (2,016-y) ლ წყალბადი. ტუტის ხსნარში თუთიისა და ალუმინის გახსნის რეაქციების განტოლებების გამოყენებით შეიძლება შევადგოთ ნათ ორუცნობიანი ორი განტოლების სისტემა:


$$\begin{aligned}
 & 2 \text{ მოლი Al-ის გახსნისას გამოიყოფა } 67,2 \text{ ლ H}_2, \\
 & x \text{ " Al-ის " " " } y \text{ ლ H}_2, \\
 & \qquad \qquad \qquad 2y = 67,2x; \\
 & 1 \text{ მოლი თუთიის გახსნისას გამოიყოფა } 22,4 \text{ ლ H}_2 \\
 & 3x \text{ " " " " (2,016-y) ლ H}_2, \\
 & \qquad \qquad \qquad 2,016-y = 22,4 \cdot 3x, \\
 & \qquad \qquad \qquad y = 33,6x, \\
 & \qquad \qquad \qquad 2,016 - 33,6x = 67,2x, \\
 & \qquad \qquad \qquad 100,8x = 2,016, \\
 & \qquad \qquad \qquad x = 0,02.
 \end{aligned}$$

მაშასადამე, შენადნობში იყო 0,02 მოლი ანუ  $0,02 \cdot 27 = 0,54$  გ ალუმინი, 0,06 მოლი ანუ  $0,06 \cdot 65 = 3,9$  გ თუთია და  $2,96$  გ ( $7,4 - 0,54 - 3,9 = 2,96$ ) რკინა და მაგნიუმში. თუ რკინის რაოდენობას შენადნობში აღვნიშნავთ  $x_1$  გ-ით, ხოლო მისი გახსნის დროს გამოყოფილი წყალბადის რაოდენობას  $y_1$  ლ-ით, მაშინ მაგნიუმის რაოდენობა  $(2,96 - x_1)$  გ-ის ტოლი იქნება, ხოლო მარილმჟავაში მისი გახსნისას გამოყოფილი წყალბადის რაოდენობა —  $(1,568 - y)$  ლ-ისა. მარილმჟავაში რკინისა და მაგნიუმის გახსნის რეაქციების განტოლებების გამოყენებით შეიძლება შევადგინოთ ორუცნობიანი ორი განტოლების სისტემა:

$$\begin{aligned}
 & 56 \text{ გ Fe-ის გახსნისას გამოიყოფა } 22,4 \text{ ლ H}_2, \\
 & x_1 \text{ გ Fe-ის " " " } y_1 \text{ ლ H}_2, \\
 & \qquad \qquad \qquad 56y_1 = 22x_1; \\
 & 24 \text{ გ Mg-ის გახსნისას გამოიყოფა } 22,4 \text{ ლ H}_2, \\
 & (2,96 - x_1) \text{ გ Mg-ის " (1,568 - } y_1) \text{ ლ H}_2, \\
 & \qquad \qquad \qquad 24(1,568 - y_1) = 22,4(2,96 - x_1), \\
 & \qquad \qquad \qquad y_1 = \frac{22,4x_1}{56} \\
 & 24 \left( 1,568 - \frac{22,4x_1}{56} \right) = 22,4(2,96 - x_1), \\
 & \qquad \qquad \qquad 24(3,92 - x_1) = 56(2,96 - x_1), \\
 & \qquad \qquad \qquad 94,08 - 24x_1 = 165,76 - 56x_1, \\
 & \qquad \qquad \qquad 32x_1 = 71,68, \\
 & \qquad \qquad \qquad x_1 = 2,24 \text{ გ.}
 \end{aligned}$$

მაშასადამე, შენადნობში ყოფილა 0,54 გ ალუმინი, 3,9 გ თუთია, 2,24 გ რკინა და 0,72 გ ( $2,96 - 2,24 = 0,72$ ) მაგნიუმი.

248. თუ 50 მლ ხსნარს ანეიტრალებენ 22 მლ მარილმჟავას 2 M ხსნარით, მაშინ 500 მლ იგივე ხსნარი უნდა გაანეიტრალონ 220 მლ მარილმჟავას 2 M ხსნარით. მარილმჟავა რეაქციაში შედის კალიუმის და რუბიდიუმის კარბონატებთან შემდეგი განტოლებებით:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობით კალიუმისა და რუბიდიუმის კარბონატების 32,2 გ ნარევი რეაქციაში შედის მარილმჟავასთან, რომელსაც შეიცავს 220 მლ 2M ხსნარი, ე. ი.  $0,22 \cdot 2 = 0,44$  მოლ მარილმჟავასთან. მარილმჟავასთან კალიუმისა და რუბიდიუმის კარბონატების ნეიტრალიზაციის რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ ერთი მოლეკულა კალიუმის ან რუბიდიუმის კარბონატი რეაქციაში შედის ორ მოლეკულა მარილმჟავასთან. მაშასადამე, ნარევეში ყოფილა  $\frac{0,44}{2} = 0,22$  მოლი კალიუმისა და რუბიდიუმის კარბონატები. თუ კალიუმის კარბონატის მოლების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ რუბიდიუმის კარბონატის მოლების რაოდენობა  $(0,22 - x)$ -ის ტოლი იქნება. მაშინ ნარევეში იქნება 138x გ კალიუმის კარბონატი და 230  $(0,22 - x)$  გ რუბიდიუმის კარბონატი. აქედან

$$\begin{aligned} 138x + 230(0,22 - x) &= 32,2, \\ 138x + 50,6 - 230x &= 32,2, \\ 92x &= 18,4, \\ x &= 0,2. \end{aligned}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 0,2 მოლი ანუ  $0,2 \cdot 138 = 27,6$  გ კალიუმის კარბონატი და 0,02 მოლი  $(0,22 - 0,2 = 0,02)$  ანუ  $0,02 \cdot 230 = 4,6$  გ რუბიდიუმის კარბონატი.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით კალიუმისა და რუბიდიუმის კარბონატების 32,2 გ ნარევი რეაქციაში შევიდა 220 მლ მარილმჟავას 2M ხსნართან, რომელიც შეიცავდა  $0,22 \cdot 2 = 0,44$  მოლ ქლორწყალბადს. თუ ნარევეში იყო  $x$  გ ანუ  $\frac{x}{138}$  მოლი კალიუმის კარბონატი, მაშინ რუბიდიუმის კარბონატი ყოფილა  $(32,2 - x)$  გ ანუ  $\frac{32,2 - x}{230}$  მოლი. მარილმჟავასთან კალიუმისა და რუბიდიუმის კარბონატების რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ  $\frac{x}{138}$  მოლი კალიუმის კარბონატი რეაქციაში შედის  $\frac{2x}{138}$  მოლ ქლორწყალბადთან, ხოლო  $\frac{32,2 - x}{230}$  მოლი რუბიდიუმის კარბონატი რეაქციაში შედის  $\frac{2(32,2 - x)}{230}$  მოლ ქლორწყალბადთან. აქედან

$$\begin{aligned} \frac{2x}{138} + \frac{2(32,2 - x)}{230} &= 0,44, \\ 115x + 69(32,2 - x) &= 0,44 \cdot 115 \cdot 69, \\ 115x + 2221,8 - 69x &= 3491,4, \\ 46x &= 1269,6, \\ x &= 27,6 \text{ გ.} \end{aligned}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 27,6 გ კალიუმის კარბონატი და 4,6 გ  $(32,2 - 27,6 = 4,6)$  რუბიდიუმის კარბონატი.

მესამე ხერხი. ამოცანის პირობით კალიუმისა და რუბიდიუმის კარბონატების 32,2 გ ნარევი რეაქციაში შევიდა 220 მლ მარილმჟავას 2M ხსნართან. რადგან ხსნარი 2M, ამიტომ იგი შეიცავდა  $0,22 \cdot 2 \cdot 36,5 = 16,06$  გ ქლორწყალბადს. თუ კალიუმის კარბონატის რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$  გ-ით, ხოლო მასთან რეაქციაში შესული ქლორწყალბადის რაოდენობას —  $y$  გ-ით, მაშინ რუბი-

დიუმის კარბონატის რაოდენობა  $(32,3-x)$ -ის ტოლი იქნება, ხოლო მასთან რეაქციაში შესული ქლორწყალბადის რაოდენობა  $(16,06-y)$ -ის ტოლი. მარილმუცასთან კალციუმისა და რუბიდიუმის კარბონატების რეაქციების განტოლებების გამოყენებით შეიძლება შევადგინოთ ორუცნობიანი ორი განტოლება:

$$\begin{array}{r} 138 \text{ გ } K_2CO_3 \text{ რეაქციაში შედის } 73 \text{ გ } HCl\text{-თან,} \\ x \text{ გ } K_2CO_3 \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad y \text{ გ } HCl\text{-თან,} \\ 138y = 73x; \end{array}$$

$$\begin{array}{r} 230 \text{ გ } Rb_2CO_3 \text{ რეაქციაში შედის } 73 \text{ გ } HCl\text{-თან,} \\ (32,2-x) \text{ გ } Rb_2CO_3 \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad \quad (16,06-y) \text{ გ } HCl\text{-თან,} \\ 230(16,06-y) = 73(32,2-x), \end{array}$$

$$y = \frac{73x}{138},$$

$$230 \left( 16,06 - \frac{73x}{138} \right) = 73(32,2 - x),$$

$$230(30,36 - x) = 138(32,2 - x),$$



$$6982,8 - 230x = 4443,6 - 138x,$$

$$92x = 2539,2,$$


$$x = 27,6 \text{ გ.}$$

მაშასადამე, ნარევი უფილა 27,6 გ კალიუმის კარბონატი და 4,6 გ  $(32,2 - 27,6 = 4,6)$  რუბიდიუმის კარბონატი.


244. ამოცანის პირობით 15 მლ ანუ  $15 \cdot 0,88 = 13,2$  გ ბენზოლში ვახსნილი იყო ეთანოლის და პროპანოლის 2,19 გ ნარევი, რომლებიც ლითონურ ნატრიუმთან რეაქციაში შედიან განტოლებების თანახმად:



გამოყოფილი წყალბადი კატალიზატორის თანაობისას რეაქციაში შედის ძმრის ალდეჰიდთან განტოლების თანახმად:



ქარბი ალდეჰიდი რეაქციაში შედის ვერცხლის ოქსიდის, ამიაკურ ხსნართან განტოლების თანახმად:



პირველი ხერხი. ამოცანის პირობით ლითონურ ნატრიუმთან სპირტების რეაქციის დროს გამოყოფილ წყალბადთან რეაქციაში შევიდა 1,54 გ ანუ

$$\frac{1,54}{60} = 0,035 \text{ მოლი ძმრის ალდეჰიდი. მისი ნაჭარბი რეაქციაში შევიდა ვერცხ-$$

ლის ოქსიდის ამიაკურ ხსნართან, რის შედეგადაც გამოიყო 3,24 გ ანუ  $\frac{3,24}{108} =$

=0,03 მოლი ვერცხლი. ძმრის აღდგენის ვერცხლის ოქსიდთან რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი აღდგენილი აღადგენს 2 მოლ ვერცხლს, ხოლო 0,03 მოლი ვერცხლი აღდგება 0,015 მოლ აღდგენიდან. მაშასადამე, 0,035 მოლი ძმრის აღდგენილიდან 0,015 მოლი რეაქციაში შევიდა ვერცხლის ოქსიდთან, ხოლო 0,02 მოლი (0,035-0,015=0,02) რეაქციაში შევიდა წყალბადთან. წყალბადით აღდგენის აღდგენის რეაქტივიდან ჩანს, რომ 1 მოლი აღდგენილი რეაქციაში შედის 1 მოლ წყალბადთან, ხოლო 0,02 მოლი აღდგენილი რეაქციაში შედის 0,02 მოლ წყალბადთან. ლითონურ ნატრიუმთან სპირტების რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ 1 მოლი წყალბადი გამოიყოფა 2 მოლი სპირტის ურთიერთქმედებისას; ხოლო 0,02 მოლი წყალბადი გამოიყოფა 0,04 მოლი სპირტების ურთიერთქმედებისას, მაშასადამე, 2,19 გ სპირტების ხსნარში ყოფილა მათი 0,04 მოლი. თუ ეთანოლის მოლელების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, ხოლო პროპანოლის მოლელების რაოდენობას აღვნიშნავთ  $(0,04-x)$ , მაშინ ეთანოლი იქნება  $46x$  გ, ხოლო პროპანოლი —  $60(0,04-x)$  გ. აქედან

$$\begin{aligned} 46x + 60(0,04 - x) &= 2,19, \\ 46x + 2,4 - 60x &= 2,19, \\ 14x &= 0,21, \\ x &= 0,015. \end{aligned}$$

მაშასადამე, 15,39 გ ( $13,2 + 2,19 = 15,39$ ) ხსნარი შეიცავდა 0,015 მოლ ანუ 0,015  $46 = 0,69$  გ ანუ  $\frac{0,69 \cdot 100}{15,39} = 4,48\%$  ეთანოლს და 0,025 მოლ ( $0,04 - 0,015 = 0,025$ ) ანუ  $0,025 \cdot 60 = 1,5$  გ ანუ  $\frac{1,5 \cdot 100}{15,39} = 9,75\%$  პროპანოლს.

მეორე ხერხი. ამოხსნის პირველი ხერხის ანალოგიურად შეიძლება მოვიძებნოთ, რომ ეთანოლისა და პროპანოლის 2,19 გ ნარევიდან წარმოიქმნა 0,02 მოლი წყალბადი. თუ ეთანოლის რაოდენობას ნარევიში აღვნიშნავთ  $x$  გ-ით ანუ  $\frac{x}{46}$  მოლით, მაშინ ნარევიში პროპანოლის რაოდენობა  $(2,19-x)$  გ ანუ  $\frac{2,19-x}{60}$  მოლი იქნება. ლითონურ ნატრიუმთან სპირტების რეაქციების განტოლებებიდან ჩანს, რომ ორი მოლეკულა სპირტიდან წარმოიქმნება 1 მოლეკულა წყალბადი, ხოლო  $\frac{x}{46}$  მოლი ეთანოლიდან წარმოიქმნება  $\frac{x}{2 \cdot 46}$  მოლი წყალბადი და  $\frac{2,19-x}{60}$  მოლი პროპანოლიდან წარმოიქმნება  $\frac{2,19-x}{2 \cdot 60}$  მოლი წყალბადი. აქედან

$$\begin{aligned} \frac{x}{92} + \frac{2,19-x}{120} &= 0,02, \\ 120x + 92(2,19-x) &= 0,02 \cdot 120 \cdot 92, \\ 120x + 201,48 - 92x &= 220,8, \\ 28x &= 19,32, \\ x &= 0,69 \text{ გ.} \end{aligned}$$

მაშასადამე, ხსნარში ყოფილა 0,69 გ ანუ  $\frac{0,69 \cdot 100}{15,39} = 4,48\%$  ეთანოლი და 1,5 გ ( $2,19 - 0,69 = 1,5$ ) ანუ  $\frac{1,5 \cdot 100}{15,39} = 9,75\%$  პროპანოლი.

მესამე ხეობი. ამოცანის პირობით უარბი ძმრის ალდეჰიდის ურთიერთ-ქმედებისას ვერცხლის ოქსიდის ამიაკურ ხსნართან გამოიყო 3,24 გ ვერცხლი. ამ რეაქციის განტოლებიდან ჩანს, რომ

$$\begin{array}{l} 216 \text{ გ Ag გამოიყოფა } 44 \text{ გ } \text{CH}_3\text{CHO-ის ურთიერთქმედებისას,} \\ 3,24 \text{ გ Ag } \quad \quad \quad x \text{ გ } \text{CH}_3\text{CHO-ის } \quad \quad \quad \text{"} \\ x = \frac{44 \cdot 3,24}{216} = 0,66 \text{ გ.} \end{array}$$

აღებული 1,54 გ ძმრის ალდეჰიდიდან 0,66 გ რეაქციაში შევიდა ვერცხლის ოქსიდთან, ხოლო 0,88 გ (1,54 - 0,66 = 0,88) რეაქციაში შევიდა წყალბადთან კატალიზატორის თანობისას. ამ განტოლებიდან ჩანს, რომ

$$\begin{array}{l} 44 \text{ გ } \text{CH}_3\text{CHO რეაქციაში შევიდა } 22,4 \text{ ლ } \text{H}_2\text{-თან,} \\ 0,88 \text{ გ } \text{CH}_3\text{CHO } \quad \quad \quad \text{" } \quad \quad \quad \text{" } \quad \quad \quad x_1 \text{ ლ } \text{H}_2\text{-თან,} \end{array}$$

$$x_1 = \frac{22,4 \cdot 0,88}{44} = 0,448 \text{ ლ.}$$

მაშასადამე, ეთანოლისა და პროპანოლის 2,19 გ ნარევის ურთიერთქმედებისას ლითონურ ნატრიუმთან გამოიყო 0,448 ლ წყალბადი თუ ეთანოლის რაოდენობას ნარევი ალენიშნავთ  $x_2$  გ-ით, ხოლო მისგან გამოყოფილ წყალბადის რაოდენობას  $y$  ლ-ით, მაშინ პროპანოლის რაოდენობა (2,19 -  $x_2$ ) ლ-ის ტოლი იქნება, ხოლო მისგან გამოყოფილი წყალბადის რაოდენობა — (0,448 -  $y$ ) ლ-ის ტოლი. ამ მონაცემების საფუძველზე და ლითონურ ნატრიუმთან სპირტების რეაქციების განტოლებების გამოყენებით შეიძლება შევადგინოთ ორუცნობიანი ორი განტოლების სისტემა:

$$\begin{array}{l} 92 \text{ გ } \text{C}_2\text{H}_5\text{OH ურთიერთქმედებისას წარმოიქმნება } 22,4 \text{ ლ } \text{H}_2, \\ x_2 \text{ გ } \text{C}_2\text{H}_5\text{OH } \quad \quad \quad \text{" } \quad \quad \quad \text{" } \quad \quad \quad y \text{ ლ } \text{H}_2, \\ 92 \text{ } y = 22,4 \text{ } x_2; \end{array}$$

$$\begin{array}{l} 120 \text{ გ } \text{C}_3\text{H}_7\text{OH ურთიერთქმედებისას წარმოიქმნება } 22,4 \text{ ლ } \text{H}_2, \\ (2,19 - x_2) \text{ გ } \text{C}_3\text{H}_7\text{OH } \quad \quad \quad \text{" } \quad \quad \quad \text{" } \quad \quad \quad (0,448 - y) \text{ ლ } \text{H}_2, \end{array}$$

$$120(0,448 - y) = 22,4(2,19 - x_2),$$

$$y = \frac{22,4x_2}{92},$$

$$120 \left( 0,448 - \frac{2,4x_2}{92} \right) = 22,4(2,19 - x_2).$$

$$120(1,84 - x_2) = 92(2,19 - x_2).$$

$$220,8 - 120x_2 = 201,48 - 92x_2,$$

$$28x_2 = 19,32,$$

$$x_2 = 0,69 \text{ გ.}$$

მაშასადამე, 15,39 გ ნარევიში ყოფილა 0,69 გ ანუ  $\frac{0,69 \cdot 100}{15,39} = 4,48 \%$  ეთა-

ნოლი და 1,5 გ (2,19 - 0,69 = 1,5) ანუ  $\frac{1,5 \cdot 100}{15,39} = 9,75 \%$  პროპანოლი.

## VII. ელექტროლიზი

245. 281 გ ნიკელის სულფატის კრისტალჰიდრატი  $\text{NiSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$  შეიცავს 59 გ ნიკელს, 155 გ ნიკელის სულფატს და 126 გ კრისტალიზაციურ წყალს. ნიკელის გამოყოფისათვის აღებულია მხოლოდ ხსნარის მერვედი ნაწილი. მაშასადამე, ნიკელის გამოყოფისათვის მთელი ხსნარიდან საჭირო იქნება 8-ჯერ მეტი ელექტრული დენი. თუ ამოცანის პირობით 100 გ ხსნარიდან ნიკელის გამოყოფაზე დაიხარჯა 1,072 . 2 = 2,144 ამპერსაათი ელექტრული დენი, მაშინ მთელი ხსნარიდან ნიკელის გამოყოფისათვის აუცილებელია 2,144 . 8 = 17,152 ამპერსაათი ელექტრული დენი.

პირველი ხერხი. ელექტროლიტში 26,8 ამპერსაათი ელექტრული დენის გატარებისას გამოიყოფა ნებისმიერი ნიეთიერების 1 ეკვივალენტი და მათ რიცხვში ნიკელისაც. ამოცანის პირობით ნიკელის გამოყოფაზე დაიხარჯა 17,152 ამპერსაათი ელექტრული დენი, მაშასადამე გამოიყო  $\frac{17,152}{26,8} = 0,64$  ეკვივალენტი ანუ 0,32 მოლი ნიკელი. მაშასადამე, 0,32 მოლი ანუ 0,32 . 281 = 89,92 გ ნიკელის სულფატის კრისტალჰიდრატი გახსნილი ყოფილა 710,08 გ (800 - 89,92 = 710,08) წყალში.

მეორე ხერხი. ფარადეის კანონების მიხედვით  $A = \frac{Q\mathcal{E}}{F} = \frac{17,152 \cdot 29,5}{26,8} = 18,88$  გ. ნიკელის სულფატის კრისტალჰიდრატის ფორმულიდან ჩანს, რომ

59 გ Ni-ს შეიცავს 218 გ  $\text{NiSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$ ,  
18,88 გ Ni-ს " x გ  $\text{NiSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$ ;

$$x = \frac{18,88 \cdot 281}{59} = 89,92 \text{ გ.}$$

მაშასადამე, 89,92 გ ნიკელის სულფატის კრისტალჰიდრატი გახსნილი ყოფილა 710,08 გ (800 - 89,92 = 710,08) წყალში.

მესამე ხერხი. ნიკელის ელექტროქიმიური ეკვივალენტი  $\frac{29,5}{26,8} = 1,1007$ -ის ტოლია. ამოცანის პირობით ნიკელის გამოყოფისათვის დაიხარჯა 17,152 ამპერსაათი ელექტრული დენი. მაშასადამე, ნიკელი უნდა გამოიყოს 17,152 . 1,1007 = 18,88 გ. ნიკელის სულფატის კრისტალჰიდრატის მოლეკულის ფორმულიდან ჩანს, რომ 18,88 გ ნიკელს შეიცავს  $\frac{18,88 \cdot 281}{59} = 89,92$  გ კრისტალჰიდრატი. მაშასადამე, 89,92 გ კრისტალჰიდრატი უნდა გავხსნათ 710,08 გ წყალში.

246. პირველი ხერხი. რადგან ელექტროლიტის ხსნარში 26,8 ამპერსაათი ელექტრული დენის გავლისას გამოიყოფა 1 ეკვივალენტი ნიეთიერება, ხოლო ამოცანის პირობით ელექტროლიტის ხსნარში გაიარა 3,35 ამპერსაათი ელექტრულმა დენმა, მაშასადამე, გამოიყოფა  $\frac{3,35}{26,8} = 0,125$  ეკვივალენტი ანუ 0,125 . 56 = 7 გ კადმიუმი.

მეორე ხერხი. ფარადეის კანონით

$$A = \frac{Q\mathcal{E}}{F} = \frac{3,35 \cdot 56}{26,8} = 7 \text{ გ.}$$





ნის გელისას გამოიყოფა  $2,09 \cdot 8,576 = 17,92$  გ კადმიუმი. კადმიუმის სულფატის ფორმულიდან ჩანს, რომ

$$\begin{aligned} 112 \text{ გ Cd-ს შეიცავს } 208 \text{ გ CdSO}_4, \\ 17,92 \text{ გ Cd-ს " " } x \text{ გ CdSO}_4, \\ x = \frac{208 \cdot 17,92}{112} = 33,28 \text{ გ} \end{aligned}$$

მაშასადამე, 40 გ მარილი შეიცავდა 33,28 გ ანუ 83,2 %  $\text{CdSO}_4$ .

24#. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 0,268 ამპერი ძალის ელექტრულ დენს ატარებდნენ 3 საათის განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ ელექტროლიტის ხსნარში გაიარა  $0,268 \cdot 3 = 0,804$  ამპერსაათმა ელექტრულმა დენმა ანუ  $\frac{0,804}{26,8} = 0,03 F$  ელექტრობამ და ხსნარიდან გამოიყო 0,03 ეკვივალენტი თუთია და კადმიუმი, რომლებსაც შეიცავდა 0,03 ეკვივალენტი მათი სულფატები.

თუ თუთიის სულფატის ეკვივალენტების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, ბოლო კადმიუმის სულფატის ეკვივალენტების რაოდენობას —  $(0,03 - x)$ -ით, მაშინ ნარევეში ყოფილა 80,5  $x$  გ თუთიის სულფატი და  $104(0,03 - x)$  გ კადმიუმის სულფატი. აქედან

$$\begin{aligned} 80,5x + 104(0,03 - x) &= 2,65, \\ 80,5x + 3,12 - 104x &= 2,65, \\ 23,5x &= 0,47, \\ x &= 0,02. \end{aligned}$$

მაშასადამე, ნარევეში ყოფილა 0,02 ეკვივალენტი ანუ  $0,02 \cdot 80,5 = 1,61$  გ თუთიის სულფატი და 0,01 ეკვივალენტი ანუ  $0,01 \cdot 104 = 1,04$  გ კადმიუმის სულფატი.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით თუთიისა და კადმიუმის გამოყოფისათვის 2,65 გ მათი სულფატების ნარევიდან, რომელთა ეკვივალენტები შესაბამისად 80,5 და 104-ის ტოლია, გაატარეს 0,268 ამპერი ძალის ელექტრული დენი 3 საათის განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ ხსნარში გაიარა  $0,268 \cdot 3 = 0,804$  ამპერსაათმა ელექტრობამ. თუ ნარევეში იყო  $x$  გ ანუ  $\frac{x}{80,5}$  ეკვივალენტი სულფატი, მაშინ კადმიუმის სულფატი იქნებოდა  $(2,65 - x)$  გ ანუ  $\frac{2,65 - x}{104}$  ეკვივალენტი.

ფარადეის კანონებით  $\frac{x}{80,5}$  ეკვივალენტი სულფატიდან თუთიის გამოყოფისათვის საჭიროა  $\frac{x}{80,5}$  ფარადეი ანუ  $\frac{26,8 x}{80,5}$  ამპერსაათი ელექტრობა, ხოლო კადმიუმის გამოყოფისათვის  $\frac{2,65 - x}{104}$  ეკვივალენტი მისი სულფატიდან საჭიროა  $\frac{2,65 - x}{104}$  ფარადეი ანუ  $\frac{26,8(2,65 - x)}{104}$  ამპერსაათი ელექტრობა. აქედან

$$\begin{aligned} \frac{26,8 x}{80,5} + \frac{26,8(2,65 - x)}{104} &= 0,804, \\ 104x + 80,5(2,65 - x) &= 0,03 \cdot 80,5 \cdot 104, \\ 104x + 213,325 - 80,5x &= 251,16, \\ 23,5x &= 37,835, \\ x &= 1,61 \text{ გ}. \end{aligned}$$



გავლის დროზე, ამიტომ დენის ძალა  $I = \frac{Q}{t} = \frac{1,276}{2} = 0,938 \text{ A}$ .

251. პირველი ხერხი. ელექტროლიტის ხსნარში 26,8 ამპერსაათი ელექტრული დენის გავლისას გამოიყოფა 1 ეკვივალენტი ნეზისმიერი ნივთიერება. ამოცანის პირობით დენს ატარებდნენ 5,36 ამპერი ძალით 30 წუთის ანუ 0,5 საათის განმავლობაში, რომელიც  $5,36 \cdot 0,5 = 2,68$  ამპერსაათის ტოლია. მაშასადამე,

უნდა გამოიყოს  $\frac{2,68}{26,8} = 0,1$  ეკვივალენტი ანუ  $0,1 \cdot 32 = 3,2$  გ სპილენძი.

მეორე ხერხი. ფარადეის კანონებით

$$A = \frac{I \vartheta}{F} = \frac{5,36 \cdot 0,5 \cdot 32}{26,8} = 3,2 \text{ გ.}$$

მაშასადამე, უნდა გამოიყოს 3,2 გ სპილენძი.

მესამე ხერხი. ამოცანის პირობით ელექტროლიტის ხსნარში გაატარეს  $5,36 \cdot 0,5 = 2,68$  ამპერსაათი ელექტრული დენი. სპილენძის ელექტროქიმიური ეკვივალენტი  $\frac{32}{26,8} = 1,194$ -ის ტოლია. მაშასადამე, კათოდზე გამოიყოფა  $1,194 \cdot 2,68 = 3,2$  გ სპილენძი.

252. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით გამოიყო 8 გ ანუ  $\frac{8}{32} = 0,25$  ეკვივალენტი სპილენძი. რადგან, ელექტროლიტების სხვადასხვა ხსნარში ელექტრობის ერთნაირი რაოდენობის გავლისას გამოიყოფა ნივთიერებათა ეკვივალენტური რაოდენობა, ამიტომ წარმოიქმნება 0,25 ეკვივალენტი ანუ  $0,25 \cdot 56 = 14$  გ მწვანე კალიუმი.

მეორე ხერხი. ფარადეის კანონებით 8 გ სპილენძის გამოყოფისათვის აუცილებელია  $Q = \frac{FA}{\vartheta} = \frac{26,8 \cdot 8}{32} = 6,7$  ამპერსაათი ელექტრული დენი.

ასეთივე რაოდენობით გაიარა ელექტრობამ კალიუმის ქლორიდის ხსნარშიც, რის შედეგადაც წარმოიქმნა მწვანე კალიუმი

$$A = \frac{Q \vartheta}{F} = \frac{6,7 \cdot 56}{26,8} = 14 \text{ გ.}$$

მესამე ხერხი. ფარადეის კანონებით 8 გ სპილენძის გამოყოფაზე იხარჯება 6,7 ამპერსაათი ელექტრული დენი. მწვანე კალიუმის ელექტროქიმიური ეკვივალენტი  $\frac{56}{26,8} = 2,09$ -ის ტოლია. მაშასადამე, კალიუმის ქლორიდის ხსნარში 6,7 ამპერსაათი ელექტრული დენის გავლისას უნდა წარმოიქმნას  $6,7 \cdot 2,09 = 14$  გ მწვანე კალიუმი.

253. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით კულონომეტრის კათოდზე გამოიყო 2,56 გ ანუ  $\frac{2,56}{32} = 0,08$  ეკვივალენტი სპილენძი. რადგან ნივთიერებების რაოდენობა, რომლებიც გამოიყოფა ელექტროლიტებზე იგივე რაოდენობით ელექტრული დენის გავლისას, ეკვივალენტურია, ამიტომ ვაზუზიც აგრეთვე გამოიყო 0,08 ეკვივალენტობით. მაშასადამე, ერთი ვაზის ეკვივალენტი  $\frac{0,64}{0,08} = 8$ -ის ტოლია, ხოლო მეორისა  $\frac{2,84}{0,08} = 35,5$ , ე. ი. ერთი ვაზი წანგბაღია, ხოლო მეორე — ქლორი.

მეორე ხერხი. ფარადის კანონებით 2,56 გ სპილენძის გამოყოფისათვის ელექტროლიტის ხსნარში უნდა გაიაროს ელექტრულმა დენმა

$$Q = \frac{FA}{\vartheta} = \frac{26,8 \cdot 2,56}{32} = 2,144 \text{ ამპერსაათი.}$$

რამდენადაც იგივე რაოდენობით ელექტრული დენი გატარდა სხვა ელექტროლიზებშიც, პირველი გაზის ეკვივალენტი  $\vartheta = \frac{FA}{Q} = \frac{26,8 \cdot 0,64}{2,144} = 8$ -ის ტოლია, ხოლო მეორის  $\frac{26,8 \cdot 2,84}{2,144} = 35,5$ . მაშასადამე, ერთი გაზი ენაგბადია, მეორე კი ქლორი.

შედეგად პირველი ხერხი. ამოცანის პირობით ხსნარი შეიცავდა 5,95 გ ანუ  $\frac{5,95}{170} = 0,035$  ეკვივალენტ ვერცხლის ნიტრატს და მისგან ვერცხლის მთლიანად გამოყოფას დასჭირდა  $0,5 \cdot 2 = 1$  ამპერსაათი ელექტრობა.

ელექტრული დენის სრული გამოყენებისას 0,035 ეკვივალენტი ვერცხლის ნიტრატთან ვერცხლის გამოყოფისათვის საჭიროა  $0,035 \cdot 26,8 = 0,938$  ამპერსაათი.

მაშასადამე, ვერცხლის გამოსავალი დენის მიხედვით  $\frac{0,938 \cdot 100}{1} = 93,8$  %-ის ტოლია.

მეორე ხერხი. 5,95 გ ვერცხლის ნიტრატი შეიცავდა  $\frac{5,95 \cdot 108}{170} = 3,78$  გ ვერცხლს. 0,5 ამპერი ძალის ელექტრული დენის გატარებისას 2 საათის განმავლობაში ფარადის კანონებით უნდა გამოიყოს:

$$A = \frac{It\vartheta}{F} = \frac{0,5 \cdot 2 \cdot 108}{26,8} = 4,03 \text{ გ.}$$

უნდა გამოიყოს 4,03 გ ვერცხლი, ხოლო გამოიყოს მხოლოდ 3,78 გ. მაშასადამე, ვერცხლის გამოსავალი დენის მიხედვით  $\frac{3,78 \cdot 100}{4,03} = 93,8$  %-ის ტოლია.

შედეგად პირველი ხერხი. ამოცანის პირობით კულონომეტრის კათოდზე გამოიყო 2,56 გ ანუ  $\frac{2,56}{32} = 0,08$  ეკვივალენტი სპილენძი და რადგან ასეთივე რაოდენობით ელექტრობის გავლისას ელექტროლიტების სხვადასხვა ხსნარში ნივთიერებები გამოიყოფა ეკვივალენტური რაოდენობით, ამიტომ უნდა წარმოიქმნას 0,08 ეკვივალენტი ანუ  $0,08 \cdot 40 = 3,2$  გრამი მწვავე ნატრიუმი. წარმოიქმნა მხოლოდ 3,12 გ. მაშასადამე, მწვავე ნატრიუმის გამოსავალი დენის მიხედვით  $\frac{3,12 \cdot 100}{3,2} = 97,5$  %-ის ტოლია.

მეორე ხერხი. ფარადის კანონებით 2,56 გ სპილენძის გამოყოფისათვის კულონომეტრში გაიარა ელექტრულმა დენმა

$$Q = \frac{FA}{\vartheta} = \frac{26,8 \cdot 2,56}{32} = 2,144 \text{ ამპერსაათი.}$$

ასეთი რაოდენობით ელექტრობის გავლისას ნატრიუმის ქლორიდის ხსნარში უნდა წარმოიქმნას  $A = \frac{Q\vartheta}{F} = \frac{2,144 \cdot 40}{26,8} = 3,2$  გ მწვავე ნატრიუმი, ხოლო

წარმოიქმნა მხოლოდ 3,12 გ. ამრიგად, მწვავე ნატრიუმის გამოსავალი დენის მიხედვით  $\frac{3,12 \cdot 100}{3,2} = 97,5\%$ -ის ტოლია.

მესამე ხერხი. 2,56 გ სპილენძის გამოყოფისათვის ფარადების კანონებით დაიხარჯა 2,144 ამპერსაათი ელექტრული დენი. ასეთივე რაოდენობით ელექტრობამ გაიარა ნატრიუმის ქლორიდის ხსნარში. მწვავე ნატრიუმის ელექტროლიზური ეკვივალენტი  $\frac{40}{26,8} = 1,493$ -ის ტოლია. ელექტროლიტის ხსნარში 2,144 ამპერსაათი ელექტრობის გავლისას უნდა წარმოიქმნას 2,144  $\cdot 1,493 = 3,2$  გ მწვავე ნატრიუმი, ხოლო წარმოიქმნა მხოლოდ 3,12 გ. მწვავე ნატრიუმის გამოსავალი დენის მიხედვით  $\frac{3,12 \cdot 100}{3,2} = 97,5\%$ -ის ტოლია.

256. პირველი ხერხი. ეანგზადის ეკვივალენტური მოცულობა  $\frac{22,4}{4} = 5,6$  ლ-ის ტოლია. ამოცანის პირობით გამოიყო 1,568 ლ ანუ  $\frac{1,568}{5,6} = 0,28$  ეკვივალენტი ეანგზადი და ასეთივე რაოდენობით ლითონის ეკვივალენტები. მაშასადამე, ლითონის ეკვივალენტი  $\frac{9,1}{0,28} = 32,5$ -ის ტოლია, ხოლო ატომური მასა  $32,5 \cdot 2 = 65$ -ის ტოლი და ეს იყო თუთია.

მეორე ხერხი. 1,568 ლ ეანგზადის გამოყოფისას ფარადების კანონებით ელექტროლიტში უნდა გატარდეს

$$Q = \frac{FA}{\mathfrak{E}} = \frac{26,8 \cdot 1,568}{5,6} = 7,504 \text{ ამპერსაათი.}$$


ასეთივე რაოდენობით ელექტრობამ გამოყო 9,1 გ ლითონი. მაშასადამე, ლითონის ეკვივალენტი ტოლია

$$Q = \frac{FA}{\mathfrak{E}} = \frac{26,8 \cdot 9,1}{7,504} = 32,5.$$

ასეთი ეკვივალენტი აქვს თუთიას.

257. 20 ლ 4 M ხსნარი შეიცავდა 4  $\cdot 20 = 80$  მოლ კალიუმის ქლორიდს.

პირველი ხერხი. ამოცანის პირობით ელექტროლიტის ხსნარში გაიარა 40,2  $\cdot 40 = 1608$  ამპერსაათმა ელექტრობამ, რის შედეგადაც უნდა წარმოიქმნილიყო  $\frac{1608}{26,8} = 60$  ეკვივალენტი ანუ 60 მოლი მწვავე კალიუმი. რადგან მწვავე კალიუმის გამოსავალი დენის მიხედვით შეადგენს მხოლოდ 90%, ამიტომ პრაქტიკულად იგი წარმოიქმნა 60  $\cdot 0,9 = 54$  მოლი. კალიუმის ქლორიდის გარდაქმნა მწვავე კალიუმად მიმდინარეობს სქემით:



80 მოლი კალიუმის ქლორიდიდან მისი 54 მოლი გარდაიქმნა მწვავე კალიუმად, ხოლო 26 მოლი (80 - 54 = 26) დარჩა ეცხედი. ამრიგად, 26 ლ ხსნარი შეიცავდა 54 მოლ მწვავე კალიუმს და 26 მოლ კალიუმის ქლორიდს. ხსნარი იწინება 2,7 M მწვავე კალიუმის მიმართ და 1,3 M კალიუმის ქლორიდის მიმართ.

მეორე ხერხი. 20 ლ ხსნარი შეიცავდა 80 მოლ ანუ 80  $\cdot 74,5 = 5960$  გ



რადგან ყველა კულონომეტრში გაიარა 0,402 ამპერსაათმა ელექტრობამ, მეორე კულონომეტრის ლითონის ეკვივალენტი  $\varnothing = \frac{FA}{Q} = \frac{26,8 \cdot 0,84}{0,402} = 56$ -ის ტოლია, ხოლო მესამე კულონომეტრის ლითონის ეკვივალენტი  $\frac{26,8 \cdot 1,62}{0,402} = 108$ -ის ტოლია. მაშასადამე, მეორე კულონომეტრი დამზადებულია კადმიუმისაგან, ხოლო მესამე — ვერცხლისაგან.

მესამე ხერხი. სპილენძის ელექტროქიმიური ეკვივალენტი  $\frac{26,8}{32} = 1,194$ -ს ტოლია. რადგან გამოიყო 0,48 გ სპილენძი, ამიტომ კულონომეტრში გაიარა  $\frac{0,48}{1,194} = 0,402$  ამპერსაათმა ელექტრობამ. ფარადის კანონებით მეორე კულონომეტრის ლითონის ეკვივალენტი  $\frac{26,8 \cdot 0,84}{0,402} = 56$ -ის ტოლია, ხოლო მესამე კულონომეტრის ლითონის ეკვივალენტი  $\frac{26,8 \cdot 1,68}{0,402} = 108$ -ის ტოლი. მაშასადამე, მეორე კულონომეტრი დამზადებული იყო კადმიუმისაგან, ხოლო მესამე — ვერცხლისაგან.

259. პირველი ხერხი. ამოცანის პირობით 0,268 ამპერი ძალის ელექტრული დენი გაატარეს 6 საათის განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ სპილენძისა და კადმიუმის მთლიანი გამოყოფისათვის 5,76 გ მათი სულფატებიდან დასჭირდა  $0,268 \cdot 6 = 1,608$  ამპერსაათი ანუ  $\frac{1,608}{26,8} = 0,06$  ფარადი ელექტრობა, რომელსაც შეუძლია გამოიყოს 0,06 ეკვივალენტი ნებისმიერი ნივთიერებისა. მაშასადამე, ნარევი უფილა 0,06 ეკვივალენტი სპილენძისა და კადმიუმის სულფატები. თუ კადმიუმის ეკვივალენტების რაოდენობას აღვნიშნავთ  $x$ -ით, ხოლო სპილენძის ეკვივალენტების რაოდენობას  $(0,06 - x)$ -ით, მაშინ ნარევი უფილა 104  $x$  გ კადმიუმის სულფატი და 80(0,06 -  $x$ ) გ სპილენძის სულფატი. აქედან

$$104x + 80(0,06 - x) = 5,76,$$

$$104x + 4,8 - 80x = 5,76,$$

$$24x = 0,96,$$

$$x = 0,04.$$

მაშასადამე, 0,5 ლ ხსნარში უფილა 0,04 ეკვივალენტი ანუ 0,02 მოლი კადმიუმის სულფატი და 0,02 ეკვივალენტი (0,06 - 0,04 = 0,02) ანუ 0,01 მოლი სპილენძის სულფატი. ხსნარი იქნება  $\frac{0,02}{0,5} = 0,04$  M კადმიუმის სულფატის მიმართ და  $\frac{0,01}{0,5} = 0,02$  M სპილენძის სულფატის მიმართ.

მეორე ხერხი. სპილენძისა და კადმიუმის გამოყოფაზე, რომლებსაც შეიცავს 5,76 გ მათი სულფატები, დახარჯეს 1,608 ამპერსაათი ელექტრობა. თუ სპილენძის სულფატი ნარევი იყო  $x$  გ ანუ  $\frac{x}{80}$  ეკვივალენტი, მაშინ კადმიუმის სულფატი უფილა  $(5,76 - x)$  გ ანუ  $\frac{5,76 - x}{104}$  ეკვივალენტი. ხსნარიდან  $\frac{x}{80}$





მშასადაძმე, 0,5 ლ ხსარი შეიცავდა 1,6 გ ანუ  $\frac{1,6}{160} = 0,01$  მოლ სპილენ-  
ძის სულფატს და 4,16 გ ანუ  $\frac{4,16}{208} = 0,02$  მოლ კადმიუმის სულფატს და ხსნარი  
ყოფილა 0,02 M სპილენძის სულფატის მიმართ და 0,04 M კადმიუმის სულფატის  
მიმართ.

240. ამოცანის პირობით პირველ ელექტროლიზატში გამოიყო 400 მლ წყალ-  
ბადი, გაზომილი 26°C და 740 მმ ვერცხლისწყლის სვეტის დროს. ხოლო მეორე  
ელექტროლიზატის კათოდზე 1,04 გ უცნობი ლითონი. ნორმალურ პი-  
რობებში წყალბადი დაიკავებს მოცულობას:

$$V_0 = \frac{VPT_0}{P_0T} = \frac{400 \cdot 740 \cdot 273}{760 \cdot 298} = 356,8 \text{ მლ.}$$

პირველი ხერხი. ამოცანის პირობით გამოიყო 356,8 მლ ანუ 0,3568 ლ  
ანუ  $\frac{0,3568}{11,2} = 0,03186$  ეკვივალენტი წყალბადი და ამდენივე ეკვივალენტი უცნო-

ბი ლითონი. მშასადაძმე, ლითონის ეკვივალენტი იქნება  $\frac{1,04}{0,03186} = 32,643$ , ხო-  
ლო ატომური მასა —  $32,643 \cdot 2 = 65,29$ . ასეთი ატომური მასა აქვს თუთიას.

მეორე ხერხი. ამოცანის პირობით პირველ ელექტროლიზატში გამოიყო  
0,3568 ლ წყალბადი. ეს ნიშნავს, რომ ელექტროლიზატში გატარებულია ელექ-  
ტრობა

$$Q = \frac{FA}{\mathfrak{A}} = \frac{26,8 \cdot 0,3568}{11,2} = 0,854 \text{ ამპერსაათი.}$$


ამოცანის პირობით ერთდროულად გამოიყო 1,04 გ ლითონი, რომლის ეკვივა-  
ლენტი ტოლი იქნება

$$\mathfrak{A} = \frac{FA}{Q} = \frac{26,8 \cdot 1,04}{0,854} = 32,64.$$

მშასადაძმე, ლითონის ეკვივალენტი 32,64-ის ტოლია, ხოლო ატომური მასა  
32,64  $\cdot 2 = 65,28$ -ის ტოლი. ასეთი ატომური მასა აქვს თუთიას.

### VIII. ქიმიური წონასწორობა

261. ბენზოჰმეაჟე (ფენილკარბონჰმეაჟე) დისოციირდება განტოლებით:




$$K = \frac{[H^+] \cdot [C_6H_5COO^-]}{[C_6H_5COOH]} = 6,6 \cdot 10^{-5}.$$

თუ ბენზოჰმეაჟეს საერთო კონცენტრაცია 0,02 მოლ/ლ-ის ტოლია, მაშინ 0,5 %-  
ის ტოლი დისოციაციის ხარისხის დროს ბენზოატ-იონების  $[C_6H_5COO^-]$  კონ-  
ცენტრაცია  $0,02 \cdot 0,005 = 10^{-4}$  მოლ/ლ-ის ტოლი იქნება, აქედან

$$[H^+] = \frac{6,6 \cdot 10^{-5} \cdot 2 \cdot 10^{-2}}{10^{-4}} = 1,32 \cdot 10^{-2} = 10^{-1,88} = 10^{-1,88};$$

$$pH = -\lg[H^+] = 1,88,$$

281. ძმარმევა დისოცირდება სქემით:



აქედან

$$K = \frac{[\text{H}^+] \cdot [\text{CH}_3\text{COO}^-]}{[\text{CH}_3\text{COOH}]}$$

ძმარმევის საერთო კონცენტრაცია 0,1 მოლ/ლ-ის ტოლია. თუ დისოციაციის ხარისხი, რომელიც გვიჩვენებს ონებად დაშლილი მოლეკულების რაოდენობის შეფარებას მოლეკულების საერთო რიცხვთან 1,3 % ანუ 0,013-ის ტოლია, მაშინ დისოციირებული მოლეკულების კონცენტრაცია  $0,1 \cdot 0,013 = 0,0013$  მოლ/ლ-ის ტოლია, ხოლო არადისოციირებული მოლეკულების კონცენტრაცია —  $0,1 (1 - 0,013) = 0,1 \cdot 0,987 = 0,0987$  მოლ/ლ-ისა. რადგან ხსნარში ქარბად არ არის არცერთი იონი, ამიტომ  $[\text{CH}_3\text{COO}^-] = [\text{H}^+] = 0,0013$  მოლ/ლ ანუ  $1,3 \cdot 10^{-3}$  მოლი/ლ, ხოლო  $[\text{CH}_3\text{COOH}] = 0,0987$  მოლი/ლ ანუ  $9,87 \cdot 10^{-2}$  მოლი/ლ. აქედან

$$K = \frac{1,3 \cdot 10^{-3} \cdot 1,3 \cdot 10^{-3}}{9,87 \cdot 10^{-2}} = \frac{1,69 \cdot 10^{-6}}{9,87 \cdot 10^{-2}} = 1,7 \cdot 10^{-5}$$


282. ტყეის სულფატისათვის ხსნადობის ნამრავლი ტოლია:

$$\text{ხნ } \text{PbSO}_4 = [\text{Pb}^{2+}] \cdot [\text{SO}_4^{2-}] = 1,6 \cdot 10^{-8}$$

ამოცანის პირობით სულფატ-იონების კონცენტრაცია 0,05 მოლ/ლ-ის ტოლია, რადგან ნატრიუმის სულფატის მოლური კონცენტრაცია 0,05 მოლ/ლ-ის ტოლია, და ნატრიუმის სულფატის, როგორც ძლიერი ელექტროლიტი, დისოციირდება მთლიანად, მაშასადამე, ტყეის იონების კონცენტრაცია ტოლია:

$$[\text{Pb}^{2+}] = \frac{\text{ხნ } \text{PbSO}_4}{[\text{SO}_4^{2-}]} = \frac{1,6 \cdot 10^{-8}}{5 \cdot 10^{-2}} = 3,2 \cdot 10^{-7} \text{ მოლი/ლ.}$$

284. გოგირდის დიოქსიდის დაჟანგვა ეანგბადით ტრიოქსიდად მიმდინარეობს განტოლებით:




ამ პროცესის წონასწორობის კონსტანტას აქვს ასეთი სახე:

$$K_{\text{წ}} = \frac{[\text{SO}_3]^2}{[\text{SO}_2]^2 \cdot [\text{O}_2]}$$

მისი განსაზღვრისათვის აუცილებელია ვიცოდეთ ყველა სამი კომპონენტის წონასწორობი კონცენტრაციები. ამოცანის პირობით გოგირდის ანჰიდრიდის წონასწორობი კონცენტრაცია 0,03 მოლის ტოლია. რეაქციის განტოლებით თითოეული მოლი გოგირდოვანი ანჰიდრიდიდან წარმოიქმნება ერთი მოლი გოგირდის ანჰიდრიდი. 0,03 მოლი/ლ გოგირდის ანჰიდრიდის წარმოქმნისათვის აუცილებელია 0,03 მოლი/ლ გოგირდოვანი ანჰიდრიდი და 0,015 მოლი/ლ ეანგბადი. ამოცანის პირობით გოგირდოვან ანჰიდრიდისა და ეანგბადის საწყისი კონცენტრაციები შესაბამისად 0,07 და 0,06 მოლი/ლ-ის ტოლი იყო. მათი წონასწორობი კონცენტრაციები ტოლი იქნება  $0,07 - 0,03 = 0,04$  მოლი/ლ გოგირდოვანი ანჰიდრიდი და  $0,06 - 0,015 = 0,045$  მოლი/ლ ეანგბადი. წონასწორობის კონსტანტა ტოლი იქნება:

$$K_{\text{წ}} = \frac{0,03^2}{0,04^2 \cdot 0,045} = \frac{9 \cdot 10^{-4}}{1,6 \cdot 10^{-3} \cdot 4,5 \cdot 10^{-2}} = 12,5$$

286. კალციუმის ფთორიდის დისოცირდება განტოლებით:



კალციუმის ფთორიდის ხსნადობა (მოლ/ლ-ით) ტოლია კალციუმის იონების კონცენტრაციისა 1 ლ-ში, რადგან კალციუმის ფთორიდის ერთი მოლეკულიდან წარმოიქმნება კალციუმის ერთი იონი. ხსნარში ფთორიდ-იონების კონცენტრაცია ორჯერ მეტია, ვიდრე კალციუმის იონების კონცენტრაცია:


$$[F^-] = 2[Ca^{2+}]$$

აღვნიშნოთ კალციუმის იონების კონცენტრაცია  $x$ -ით, მაშინ

$$\begin{aligned} K_{CaF_2} &= x(2x)^2 = 4 \cdot 10^{-11}, \\ x \cdot 4x^2 &= 4 \cdot 10^{-11}, \\ x^3 &= 1 \cdot 10^{-11} = 10 \cdot 10^{-12}, \\ x &= 2,154 \cdot 10^{-4}. \end{aligned}$$

მაშასადამე, 1 ლ ნაჭერი ხსნარი შეიცავს  $2,154 \cdot 10^{-4}$  მოლ ანუ  $78 \cdot 2,154 \cdot 10^{-4} = 168 \cdot 10^{-4}$  ანუ 0,0168 გ კალციუმის ფთორიდს.

288. აზოტის ურთიერთქმედება ჰაერის ენგბადთან მიმდინარეობს განტოლებით:



ამოცანის პირობით წონასწორულ სისტემაში  $180^\circ\text{C}$  დროს იყო 0,5% აზოტის მონოქსიდი, დანარჩენი — ენგბადი და აზოტი (სხვა გაზების მინარევები მხედველობაში არ მიიღება). ნარევის საწყისი შედგენილობა იყო 80% აზოტი და 20% ენგბადი.


რადგან აზოტის მონოქსიდად გარდაიქმნა მცირე რაოდენობით აზოტი და ენგბადი (თითოეული 0,25 მოცულობით 20 მოცულობა ენგბადისა და 80 მოცულობა აზოტისაგან), ამიტომ წონასწორულ სისტემაში 0,5% მოცულობა აზოტის მონოქსიდზე მოდის 20 მოცულობა ენგბადი და 80 მოცულობა აზოტი:

$$K_{\text{ფ}} = \frac{(0,5)^2}{80 \cdot 20} = \frac{0,25}{1600} = 0,000156 = 1,56 \cdot 10^{-4}.$$

აზოტის მონოქსიდის წონასწორული გამოსავალი  $2500^\circ\text{C}$  დროს შეადგენს 2,5%. თუ გაზების საწყისი კონცენტრაცია იყო 80% აზოტი და 20% ენგბადი, მაშინ წონასწორულ ნარევეში ყოფილა 2,5% აზოტის მონოქსიდი, 18,75% ( $20 - 1,25 = 18,75$ ) ენგბადი და 78,75% ( $80 - 1,25 = 78,75$ ) აზოტი. მაშინ

$$K_{\text{ფ}} = \frac{(2,5)^2}{78,75 \cdot 18,75} = \frac{6,25}{1476,56} = 0,00423 = 4,23 \cdot 10^{-3}.$$

287. კალციუმის ციანიდის ჰიდროლიზის რეაქცია მიმდინარეობს განტოლებით:



საიდანაც

$$K_3 = \frac{[\text{HCN}] \cdot [\text{OH}^-] + \text{H}^+}{[\text{CN}^-]} = 10^{-5}$$

თუ ჰიდროლიზის ხარისხი  $\alpha$ -ს ტოლია, მაშინ  $\text{OH}^-$  იონების კონცენტრაცია ციანწყალბადმეათას მოლექულის კონცენტრაციის ტოლი იქნება:  $[\text{HCN}] = [\text{OH}^-] = 0,1 \alpha$ .

ციანიდ-იონების კონცენტრაცია  $0,1(1-\alpha)$ -ის ტოლი იქნება. აქედან

$$\frac{0,1\alpha \cdot 0,1\alpha}{0,1(1-\alpha)} = 1,58 \cdot 10^{-5}$$

$$\alpha^2 = 1,58 \cdot 10^{-4} (1-\alpha)$$

$$\alpha^2 + 1,58 \cdot 10^{-4} \alpha - 1,58 \cdot 10^{-4} = 0$$

ამ შემთხვევაში განტოლების მეორე წევრი  $1,58 \cdot 10^{-4} \alpha$  უმნიშვნელოდ მოქმედებს ჰიდროლიზის ხარისხის მნიშვნელობაზე, ამიტომ


$$\alpha = \sqrt{\frac{K_3}{C}} = \sqrt{1,58 \cdot 10^{-4}} = 1,26 \cdot 10^{-2} = 0,0126 \text{ ანუ } 1,26\%$$

$\text{OH}^-$  იონების კონცენტრაცია  $0,1 \cdot 0,0126 = 1,26 \cdot 10^{-3}$  -ის ტოლია. აქედან

$$\lg[\text{OH}^-] = -2,9, \text{ ხოლო } \lg[\text{H}^+] = -(14-2,9) = -11,1;$$

$$\text{pH} = 11,1$$

268. კიანწყელმეათეა დისოციირდება განტოლებით:



საიდანაც

$$K = \frac{[\text{H}^+] \cdot [\text{HCOO}^-]}{[\text{HCOOH}]} = 1,8 \cdot 10^{-4}$$

$\text{pH} = 6$  დროს წყალბადის იონების კონცენტრაცია  $10^{-6}$  მოლ/ლ-ის ტოლია. კიანწყელმეათეას საერთო კონცენტრაცია  $2 \cdot 10^{-1}$  ტოლია, აქედან

$$\frac{[\text{H}^+] \cdot [\text{HCOO}^-]}{[\text{HCOOH}]} = 1,8 \cdot 10^{-4} \text{ ანუ } \frac{[\text{HCOO}^-]}{[\text{HCOOH}]} = 1,8 \cdot 10^2 = 180$$

მაშასადამე, მარილის დისოციირებულ და არადისოციირებულ ნაწილებს შორის შეფარდება 180-ის ტოლია. ეს ნიშნავს, რომ კიანწყელმეათეას მხოლოდ დაახლოებით 0,5% ( $\frac{1}{180}$  ნაწილი) რჩება არადისოციირებულ მდგომარეობაში, ხოლო დანარჩენი 99,5% ანუ 0,995 დისოციირდება. ფორმიკ-იონების კონცენტრაცია ტოლი იქნება:

$$[\text{HCOO}^-] = 0,2 \cdot 0,995 = 0,199 \text{ მოლი/ლ.}$$

269. პრაქტიკულად მთლიანი დაღეკვა ნიშნავს, რომ იონების რაოდენობა, რომელიც დარჩა 1 ლ ხსნარში, შეუძლებელია აეწონოთ. ანალიზურ სასწორზე. ანა-

ლიზური სასწორის მკვანობიარობა (ის უმცირესი რაოდენობა, რომელიც შეიძლება აეწონოს) 0,001 გ-ის ტოლია. საშუალო იონური მასა მივიღოთ 100-ად, მაშინ იონების კონცენტრაცია პრაქტიკულად მთლიანი დალექვის შემდეგ არ უნდა აღემატებოდეს  $10^{-6}$  მოლ/ლ. ბარიუმის იონების კონცენტრაცია ამ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს  $10^{-5}$  მოლ/ლ. აქედან.

$$[\text{SO}_4^{2-}] = \frac{\text{ხნ } \text{BaSO}_4}{[\text{Ba}^{2+}]} = \frac{1 \cdot 10^{-10}}{10^{-6}} = 1,1 \cdot 10^{-4}.$$

მაშასადამე, სულფატ-იონების კონცენტრაცია  $1,1 \cdot 10^{-4}$  მოლ/ლ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და 0,001 M კარბი სულფატ-იონები უზრუნველყოფს ბარიუმის ხეიის პრაქტიკულად სრულ დალექვას.

270. ტყვიის იოდიდისათვის ხნ  $PbI_2 = [\text{Pb}^{2+}] \cdot [\text{I}^-]^2 = 1,1 \cdot 10^{-9}$ , რადგან ტყვიის იონების კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს  $10^{-5}$  მოლ/ლ, ამიტომ იოდიდ-იონების კონცენტრაცია ტოლი იქნება:

$$[\text{I}^-]^2 = \frac{\text{ხნ } PbI_2}{[\text{Pb}^{2+}]} = \frac{1,1 \cdot 10^{-9}}{10^{-5}} = 1,1 \cdot 10^{-4};$$

$$[\text{I}^-] = \sqrt{1,1 \cdot 10^{-4}} = 3,317 \cdot 10^{-2} \approx 0,033 \text{ მოლი/ლ.}$$


271. მაგნიუმის კარბონატის ხსნადობის ნამრავლი ტოლია:

$$\text{ხნ } MgCO_3 = [\text{Mg}^{2+}] \cdot [\text{CO}_3^{2-}].$$

ამოცანის პირობით 400 მლ წყალში იხსნება 0,212 გ მარილი, 1 ლ ხსნარი შეიცავს  $0,212 \cdot 2,5 = 0,53$  გ ანუ  $\frac{0,53}{84} = 0,00631$  მოლ ანუ  $6,31 \cdot 10^{-3}$  მოლ მაგნიუმის კარბონატს. მარილები ძლიერი ელექტროლიტებია. გახსნილი მარილის ნაწილი მთლიანად დისოცირდება იონებად. მაგნიუმის იონებისა და კარბონატ-იონების კონცენტრაცია ტოლი იქნება მაგნიუმის კარბონატის კონცენტრაციისა. რადგან ამ ხსნარში კარბად არ არის არც ერთი ეს იონები, ამიტომ  $[\text{Mg}^{2+}] = [\text{CO}_3^{2-}] = 6,31 \cdot 10^{-3}$  მოლი/ლ, ხოლო მაგნიუმის კარბონატის ხსნადობის ნამრავლი ტოლია:

$$\text{ხნ } MgCO_3 = 6,31 \cdot 10^{-3} \cdot 6,31 \cdot 10^{-3} = 39,8 \cdot 10^{-6} = 4 \cdot 10^{-5}.$$

ფთორწყალბადმევა წყალხსნარში დისოცირდება განტოლებით:



საიდანაც

$$K = \frac{[\text{H}^+] \cdot [\text{F}^-]}{[\text{HF}]} .$$

აღნიშნოთ დისოციაციის ხარისხი  $\alpha$ -თი. წყალბადის იონებისა და ფთორიდ-იონების კონცენტრაცია ტოლია ფთორწყალბადის საერთო კონცენტრაციის ნაკლები და დისოციაციის ხარისხზე  $\alpha$ . ამ შემთხვევაში  $[\text{H}^+] = [\text{F}^-] = 0,5 \alpha$ . ფთორწყალ-

ბადის არადისოციირებული მოლეკულების კონცენტრაცია  $[HF]=0,5(1-\alpha)$ -ის ტოლია.

ფორწყალბადის დისოციაციის კონსტანტა ტოლია:

